ჩემი ჯიბე

პ ო ე ზ ი ა ა

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
თანამშრომელთა და სტუდენტთა

№ 6

თბილისი 2009

უსაზღვრო გულწრფელი მადლობა გამომცემლობა " თობალისის" ყველა თანამშრომელს წიგნის ტირაჟირებისას გაწეული უანგარო ამაგისათვის!

იგი ბავშვივით მორცხვი იყო. ფეხაკრეფით იცოდა სიარული. ლაპარაკობდა ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით.

ჩუმად, შეუმჩნევლად შემოვიდა ცირა ჩვენთან, - ბიბლიოთეკაში. თავისი სითბოთი და გულისხმიერებით მალე ყველას შეაყვარა

თავი. უყვარდა ყველა და ყველაფერი. უყვარდა ადამიანები, უყვარდა თავისი ქვეყანა, მშობლიური იმერეთი, ბუნება, მუსიკა, პოეზია, სიცოცხლე უყვარდა.

ცოტა გულჩათხრობილი იყო. ზოგჯერ სევდიანიც. ლექსი იყო მისი მესაიდუმლე, ლექსს უზიარებდა თავის დარდს, ანდობდა თავის ფიქრებს, სიხარულს, ტკივილსა და განცდებს. როდესაც ახალ ლექსს დაწერდა (და ეს კი ძალიან ხშირად ხდებოდა), პატარა ბავშვივით გულში ჩახუტებული ლექსებით, მორცხვი ღიმილით გვეტყოდა: ახალი ლექსები დავწერეო და ... ჩვენ მისი ლექსების ლამაზ სტრიქონებში ვიკარგებოდით.

ძალიან უყვარდა თავისი ოჯახი, ახლობლები. ბევრი ტკივილი ანახვა ცხოვრებამ, მაგრამ ყველაზე მეტად შვილივით გაზრდილი დისშვილის – ირაკლის გარდაცვალებამ მიაყენა დიდი და მოუშუშებელი ტკივილი. უფრო გულჩათხრობილი და სევდიანი გახდა. სიცილის დროსაც კი თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.

7 იანვარს – შობას იყო დაბადებული. უყვარდა თავისი დაბადების დღე, თანაც უხაროდა ამ ბრწყინვალე დღეს რომ იყო მოვლენილი ამ ქვეყნად. ერთხელ, რამდენიმე თანამშრომელს თავისთან დაგვიძახა. მის ოთახში შესულებს სადღესასწაულოდ გაშლილი მაგიდა დაგვხვდა. გაგვიკვირდა. მან კი თავისებური თბილი ღიმილით გვითხრა: ეს

იანვარში დაბადებულებს ეკუთვნისო. მიწვეულებიც იანვრის იუბილარები ვიყავით.

მეორე წლის ახალ წელსაც და თავის დაბადების დღესაც მშობლიურ იმერეთში, საკუთარ კერაზე შეხვდა. თუმცა ის იანვარი საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის.

ძალზე საწყენი და გულდასაწყვეტია, როდესაც ამ ქვეყნიდან უდროოდ მიდის ადამიანი, რომელსაც გული სიყვარულით, სიკეთით და სითბოთი აქვს სავსე და რაც მთავარია, რჩება ბევრი სათქმელი, სათქმელი, რომელსაც ლექსად გეუბნება და შენს სულს მალამოსავით ედება.

ბევრი ლამაზი და თბილი მოგონება დაგვიტოვა ცირამ, მაგრამ მთავარი მაინც მისი ლექსებია, რომელიც ავტორის სულთან ძალზე ახლოს იყო.

მაია კერვალიშვილი
ია ხულელიძე
ქეთინო ბილანიშვილი
დალი ბედოიძე

c i r a bl uaSv i l i

იქნება საქართველო მარად

სანთლები იღვენთება,
ცრემლები გვეძალება
და მწვავე ჭრილობა გვზარავს.
არ გვინდა შეცოდება,
არ გვინდა შებრალება,
არ გვინდა ქართველებო, არა!

დიდებულ წინაპართა
უკვდავი სახელები
მოვირგოთ ჯავშნად და ფარად.
უმწეო შეცხადება,
უაზრო გახელება
არ გვინდა ქართველებო, არა!

ცოტნე დადიანის,
ქეთევან წამებულის,
ილიას გახსენებაც კმარა.
არ გადავჯიშდებით,
არ გადავგვარდებით,

არ გადავშენდებით, არა!

უსაშინლესი
და უსასტიკესი
უფსკრულის წინაშე ვდგავართ.
არ გადავცვივდებით,
არ გადვიჩეხებით
არ დავიღუპებით, არა!

ჩვენი უკვდავება
ჩვენი ღირსებაა.
იქნება საქართველო მარად!

* * *

დაბადებისთანავე გარდაცვლილი ბავშვის
დედავ
შენ თვალებში ჩანერგილა სევდა,
შენ ღიმილში ჩაქსოვილა მწველი
უსასოოდ დარჩენილის დარდი
მოიშორე,
მოიშორე გზიდან
მარტოობის უსიამო ლანდი.

გადაუხდელი ნუ დაგვრჩება მამულის ვალი

გავხსნათ აკლდამები,
გამოვიხმოთ გმირთა აჩრდილები.
ვცნოთ ავგაროზად
მათი დედების წმინდა მანდილები.

აღვმართოთ ჯვარი!
ნინოს ჯვარი, ჯვარი ვაზისა!

ქუდზე კაცს ვუხმოთ, -
მამულს უჭირს, მამულს – საფიცარს.

არ დაგვიღონდე, ქართვლის დედაო,
მაღლა შემართე დახრილი ხმალი.
ერი ობოლი, უნათესავო
გულად ჩაიდგამს სიმტკიცეს რვალის.

დღეს განზე დგომა
ღალატს ნიშნავს, სამშობლოს ღალატს.
აღარ ეგების გულგრილობა,
დახუჭვა თვალის.
მშობელ მიწა-წყალს,
ქართველების აკვანს და სამარხს
სხვა გვედავება,
ზარი ჩქარა, განგაშის ზარი!

ისმინოს ყველამ,
ამერ-იმერ, იქნებ და ვინძლო,
ქართულ ტაძარში
სხვა რომ სწირავს, აღავლენს ლოცვას,
ამნაირ ყოფას, ქართველებო,
უთუოდ გვიჯობს
სიკვდილი რაა, არ დაღუპვა,
- დამარხვა ცოცხლად!

თურმე გტკიოდა
და ვერ ვგრძნობდით, ჩემო ქვეყანავ,
თურმე ტიროდი,
ჩვენგან მალულ-ცრემლებიანი,
განა ბურუსი ბინდის დარად გადაგეფარა
ეს ხომ შენ შვილთა
ჯაჭვ-ჯავშანის ფერები არის.

ბრძოლა მოგველის?

არ შევდრკებით, დე, იყოს ბრძოლა!
დღეს აღარავინ მიმოიძევს ჩრდილსა და ჩეროს,
ჩვენი გულების მძლავრი ცემა
და ნერვის თრთოლა, შენ შემართებად მიიჩნიე,
მამულო, ჩემო.

კეთილქმედებით
ზე აღვმართოთ დროშა და ჯვარი,
ძნელ და რთულ გზაზე
ჩვენც გავავლოთ ნათელი კვალი,
გადაუხდელი ნუ დაგვრჩება
მამულის ვალი, -
თავისუფალი უნდა იყოს
ქართველი ხვალის.

დღეს განზე დგომა ღალატს უდრის
სამშობლოს ღალატს,
აღარ ეგების გულგრილობა,
დახუჭვა თვალის.....

და მოლოდინსაც ერქვა ტკივილი

მონასტერს ედო სიძველის ფერი
და ჰგავდა იგი ფრთამტკივან ფრინველს,
რომელსაც უკვე არ ძალუძს ფრენა,
ფრენა არ ძალუძს მაღალი ცისკენ.

აქ აღარავინ რეკავდა ზარებს,
არვინ ვიდოდა
გარდა ქარისა
და ღამეული სტუმარი – მთვარე
აფრქვევდა სხივებს სანთლის ალისფრად.

აქ მდუმარებას დაედგა ტახტი,

თრთოდნენ ფოთლები მაღლივ სუროთა,
აქ აღარავის არ სურდა ცხადი,
აქ უკვე აღარც ხილვა სწყუროდათ.

იყო ეული, მოწყენით მდგარი,
თან ახლდა ჭმუნვის უნაპირობა.
ქვაში ჩუქურთმად ნაკვეთი ჯვარი
ტკიოდა, როგორც მძიმე ჭრილობა.

არავინ ჩანდა. მხოლოდ ქარაფი
და ზოლი – მაღალ კლდეთა ქარაფთა,
მონასტერს ისე სძაგდა ღალატი, . . .
და მაინც ბევრმა მას უღალატა.

ზოგჯერ ფიქრობდა, -
ახლა რომ მართლა
ვინმე გამოჩნდეს, რა უნდა ვუთხრა?
ძრწოლვით იგრძნობდა შებოჭვილ დაღლას,
ხმა ეხშობოდა, ეკვროდა სუნთქვა. . .

ხანდახან წამით სამლოცველოდან
კრთოდა ნათელი, ნათლის სხივივით. . .
მონასტერს მაინც სწამდა, ელოდა
და მოლოდინსაც ერქვა ტკივილი.

ზაფხულის სიმფონია

იდგა თიბათვე, თივას თიბავდნენ,
გარშემო იდგა სურნელი ამო,
მიწას ტკიოდა, მიწა გმინავდა
ამ მოთიბული ადგილის გამო.

მზე იყო მწველი, სინათლე ბევრი,
იყო სითბო და

მკვეთრი ფერები,
რა უმწეოდ და სასოწარკვეთით
ზარს არისხებდნენ მინდორ-ველები....

ელავდა ცელი, მზეზე ბრწყინავდა,
მღეროდა. არა, - თითქოს კიოდა
და ამ ლამაზი ველის ბინადართ
ყველა ჭრილიბა ერთად ტკიოდათ.

და მოთიბული ადგილი ჰგავდა
განუკითხავად დევნილ სიმართლეს,
აქ უკვე მძიმედ დაეშვა ფარდა
და ჩაქრა ყველა რამპის სინათლე.

აქ ყველაფერი აშკარად ითქვა,
მწვანე სიცოცხლე პირქვე ეფინა
და ქარმაც თავის სათქმელი სიტყვა
მთლად უშეცდომოდ დაიზეპირა....

ცელი კი მზეზე ისევ ბრწყინავდა,
მღეროდა.
არა, - თითქოს კიოდა
და ულამაზეს ველის ბინადართ
ხვალინდელი დღე უფრო ტკიოდათ.

ცისფერო ოცნებაო

ცისფერო ოცნებაო,
ცისფერო ოცნებაო
ანთიხარ.
ანთიხარ კოცონად.
ცისფერო ოცნებაო,
ცისფერო ოცნებაო

ჩემო ოცნებაში ოცნებავ.

ამანთე, სიყვარულით ამანთე,
ჩემი შთაგონება აანათლე,
მციოდეს, - გამათბე, გამათბე,
ცოდვა ჩავიდინო, - გამამართლე.

მომმადლე იდუმალი ფერები,
არა გთხოვ, არა გთხოვ სხვა ფერებს,
მამღერე,
მამღერე ტკბილი სიმღერები,
მამღერე, ოცნებაო, მამღერე

გამიცისკროვნე ჩემი ცა
ამიმღელვარე ჩემი ზღვა,
ამიზურმუხტე ჩემი ბზა
გადამატარე გრძელი გზა.

მაღალ მწვერვალებზე ამიყვანე,
ედელვაისებთან დავივანებ,
ჩემი ყვავილეთი ამიყვავე,
როცა გაგაჯავრო, - დამიყვავე . . .

ყვავილთა ჩეროში დამაძინე,
ტკბილი სიზმრები დამასიზმრე
ზოგჯერ სიმწარით გამაცინე
ზოგჯერ თბილი ცრემლით ამატირე.

ხშირად გამიმართლე,
ზოგჯერ გამაწბილე,
ხშირად მღელვარებას დამაწყვილე,
მძიმე განსაცდელი ამაცდინე,
მტკიოდეს, მაინც გამაღიმე .. . .

მარგუნე ღიმილი იათა

მასმინე, მასმინე ნიადაგ
ბუტბუტი წყაროთა,
შრიალი მდელოთა,
კვლავ მწამდეს
ის, რაიც მჯეროდა. . .

ცისფერო ოცნებაო,
ცისფერო ოცნებაო
ჩემო ოცნებაში ოცნებავ.
ამანთე,
სიყვარულით ამანთე,
ამანთე
მთრთოლვარე კოცონად.

შემართება

ფეხზე მოვირგებ წრიაპებს
ვივლი ჯიხვების ნავალზე
კრულვას მივაგებ სიავეს,
სიკეთის სანთლად ავანთებ.

პიტალო კლდეთა ბინადრებს
ვიგულვებ შემწედ, მეგობრად,
გზად სიოს გავიწინამძღვრებ,
საგზლად ქუმელი მეყოფა.

შეკრთება ირმის ყვირილზე
ნაზი ყვავილი – პირიმზე. . .

მთა..... და მთა ისევ მთებია,
მთებო, მთებურად ზვიადნო,
სიმღერა მომნატრებია,
მამღერეთ საგანთიადო.

სიმღერას მძლავრი ფრთები აქვს,
მწვერვალზე აიტყორცნება,
თქვენია, მთებო, თქვენია
ჩემი გულისთქმაც, ოცნებაც.

თქვენია ჩემი წადილიც –
უნდა ვიარო!
ვიარო!
“ძალიც შემწევს და ქადილიც”
რადგან ქართველი მქვიანო. . .
ჩემო სამშობლოვ, მთიანო,
გულიც ძალუმად ხმიანობს,

მზით სავალს გავისხივოსნებ,
ვიოცნებებ და
ვილოცებ. . .

შენი სიმღერა

“დედაიმ ფაჩუჩები მომიტანა”
ტაო-კლარჯეთელი
ქართველების სიმღერიდან

ტაძრებზე განფენილა ხავსი და სურო,
გაღმა დარჩენილა ქართული სული
ჩვენებურო,
ჩემეული გული გტკივა განა?
ჰოი.
დედაიმ ფაჩუჩები ვეღარ მოგიტანა,
ჰოი.
დედაიმ ვერ გიმღერა ტკბილი “იავ-ნანა”

დედაი შენზე დარდობს,
დედაის ტკივა ჭრილობა,

არ დაემდურო დედაის, კარგო,
დედაშვილობამ,

დედაის ტკივა დადუმებული ზარები,
დედაის ტკივა ზღვარი,
დედაის ტკივა დახშული კარები,
ტკივა მოკვეთილი მხარი. . .

არ დაემდურო დედაის კარგო,

შენი სიმღერა მწარე ნაღველია, ჩემო,
სანთლად ანთიხარ,
იწვი და დნები,
შენი სიმღერა მძაფრი ტკივილია, ჩემო
მწვავე ცრემლებია შენი და ჩემი.

შენი სიმღერა მონატრებაა დედის,
საყვედურია, ჰოი,
საყვედურია ბედის. . .
ნაკადულო,
შეგიძლია იდინო, იდინო,
წეროებო,
შეგიძლიათ იფრინოთ.

ჩემი მხარე,
ტკბილი მხარე იხილოთ,
მზე იმზეოთ მისი,
ჩრდილი – იჩრდილოთ.

მე კი მიხშობენ გზას,
განახო, გიცნო და გიგრძნო,
ჰოი, ვით ჩაგთვალო სხვად,
ჩემო სისხლო და ღვიძლო. . .
მთაო, გადმიშვი,
მთაო, გადმიშვი მიღმა,

მე ხომ ვიცდიდი,
ჰოი,
ვიცდიდი დიდხანს,
გადამქცევია
მწველ ოცნებად და სიზმრად
დედის ამბორი,
დედის ალერსი წმინდა,
“დედაიმ ფაჩუჩები მომიტანა” –ო

შენი სიმღერა მწარე ნაღველია, ჩემო,
სანთლად ანთიხარ,
იწვი და დნები,
შენი სიმღერა გულისტკივილია, ჩემო
გულისტკივილია შენი და ჩემი.

“მთვარის სონატა”

ვიღაც უკრავდა “მთვარის სონატას”
ფაქიზად წერდა მუსიკის სტრიქონს,
ის, თითქოს თბილი ტალღის მოვარდნა,
ან რაღაც უცხო ზმანება იყო.
იმგვარად, თითქოს რაღაცა იცის,
ცაზე ეკიდა ნამგალა მთვარე,
საგანთიადო, რძენარევ ნისლში
იყო მსუბუქი და გამჭვირვალე.
იმეორებდნენ ნორჩი ჭადრები
მუსიკის ბგერებს სიოს მონატანს,
როგორც შხეფები მაღალ შადრევნის
გარს იფრქვეოდა “მთვარის სონატა”.
აქ, სადღაც ახლოს დუმილს აღრჩობდნენ.
თეთრი, მსუბუქი ფარდების მიღმა
ეფერებოდნენ სულით ახლობელს,
ძალიან დიდხანს,

ძალიან დიდხანს. . .
შეუცნობელი - უცხო ზმანება,
მიუხვედრელი – უცხო ვედრება,
წუთი, რომელიც თან გენანება
და არც არასდროს გეიმედება –
ქმნიდა მუსიკა ამგვარ ანარეკლს,
ძალა მოჩანდა მოქნილ თითებით.
და ენითუთქმელ რაღაც საწადელს
გვანდობდა ბგერა დაბეჯითებით.
აქ სადღაც ახლოს ძილი გაუკრთათ
და ჭაღის ობლადნთებულ სანთელზე
კლავიშს ანდობდნენ რაღაც სანუკვარს,
მხოლოდ და მხოლოდ კლავიშს ანდობდნენ. . .
ვიღაც უკრავდა "მთვარის სონატას". . .

* * *

მე ცვარი მიყვარს, მამა,
შენ დანაბიჯებ მიწაზე ამოსულ ბალახზე
ასხმული ცვარი,
სუფთა და წმინდა –
სევდანარევი შენი გულივით.
სუფთა და წმინდა –
სხვათა უჩუმრად ობლის მიერ
დაღვრილ ცრემლივით.

შენი დარგული ვენახი მიყვარს,
მამა,
მიწიდან ახლად ამოწვერილ
თოთო ფოთლებზე
რომ ეფერებოდი,
მსგავსად
მშობელი დედისა,
გულში რომ იხუტებს

პატარა ბავშვს. . .
შენ რომ ახლა გამომეცხადო,
მამა,
და მკითხო
ჰქონდა თუ არა აზრი
შენს შფოთიან სიცოცხლეს –
ჰქონდა, მამა,
რადგან შენ
მიეც საწყისი ჩემში
სიმართლეს,
სიკეთეს
და სიყვარულს.

* * *

ვარქვი – ”სიკეთე”
და ვიწამე ერთადერთ კერპად,
ვეთაყვანები და ვლოცულობ –
დიდება შენდა!
შენ, სუფთა ნებავ,
წმინდა ვნებავ,
ქვეცნობიერო გულისთქმავ და
სურვილო ზენავ,
შენ თანამყოფო,
თანამდგომო ყოვლად ძლიერთა –
დიდება შენდა!
ადამის ძეო,
შეიყვარე მოყვასი შენი
არ განერიდო უღონოდ და
უმწეოდ შთენილს,
მხრით შეეხიდე,
გაუწოდე ერთგული ხელი.
კლდის ნაპრალებში
მოწანწკარე თუ ნახო წყალი

არ დაიზარო,
გაუკეთე პატარა ღარი
გაივლის ახლოს
და დაგლოცავს
დაღლილი მგზავრი.
ადამის ძეო,
ზე აისხი სიკეთე აბჯრად
იღე საკუთრად.
იღე თვისად ტკივილი სხვათა.
ერთგულ ხარივით სწიე ჭაპანი
გაავლე ქვეყნად კეთილი კვალი.
ნუ, ნუ გერქმევა კაცი – ჯაბანი
შემოიფარგლე სინათლის რკალით.
ადამის ძეო,
შეებრძოლე ავსა და ბოროტს.
სიკეთე გწამდეს,
სიკეთე გწამდეს,
სიკეთე გწამდეს მხოლოდ და მხოლოდ!

. . .
ადამის ძეო,
შეიყვარე მოყვასი შენი.

* * *

სულ ერთი წამით
გადიქეც ჩემად
ტკივილი ჩემი
შენად შეიგრძენ. . .
აღიქვი ჩემი ნდობა და რწმენა

მაშინ შემიცნობ.
* * *

რატომ დამიწყო ნეტა გულმა
ძგერა სხვაგვარად
თრთვილი წაშალა
ყინვა დამზრალა,
სუსხი გამქრალა
რად მეჩვენება ჩემი სევდა ახლა პატარა. . .
კვლავ ძველებურად მიღიმიან ციდან მთიები
კვლავ ძველებურად დავალ ველად
კრეფად იების
. . .
ჰოი, დამიდგა მგონი წუთი მონანიების. . .

* * *

აიღე ტბიდან
გამჭვირვალე, ანკარა წყალი,
მისი სიწმინდე შეადარე
ამ გულს,
რომელსაც
ღმერთმა მიაგო ტრფობა თავის
სამშობლო მხარის,
და უყვარს იგი,
უყვარს
როგორც
ძლიერ ოდესღაც. . .

* * *

ხიდზე ჩამომსხდარიყვნენ
ჭაბუკი და გოგონა. . .
ენთო ჩაუქრობელი
ტრფობის ჭიაკოკონა
ხიდის ქვეშ კი მდინარე
ნება-ნება ვიდოდა.

ღმერთო, ამ ქვეყანაზე
იყოს მარად მშვიდობა!. . .

შენ გაგანდობ მხოლოდ

მოდი,
მოგიყვები ჭია –
                მაიების ზღაპარს
მოგყვები თეთრი
                გვირილების სიზმრებს
განცდას გაგანდობ ლამაზს,
ოცნებასავით ლამაზს.
ოცნებასავით ლამაზს შემოგატარებ სივრცეს.
იცი, ვისთვის ტირის ღამე ცვარის ცრემლით,
იცი, ვის უგალობს ყვავილების ქორო,
რატომ არის ხილვა ნაზი ვარდისფერი
შენ გაგანდობ მარტო,
შენ გიამბობ მხოლოდ.

მთების გულში წყარო ვისთვის ნატვრისთვალობს
იცი, იას ზეცა ასე რატომ სწყალობს
უნდა შეგიცნოო, უნდა შეგიყვარო
ვისთვის ყვირის მთვარე, იდუმალი ვარო:
. . .
შენ გაგანდობ მარტო
შენ გიამბობ მხოლოდ.

* * *

უცნობ გარემოში
უცხო ეზოს
უცხო ჭიშკართან –
სრულიად უცნობს,
მგზავრობით დაღლილს –
მომეგება უცნობი ქალი.
მობოდიშებით ვითხოვე წყალი.
შინ მიმიწვია,
მოიტანა პური და ღვინო,
დედის გულივით თბილი იყო
ნატეხი პურის,
მამის შუბლივით დაცვარული –
ხელადა ღვინის,
გავტეხე ლუკმა.
დავილოცე და შევსვი ღვინო . .
თვით ცნება “ უცხო”
მომეჩვენა იმ წუთში უცხოდ,
არე – მოდამოს გადავხედე
ნაცნობი თვალით.

სიცოცხლე უყვარდა. . .

სიცოცხლე უყვარდა გარსია ლორკას,
სიერა – ნევადა. . .
ოცნება უყვარდა გარსია ლორკას
სიერა – ნევადა
სიმღერა უყვარდა გარსია ლორკას
სიერა – ნევადა

ცეცხლში და კვამლში გაეხვია
მშობელი გრენადა,
ცეცხლში და კვამლში
ცეცხლში და კვამლში
სიერა – ნევადა. . . .

შორს. ანდალუზიის დაბინდული
ველები მოჩანს,
უყვარდა ველების
ლამაზი ფერები
გარსია ლორკას.

კაცობრიობავ,
საყვედური როგორ გაკმაროთ,
სიცოცხლის ტკბილი მომღერალი
და . . . . უსაფლავო!

რეკავენ ზარები!
რეკავენ ზარები!
რეკავენ ზარები!
სიერა – ნევადა

ვასილ ამირიძე

უნივერსიტეტის საინჟინრო სამსახურის თანამშრომელი

* * *

ოცდარვა მარტს ავიწიეთ ცაში
ღამე იყო, სამის ნახევარი,
ცად აჭრილი ჩვენი თეთრი რაში
სივრცეს ჰკვეთავს როგორც სატევარი.
უფლის ნებით ამინდია წყნარი
სხივიც არ კრთის სადმე ნათელ მთვარის,
ვარსკვლავებით დახუნძლულა ზეცა
სხვას ვერაფერს ვერ დალანდავს თვალი.
შევეეედრე გულით ჩვენ დიდ გამჩენს
თბილისამდე წყნარად, მშვიდად ფრენა,
ფიქრებს გავყევ, მომერია რული

დიდი შვება, - ძილი მიძღვნა ზენამ.
        გვერდით მჯდომმა გამაღვიძა გვიან
ახლა ძილი განა შეიძლება?
რიჟრაჟია, გაიხედეთ გარეთ,
დატკბით, ნახეთ დიდი საოცრება....
        გავიხედე, არ ვუჯერებ თვალებს,
გაოგნებულს გული მიკანკალებს,
ულევ ფერთა ზეიმია ზოლზე –
ცას და მიწას შორის გავლებულზე.
        ამ მოვლენის გადმოცემის ნიჭი
ნაღდად არ მაქვს, - ამის თქმა არ მიჭირს,
ვინც შეიძლოს, იმას გაუმარჯოს.
ნაღდ რითმათა თქმაზე დაიხარჯოს.....
03. 04. 78

ჩემი პაწია შვილიშვილები

სხედან ეზოს კუთხეში
მაგდა, მარი, - დები.
ეზოში დაიარება
კრუხი წიწილებით.
კრუხს გაექცა წიწილა
“წია-წია” იწივლა,
მარიმ გაოცებულმა
სიხარულით იკივლა:
- დავიჭიროთ, მაგდა!
მოვეფერო მინდა.
- არ გაბედო, კრუხმა
სულ დაგკაწროს გინდა?
....შეეშინდა მაის
დაიხია უკან....

27. 07. 09

სასაფლაო

ეს საუფლოა სიცოცხლეზე გამარჯვებულის
ადამიანთა მოდგმის ძვალთა შესაკრებელი,
ნაღვლით აღსავსე არემარე, ცრემლით მორწყული,
ცოცხალთა ბოლოდ მოსასვლელი და სამყოფელი.
    უნდათ-არ უნდათ, ყველა აქეთ მოედინება
    ძლევით მოსილი, უბედური თუ ბედნიერი,
    არასდროს წყდება აქ მომსვლელთა რიგი, დინება
    გულში იხუტებს სუსტია თუ ღონით ძლიერი.
აქ ვერვინ დათვლის ძაძით მოსილ ქვებზე
დამხობილთ
მდუღარე ცრემლით რომ ტირიან შვილებს დედები,
გვერდით უდგანან მჭმუნვარე და მხრებში მოხრილი
უაზროდ სადღაც სივრცეებში მმზერი მამები.
    დაზაფრულ დუმილს ზოგჯერ არღვევს გალობა
შაშვის
    სამარეთ მდუმართ ღამით ციცქნაბულბული
ტირის,
    ყველა საფლავთან ამაყად დგას სიკვდილი თავში
    თუმც დღემდე ვერვინ ვერ დალანდა მის სახე-
პირი.
აქ თვალის ერთი გადავლებით ხდება ნათელი
საფლავთ მოწყობის მეტად დიდი სხვადასხვაობა.
აქა ჩანს ქვეყნად ვინ ყოფილა ჯიბეებსქელი
და ვინ ყოფილა ღატაკი და არარაობა.
        აქ გაგაოგნებთ წუთისოფლის წარმავალობა
        აქ ფრთებგაშლილი დანავარდობს მელანქოლია,
        აქ მოისმინო ღამით სულთა უხმო გალობა
        აქ, აქ მოსვლაზე არ დაფიქრდე??? -
მონაგონია.
.....
წმინდა წერილის კარგად ვიცით ათი მცნებიდან

ერთი გვაუწყებს დაჯერებით: “არა კაც ჰკლა”-ო, შემინდე ღმერთო! – ვერ ვგებულობ, ნაშობებს შენგან რატომ, რისთვის გვკლავ? – ან რად გინდა ეს სასაფლაო??

09.05. 09
საბურთალოს სასაფლაო

ჩემს შვილებს

არ დაელოდოთ ზეცის წყალობას
და ნურც დარჩებიტ ბედის იმედზე,
შრომით და გარჯით ეცადეთ ასვლას
ამ წუთისოფლის მაღალ კიბეზე.
04.09.97

ღამის ზეიმი წამსვე თავდება
ცის გაიღება როგორც კი კარი,
წინაპართ თქმული აქ გამოდგება: -
“ქარის მოტანილს წაიღებს ქარი”.
30. 04. 86

ჯერ დრე არ გათენებულა
არ მეგრძნო გულის ტკივილი,
არც რამე დაღამებულა
არ დამცდეს ბედზე ჩივივლი....
23. 10. 09

ეგ ყანწი მეც მომაწოდეთ
თუ დალევაა, დავლიოთ,
ეს უამური სიცოცხლე
რქა-და-ღვინოსთან გავლიოთ.
23. 11. 91

გაზაფხულის მოსალოცად

მოვედიო ენძელამ.
შენზე ადრე მოვედიო, -
ია პირში ეძგერა....

04. 04. 77

თიბათვის სამის ღამეა,
დენი გამორთეს, ბნელა.
წვიმს, თანაც ქარი უბერავს,
კავკასიონზე ელავს....
შენობის გვერდით დუდუნით
მიდის პაწაწა რუ,
აღარ მოისმის ჭოტის ხმა,
აღარსად კივის ბუ.
შორს მთებში დიდი ომია,
ხმა ისმის ფარ-ხმალთ ტეხის.
ელვას ისვრიან ღრუბლები
ხშირია ვარდნა მეხის...
გასუსულია გარემო,
აღარც ბულბული გალობს,,
ლამფის გარშემო პეპელა
უაზროდ ბრუნავს, წვალობს....
მე მალვით ძილი მიპარავს
ღამე წყვდიადში იწვის,
ვიცი, ხვალ დილით ბდღვრიალა
მზე გადაჰკოცნის ქიწნისს.

1963წ.

უძილობა მჭირს,
გული მაწუხებს,
სულ მივიჩქარი შინ,
სხეული მიგრძნობს
მეტად საწყენი
რაღაც შემხვდება წინ....

14. 11. 85

P.S. 85 წლის 12 დეკემბერს გარდამეცვალა დედა

ჩემ სოფელში შინ მოუსვლელთათვის (19კაცი) ე.წ. "ობელისკის" აგება მსურდა და ქვემოთ თქმული ტექსტის დაწერა

შენა გთხოვთ, მზეო, ამომავალო,
გვნახე, ღრუბლებს ნუ მოეფარები,
თუ კვლავ გაჭირდა მხარევ მშობელო
იცოდე ჩვენი დანაბარები:
არაგველების შთამომავალნი
ფაშისტებთანაც ვდექით კაცურად, -
გვიხმე, საფლავებს დავეთხოვებით
და კვლავ დაგიცავთ მამა-პაპურად.
აქ ერთად ყველა ამირიძე ვართ
შენი ხილვა რომ არ გვიწერია,
"მამულს" ვიცავდით, სამშობლოვ ჩვენო, -
სიცოცხლე შენთვის შეგვიწირია....

09. 05. 63

ჩემთან ერთადა შობილო, -
სალამი ჩემო სიკვდილო!
ძმობილზე უფრო ძმობილო,
დღემდე შორს ხელებგაწვდილო.
სიცოცხლე შენით კეკლუცობს
უხმოვ, უენოვ, უთქმელო,
ღმერთმა სულ შენი გზა ლოცოს
ყველას მომრევო და ქველო.
სამოცდა თექვსმეტი წელი
გრძელი გზა ერთად ვიარეთ, -
მე არა მძულხარ, იცოდე
გულისთქმა გაგიზიარე.
დიდ გამჩენს ვემუდარები
ათიოდ წელი მაჩუქე, -
მერე მოდი და მოვდივარ
სადაც გსურს იქ დამაჩოქე....

30. 04. 08

პერტე ბაგრატიონს

(ბოროდინოში ბაგრატიონის საფლავი ააფეთქეს. (პრესიდან))

უცხო მიწაზე გშობა განგებამ
დიდ მხედართმთავრად გაქცია ბედმა,
გენერლის ჩინმა გავალდებულა
რუსეთისათვის თავის დადება.
ფიცხელ ბრძოლებში მტერთა მმუსრავსა
ვაჟკაცს გშვენოდა არწივის ხედვა,
ჰერკულესს ჰგავდი ბოროდინოშიც
შენი ფრანგული ფრანგებსა სხეპდა ...
მაგრამ საწუთრომ მარად ვერაგმა
სამარადჟამოდ არც შენ დაგინდო,
მომხვდურთ მახვილმა და ბედისწერამ
სიცოცხლის გზაზე მიჯნა დაგიდო,
დიდმა ურჩხულმა პატივი დაგდო
და ეს პატივი თვითვე წაშალა,
ბოროდინოში შენი საფლავი
ააფეთქა და მიშალ-მოშალა!
იქნება დღესაც მინდორში ჰყრია
შენი ბრძოლებში დაღლილი ძვლები,
ქარი და წვიმა ჰყვანან მოზარედ,
აგერ რამდენი გავიდა წლები ...
... როს აქოთებულ იმპერიაში
შენი სახელი დიდებით ქუხდა,
პატივაყრილი ივერთ ქვეყანა
რუსთა ჩექმის ქვეშ გმინავდა, წუხდა.
მონღოლთა ურდოს ნაშიერთაგან
ერს თავს დაატყდა უხადი ჭირი,
ერეკლე ალბათ საფლავში დღემდე

სამეფო წაშლილ სამშობლოს ტირის.
ხარის სანაცვლოდ მთიული ქალის
უღელში შებმა, მათრახით ცემა,
ნამუსის ახდა ქმრის თვალწინ ცოლის
აი, რუსული ზნეობა, ქცევა ...
უბატონო და თავისუფალმა
მთამ არ იგუა მონის უღელი,
მთის შვილთა რისხვა ზე აიყალყა
მდინარედ მოსკდა ბოღმა, ნაღველი.
ხალხში წყურვილი თავისუფლების
მთიდან დაშვებულ ზვავივით დასკდა,
ხელი ხმალს იკრეს მთიულთ, მოხევეთ
და აჯანყებაც მთის საზღვრებს გასცდა.
ანანურიდან სტეფანწმინდამდე
არბიეს, ჟლიტეს მომხვდურთ გუნდები,
უთანასწორო წააგეს ბრძოლა
თავკაცთ დაედოთ ფეხზე ხუნდები.
... თეთრი არაგვის გაღმა-გამოღმა:
ცხაოტს, მლეთას და დიდველს
აზანზარებდა ზარბაზანთ ბათქი
შიშის ზარს სცემდა ტყე-ველს ...
უტეხ მთის შვილთა დამმარცხებელი
სამი ქართველი "მამულიშვილი"
სამივე რუსთა გენერლის ჩინით:
ორბელიანი, ერისთავი და ჭილაშვილი...
ამბოხის დამწყებ თავკაცთა შორის
ჩემს დიდ წინაპარს სამუკა ერქვა,
არავინ ვიცით მათ ძვალთსალაგი
ერთმა ზეცაში თუ იცის ღმერთმა ...
. . . გვიან სამშობლომ რიდით და კრძალვით
მაინც იმედით, გვთხოვა შეწევნა,
მუქარით სავსე შემონათვალმა
პასუხმა დიდხანს არ დააყოვნა:
„თუ კვლავაც მესმა მეფის აუგი
და არ იქნებით მისი ერთგული,

ჩამოვალ, მაგრამ აღარ დაგრჩებათ
სადმე ქვა ქვაზე ზედ დადებული” ...
. . . დღეს მლეთის გაღმა, ფრიალო კლდიდან
მთიელთა გლეხთა სისხლის დამქცევის,
ჰოი დაცინვავ, – ზღვარგადასულო,
ორბელიანის სახე გვიცქერის ...
. . . თბილისში როცა არ დგას ძეგლები
თამარ დედოფლის, სვომონ მეფისა,
არც ბრწინვალეა აღმატებული
ქვეყნის პატივი არც მათ ედირსა.
შენ კი, სამშობლომ, კრწანისის ველზე
არაგველებთან ძეგლი აგიგო.
აქაც დაცინვა არაგველების?
რატომ? ვის ვკითხო? ვისგან გავიგო?..
09. 01. 02

ნინო ბექაური
ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის
I კურსის სტუდენტი

ვიყავით ჩვენ და იყო ღამე

იყო საღამო, ლურჯი ცა და მთვარე
ორი ვარსკვლავი და ცხოვრება მწარე
იყო ცრემლები და იყავი შენ
უშენობაზე ვფიქრობდი ბევრს
სველი ტუჩები და ნაზი ღამე
ვიყავით ჩვენ და იყო მთვარე
იყო შეხვედრა და იყო სევდა
ჩვენ მშვიდ წუთებში ვიყავით ერთად
ვიყავით ჩვენ და იყო ღამე
იყო ლურჯი ცა და სევდით სავსე მთვარე
ლამა\ი წუთები, უაზრო წუხილი

სველი ქუჩები, ცრემლთა დუმილი
იყო საღამო, ლურჯი ცა და მთვარე
ვიყავით ჩვენ და იყო ღამე
ჩემი წუხილი, შენი ღიმილი
სულის დუმილი, მთვარის ტირილი
ვიყავით ჩვენ და იყო მთვარე
ვფიქრობდით ბევრს. ფიქრებზე მწარე
ოცნების ნაპირთან იჯდა სატანა
და არ შეგვეძლო მეტის ატანა
ქუჩაში ლანდების გამოცხადება
გაყინულ ხელებზე – თბილი შეხება
სველი თვალები და მოფერება
თბილი ტუჩები და დიდი ვნება
ვიყავით ჩვენ და იყო მთვარე
იყო ოცნება, ფიქრი მდუმარე
ლამაზ წუთებში ტიროდა ღამე
ვიყავით ჩვენ და მთაწმინდის მთვარე
ფიქრისგან დაღლილი მიწაზე დაეცა
უაზრო წუხილს ვეღარსად გაექცა.
ვიყავით ჩვენ და იყო ღამე
ანათებდა ჩუმად მთაწმინდის მთვარე.

მაინც შევხვდებით

ნისლით შემოსილია ღამის ფიქრები
ვიცი რომ მუდამ ერთად ვიქნებით
ვიცი გაწვიმდება, ოცნება გაქრება
და ჩემი სიზმრები ცხადში ახდება.
ვხვდები, დღეები სწრაფად გარბიან
ჩვენი გზები კი სიკვდილთან მიდიან
წლები მიქრიან და ჩვენ ვბერდებით
გვიან იქნება, ამას მივხვდებით
და მერე როცა სიკვდილი მოვა,
სიცოცხლე წავა, სიკვდილის დროა,
ეს განშორება დიდხანს არ გასტანს

სიცოცხლე სიკვდილს ცრემლებს თან ატანს,
გაქრება ყველგან ტანჯვა-წამება
გაქრება ცრემლი და ეშმაკთ ზმანება,
გავქრებით ჩვენ და იქნება სევდა
სატანა სადღაც კუთხეში სთვლემდა
იქ, სიშორეში ჩვენ შევერთდებით
ადრეთუ გვიან მაინც შევხვდებით.
რაც სიცოცხლეში ჩვენ ვერ შევძელით
სიკვდილის შემდეგ ჩვენ ის შევქმენით.

ქრისტინე გაბისონია

ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის
I კურსის სტუდენტი

* * *

შორი ფიქრებიდან
გრძნობას ვერეკები,
გულის წყვდიადიდან
ზეცას ვეფერები.
მიწას გული ტკივა
ზედ რომ არ დავდივარ...
ფრთები შემისხია –
შენთან მოვფრინდები....

* * *

გრძნობებში ჩავეფლობი
ფერებით გზას გავიკვლევ...
თვალებს ჭაობისფერს
ისევ უარს ვეტყვი
ტუჩებს აალებულს –
კვლავაც დავიმონებ.

გულს კი –
ნაცრად ქცეულს
სულით გავამთელებ.
სიტყვებს –
სიყვარულის კარებს
დავუხურავ.

* * *

ჯერ გაურყვნელი
სახიდან ცვივა
ბროლებად ქმნილი
ცრემლი გულისა.
აწითლებული
ლოყიდან წყდება
სურვილი
დედის სიყვარულისა.
ჩერდება დრო და
ბავშვის სათვალე
იმსხვრევა ნელა,
აუჩქარებლად.
გრძნობა ილევა,
ფერი ხუნდება,
ვარდისფერიდან
ჩნდება მოშავო.
და იმ წითურის
გულის ნარჩენიც
იწვება
როგორც თამბაქო.

* * * *

ვაშლს თაფლის სუნი აქვს,
ჰაერს – შენი.
წვიმას – გარეთ რომ იღვრება –
სევდის, არა მონატრების.

ვაშლს ჩავკბეჩ და
დიდი რაოდენობით შენ ჩაგაყოლებ.
თუმცა ენა ისეთი მწარე მაქვს
ვერცერთის გემოს ვეღარ ვგრძნობ.
ენის სიმწარე წვიმის ბრალია,
წვიმა – ცის.
რომ გთხოვო, ცა გახდები?
წვიმას შეაჩერებ?
ან ჩემთან ერთად დასველდი!...
სადღაც აქ ხარ,
მაგრამ მაინც შორს.
რომ გთხოვო
დამავიწყებ ყველაფერს?
დამახუჭინე თვალები!...

იოსებ გაფრინდაშვილი

მათემატიკისა და ფიზიკის დეპარტამენტის
პროფესორ-კონსულტანტი

ალის ციხე

ო, ალის ციხე,
ციხევ ალისა.
მტკიცეზე მტკიცე,
მტკიცე რვალისა.
იმედო ქართლის,
მცველო იმერთა,
ბურჯო ერთერთო
სულ მთლად ივერთა.
ვერ დაამარცხეთ
ველურ-მონღოლნი.
გავივლით, გიმზერთ

გულშენაღონნი.
ო, ალის ციხე,
ციხევ ალისა.
მტკიცეზე მტკიცე,
მტკიცე რვალისა.
ამ ორიოდე
თოფის გასროლამ
შენ ძველებურად
გაგახალისა.

25. 11 . 1965

ზეზვა გაფრინდაულის გახსენება

დიდება შენდა ზეზვაო,
თუშთა მამაცო ბელადო.
სპარსთაგან დაპყრობილ კახეთს
შენ მოევლინე მხსნელადო.
ჯერ მთიელ რაზმებს თაობდი,
მუსრავდი ყიზილბაშებსო.
აჯანყება რომ მომწიფდა
მიადექ ციხის კარებსო.
შუაღამეა, სპარსთ ძინავთ,
ზედმეტი ჭამით ხვნეშიან.
ნაბდით თავწაკრულ პალოებს
მოივარგებდე ხელშია.
კედელში ასობ, არბიხართ,
მოგყვება შენი რაზმია.
გადაევლებით გალავანს,
ჩახოცავთ მცველებს ავზნიანთ
და ბახტრიონის ციხეში
შედის ქართველთა ჯარიო,
გარბიან ყიზილბაშები,
გაუწყრათ ქრისტეს ჯვარიო.
ალავერდისკენ მიმართეს
გეზი ჯარმა და ელებმა,

უკანასკნელი იმედი
რომ სცადონ სისხლისმსმელებმა.
ქართველთა ჯარის ნაწილი
თავს ესხმის საყდარს ალავერდს,
სადაც კვლავ სპარსთა ჯარი დგას,
ბრძოლას კი თავს ვერ გაართმევს.
და ბახტრიონელთ იმედად
მათკენ საშველად დაიძრნენ,
იქაა ქართველთა ჯარიც,
სპარსელი თავს ვერ დაიძვრენს.
აჰა, ალვანის ველიცა,
სპარსელნი ერთურთს ხვდებიან.
უკან მდევარი ქართველნი
უწყვეტელ სალტედ ხდებიან.
იქით-აქედან ქართველნი
რკალში აქცევენ სპარსელებს
და ერთიანად გასწყვეტენ
სპარსეთის ჯარს და მათ ელებს.
შახმა შეიტყო ამბავი
მისსა ხალხსა და ჯარზეო,
სწრაფად აფრინა ფაიქი
ქართველი მეფის კარზეო.
ითხოვს ისპაჰანს გაგზავნას
ამ ჯანყის ხელმძღვანელების
და იქ მათ გასამართლებას
ვით უმიზეზოდ მკვლელების.
შეიტყვე შახის მოთხოვნა
მაგრად გადიხარხარეო:
”მოემზადენით, მოვდივარ
გზას დავადგები ხვალეო”.
ომი არ დამთავრებულა,
მხოლოდ დამთავრდა ეს ბრძოლა.
მაგრამ შაჰის კარს მოედვა
ჯანყისგან შიში და ძრწოლა.
მეფის გავლენით სცილდება

ჯანყს თავად-აზნაურობა.
შენ ცალკე კვლავ ძველებურად
არ იშლი აქტიურობას.
ჩაგისაფრდნენ და შეგიპყრეს.
ტყუილუბრალოდ გაგტანჯეს.
ერთხან თბილისში გამყოფეს
შემდეგ სიკვდილით დაგსაჯეს.

2009წ

იმერეთის სამეფო ხრესილის ომის წინ

იმერეთის სამეფომ
კოპწიამ და პატარამ,
მტკიცე ქვეყნის კვალობაზე,
წლები გამოატარა.
ფრინველებში ვით გვრიტი,
უკანასკნელ ხანებში,
ბეწყინავდა მარგალიტი
ფირუზთ ოკიანეში.
იცვლებოდნენ მეფენი.
წლები წლებსა ჰყვებოდა,
მაგრამ შუქის მომფენი
მეფე არა ჯდებოდა.
დადიანიც მეფობდა,
გურიელიც ხანდახან.
აბაშიძეც კი ფლობდა
მის ტახტს სხვათა მხარდამხარ.
მეფეების გრძელი სია
აგრერიგად გამოკრთის.
იყო ყველა მათგანი
” მონა ღვთის და ყმა ხონთქრის”.
მეთვრამეტე ასწლეულს
ალექსანდრე მეფობდა.

შუახნამდე მიღწეულს
ძლევდა ავადმყოფობა.
ალექსანდრეს ნომერი
რიცხვით იყო მეხუთე.
არ ყოფილა მეხოტბე.
მეფისათვის უღირსი
მან ნაბიჯი გადადგა:
ხახულის ხატს გელათში
ავი თვალი დაადგა.
მეფემ მისი ქცევითა
თვით ეს ხატი ”ჯვარს აცვა”
პატიოსან თვალთაგან
ერთიანად გაძარცვა.
ჩადენილი ცოდვები
კიდევ უფრო გაღრმავდა,
იმავ ღამეს გოდებით
ორივ თვალით დაბრმავდა.
დედოფლობდა თამარი,
აბაშიძის ასული.
იყო მეტად თამამი,
უზომოდ თავგასული.
მისი მამა – ლევანი,
აბაშიძე, კაცხიდან,
თურქთა უკან მდევარი
ქვეყანას სულს აცლიდა.
სამი ვაჟი გაუჩინა
დედოფალმა ხელმწიფეს.
სამივენი დაიზარდნენ,
ერთურთს ძმობა შეჰფიცეს.
უფროსია იოსები,
საუცხოო გუნების.
მშვიდი, მოკრძალებული,
რელიგიურ ბუნების.
შუათანა – სოლომონს
სულ მზე უნდა ულოცო.

მძლავრ და სხეულჩაკირულს,
”უშიშარს, ვით უხორცოს”.
ტოლთა შორის პირველობდა
სულის, მკლავის სიმტკიცით.
სიმამაცით, მიზანსწრაფვით,
აზროვნების სიმწიფით.
ფართო ხელის მაჯებით,
მტევნებით, ხის მკოდავით.
მეტად მძლავრი თვალებით
ერთობ მზის დამკორტნავით.
რამეს თუ მიაშტერდა,
აყვა გულის ფეთქვასო,
კაცს, ჯარს, ნადირს წაახდენს,
ქვასაც კი გახეთქავსო.
ამ თვალების წყალობით
სოლომონს რომ თან ახლდა,
ხალხი ბავშვიბიდანვე
ქვახეთქიას ეძახდა.
მესამე ძმა არჩილი
ფიცხი, დაუდგრომელი,
ძვალმტკიცე, ძარღვიანი
”სამ ნაბადზე მხტომელი”.
სოლომონის ღირსებას
ალექსანდრე ამჩნევდა,
ამიტომაც სამეფოდ
შუათანას არჩევდა.
ძმების სივაუკაცესა
დიდი ჭკუაც თან ახლდა.
უყოყმანოდ ორივე
მამის გახდა თანახმა.
ალექსანდრეს სამარისკენ
ფეხი ჰქონდა გაწვდილი.
მიიცვალა და მაშინვე
ტახტისადმი გაწვრთნილი,
იწყებს ბრძოლას ზოგიერთი

ბაგრატოვანთ გვარისა.
დაივიწყეს მამა-ღმერთი
მტრობა ჰქნეს მოყვარისა.
ბაგრატოვანს ვინღა წუხდა,
მეობას ცდის თავადი,
მაგრამ ნატვრა არ აუხდათ
ამ ორგულებს თავამდი.
აქ მეფის ძმა გაიქაჩა,
ძმისშვილია მაშვრალი.
ორივენი ”დაიჩაგრნენ”
დარჩენ ხახაგამშრალნი.
შვილს მეფური სისხლი ჰქონდეს
და მეფურად აჩქეფდეს,
მაშინ როგორ უნდა მოხდეს,
რომ იგი არ გამეფდეს!
და, ჰა! ტახტზე კიდეც ჯდება
ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი.
ხალხი მეფეს ეგებება
ცაში ხელებაწვდილი:
”შეგვიბრალე მეფევ დიდო,
ვართ შენი მზის მფიცავი
ოსმალეთში არ გაგვყიდონ
ეგ წყალობა გვიყავი.”
სოლომონმა ხალხის სიტყვას
სიტყვა მისცა მეფური:
”ვინც გაბედავს თქვენს გაყიდვას
იქმნას შეჩვენებული”.

სოლომონის ორგული
თავადები შეთანხმდნენ,
მეფის მტრებად ქცეულნი
ერთად კავშირს შეკრავდნენ.
ესენია: როსტომი,
ერისთავი რაჭიდან.
დაივიწყა თვისტომნი

საამისო რა სჭირდა.
გიორგი და მამუკა
სოლომონის ბიძები.
ძმისშვილს გზას რომ შეუკრავენ
რაღა ბიძა იქნები.
მამია გურიელი,
რომ პატრონობს გურიას,
უგულო სულიერი
ებრძოლება გულიანს.
სოლომონის ბაბუა –
აბაშიძე ლევანი,
რა აზრმა გააბრუა
ქრისტემ დასდოს ზღვევანი.
დედოფალი თამარი,
დედა სოლომონისო,
რად არ ჰპოვა სამარი,
შვილის მტრებს ემონვისო.
ეს კი მეტის მეტია,
მატიანემ არ იცის,
შვილი გაუმეტია,
ოდნავად არ განიცდის.
აფხაზთა და იმერთა
მამა, კათალიკოსი
შეაჩვენა ის ღმერთმა,
მართლაც ფანატიკოსი.
ეს ძმა იყო როსტომის,
ერისთავის რაჭისა.
აჯანუებულთ მიმდგომი
მპყრობი მრწმენთა საჭისა.
სოლომონი დამარცხდა,
ახალციხეს გაიქცა.
ფაშამ ჯარი გადასცა,
ხალხის სისხლი დაიქცა.
ხელმეორედ რა დაჯდა
ის სამეფო ტახტზედა,

ორგულ თავადთა დასჯა
დაიფიცა ხატზედა.
ზოგი კიდეც დალაშქრა,
ყურადღება მიიპყრო,
დადიანს დაემოყვრა,
ზოგი ისეც მიიმხრო.
გურიელი მამია
გადააგდო ტახტიდან,
გაამთავრა გიორგი,
ძმა მისივე სახლიდან.
იგი დიდი წვალებით
მთავრის ტახტს დაიბრუნებს.
ასევე მოკრძალებით
სოლომონსაც ირწმუნებს.
სამ წელიწადს იმერეთი
განმტკიცდა და გამაგრდა.
(ჩუმად იყო სათათრეთი)
ჯარს ქართლსაც კი ახმარდა.
სოლომონი იყენებს
ფეოდალთა შორის შუღლს.
ზოგს დააწინაურებს,
ზოგის გულშიც ბოღმა დუღს.
” საუდიეროს” გლეხებს
გადასახადს გადუწერს.
სამეფო გადასახადს
სპობს ან ვადას გადუწევს.
ფეოდალებს ეკრძალება
თავის გლეხის გაყიდვა.
მათ კი მეტად ეძალებათ
ყმაწვილ მეფის გაქირდვა.
მეფე გლეხთა ყიდვიდან
”ტყვის სყიდვაზე” ილაშქრებს.
მისი ნერგი ძირიდან
კენწერომდე ისხამს ფრთებს.
”ტყვეთა სყიდვა ” ფეოდალთა

შემოსავლებს მატებდა,
სწორი განსჯით მეომართა
მოსპობის აზრს ბადებდა.
ყიდვა ფოთში ხდებოდა,
ხმა ისმოდა თურქული.
მამულს ეთხოვებოდა
ხალხი გულდათუთქული.
იმერეთის მთა-ველთა
მცხოვრებლებს რომ არბევდა,
მაჰმადიან ქართველთა
რაზმი წარმოადგენდა..
ბევრი ამ რჯულშეცვლილთა,
ქართველად რომ შობილა,
უბრწყინვალეს თავადთა
ნათესავი ყოფილა,
ციხეებში თურქებს ხომ
ეს რაზმები ჰყოლოდათ,
იმერეთიც ამიტომ
დაპყრობილი ჰგონოდათ.
მეფე კარგად ხედავდა
თავადებთან მათ კავშირს,
ამიტომ ვერ ბედავდა
მათთან ბრძოლას, მთლად გაშლილს.
ჯერ თურქთ უნდა შებმოდა,
ციხეები აეღო,
ზურგი მტკიცე ჰქონოდა,
ორგულები დაემხო.
მეფე იწყებს სამზადისს
და საომრად თავსა დებს.
კომლზე კაცის გაგზავნის
ცნობას აწვდის თავადებს.
მეფე ითვალისწინებს
მაშველ ჯარის შემოვლას.
ახალციხის გზას კეტავს
გადასასვლელს – ზეკარსა.

აყენებს რკინის მკვნეტავ
რაზმს სიცოცხლით მჩქეფარსა.
თხმელის ციხის კედლებში
გამოკეტეს თათრები:
ალყით ბრძოლას უქებენ
აგიაშვილს ამქრები.
ბათუმის და ფოთის გზებს
მიქელაძე დარაჯობს.
რაზმს ბრძოლისთვის განაწყობს,
მასთან შებმას გაცლა სჯობს.
ქუთაისის ციხესა
”ფიცის კაცნი ” ალყობენ.
უსპობენ დილის ხემსსა,
ყელს ნერწყვითღა ალბობდნენ.
შორაპანის სიმაგრე
არის ისეტ ალყაში,
რომ თათრებს იქ მეტადრე
აღარ ძალუძთ პარპაში.
კვნესენ უცხოტომელნი.
ალყას თაობს არჩილი.
”სამ ნაბადზე მხტომელი”
აქილევსის აჩრდილი.
ცუცხვათის ციხისთავი
ისე შეავიწროვეს,
გარეთ გახედვის თავიც
კი აღარ დაუტოვეს.

2005

გიორგი გელაშვილი
სტყეო სამეურნეო ფაკულტეტის
I კურსის სტუდენტი

სისხლიანი ცხვირსახოცი

თავი I

მე მსურს მოვითხრო მკითხველს იმ სატრფიალო ამბის შესახებ, რომელიც პატარა სოფელ ახალციხეში მოხდა. ახალციხე მდებარეობს კასპის რაიონში, მტკვრის მარჯვენა მხარეს, ეს არის უნშვენიერესი სოფელი, ჩამწკრივებულია თეთრად შეფენილი სახლები, სოფლის ცენტრში აღმართულია ორ სართულიანი სახლი. ამ სახლში ცხოვრობდა კარგად შეძლებული გლეხის, ვახტანგ ვაშაყმაძის ოჯახი! ვახტანგს ჰყავდა ორი შვილი "ნინო" და "ნოდარი". 15 მაისს ნოდარის ქორწილი იყო, ეზოს კარი ღია იყო და მაყრიონს ელოდნენ. ვახტანგის ცოლი "ქეთევანი" ხშირ-ხშირად იყურებოდა გარეთ.

აი შორიდან გაისმა მუსიკის ხმა და ქეთევანი გარეთ გავარდა, მალე ეზოსთან მსუბუქი მანქანა გაჩერდა, გაიღო მანქანის კარი და ახლად დაქორწინებულნი გადმოვიდნენ. დაუკრეს მუსიკა და დაიწყო ლხინი! თამაზი საცეკვაოდ გადმოვიდა და თან გადმოიყოლა თავისებური სიმხიარულე,ხალხი აქეთ-იქით იყურებოდა, ზოგი მათგანი სიძის ცევას მოითხოვდა, ზოგიც პატარძლის, მაგრამ თამაზმა ყური არავის ათხოვა და საცეკვაოდ "ნინო" და "ნოდარი" გადმოიყვანა. დაძმანი ცეკვავდნენ და ამ დროს ნინოს სიწითლემ დაუარა და ცეკვის ხალისი დაკარგა, მან დაინახა თავისი სატრფო "ზურიკო", იგი ნერვიულობდა, რადგან მისი საფიცარი "ნინო" ცეკვავდა და თავად იტანჯებოდა. "ზურიკომ" ეს

ვერ აიტანა და ხალხში გაერია, როცა უკან მოიხედა დაინახა რომ მისი საფიცარი “ნინო” უღიმოდა და ეკეკლუცებოდა სრულიად უცნობ “თამაზს”. თვითონ “ზურიკო” იყო შავგვრემანი, ხვეულთმიანი, მშვენიერი პირ-სახის,საშუალო ტანის ახალგაზრდა. იგი 20 წლის იყო, მას ჯერ კიდევ მაშინ უყვარდა “ნინო” როცა 16 წლის იყო! 4 წელი გავიდა მას შემდეგ რაც ერთმანეთი უყვარდათ, ახლა კი “ნინომ” მოულოდნელად სხვაზე გაცვალა.

– ნინო არ მიღალატებს” – ფიქრობდა ზურიკო, მას ეჩვენებოდა რომ ნინოს სიყვარული გამქრალიყო და ეს აწუხებდა, გულს უკლავდა, ლხინი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, რომ ზურიკო დაღონებული და გულნაწყვეტი წავიდა სახლში, იგი გაუხდელად დაწვა საწოლზე და თვალწინ წარმოუდგა ნინო და ის მომენტები რაც ქორწილში იხილა. გაიხედა მაგიდისკენ და ნინოს მომღიმარი ფოტო დაინახა, ზურიკომ ფოტო აიღო, დახედა და თავსთვის ჩაილაპარაკა –”რატომ მიღალატე? ასე რატომ მტანჯავ “ნინო”? სხვაში გამცვალე საყვარელო?” ის ლაპარაკობდა ნინოზე და თავისივე ხმიდან ტირილი მოესმა. ბოლოს დაწყნარდა და როგორღაც ჩაეძინა.

თავი II

დიდხანს მხიარულობდა ვახტანგ ვაშაყმაძის ოჯახი, ნინოს როცა ზურიკო გაახსენდებიდა დაფიქრდებოდა მაგრამ თვალწინ თამაზი წარმოუდგებოდა ხოლმე, ამ დროს თამაზი წამოდგა და ახლად დაქორწინებულების სადღეგრძელო წარმოთქვა, სასმელი მოსვა და ნინოს გადახედა, თითქოს თვალებით ეუბნებოდა მალე ჩვენს სადღეგრძელოსაც ასე წარმოთქვამენო!

თამაზი დაჯდა და თავის ამხანაგს ფურცელი სთხოვა, როცა ფურცელი მისცეს ამოიღო ჯიბიდან

ავტოკალამი და წერილის წერას შეუდგა! წერა რომ დაასრულა ნინოსთან გაატანა ბავშვს, როცა წერილი ადრესატთან მივიდა ნინომ იკითხა "ვისგან?" – "თამაზისგან" იყო პასუხი.

ნინომ გადაწყვიტა წერილი განმარტოებით წაეკითხა, სახლში ავიდა და ერთ–ერთ ოთახში შევიდა, ოთახში მაგიდა გაწყობილი იყო, მაგრამ არავინ ჩანდა, ეტყობოდა აქაც ვინმეს ექეიფა. ნინომ წერილი გაშალა და კითხვას შეუდგა: "ძვირფასო ნინო! შენი თვალების ელვარებამ ჩემს გულში ჰპოვა ადგილი, დაგინახე თუ არა მე ვიგრძენი სიყვარულის დიდი ძალა. აი ამ წერილსაც ეს გრძნობა მაწერინებს და ყოველი აქ დაწერილი სიტყვა ჩემი სიყვარულის დასტურად მიიღე". ნინომ წერილის კითხვა მოათავა თუ არა სავარძელს დაეყრდნო და ქვითინი დაიწყო. გულში ერთი მხრივ ნაღველი ჰქონდა, მეორე მხრივ ის ქორფა სიყვარული რომელსაც თამაზის მიმართ გრძნობდა. – "ნუთუ მას შევუყვარდი? ნუთუ სიყვარულს მეფიცება?" ნინო ფიქრებში იყო გართული, როცა ზურიკო გაახსენდა,რომელიც მისი დიდი სიყარული იყო და დღეს მოულოდნელად გაცვალა სხვაზე! "არა თამაზი ჯობია!"–გაიფიქრა ნინომ და წერილის წერა დაიწყო, წერა მოათავა, დაბლა ჩავიდა და წერილი თამაზს გადასცა.

თავი III

გათენდა ორშაბათი დილა, ქორწილი დამთავრებული იყო და ეზოში ქალები ტრიალებდნენ, ამ დროს ქუჩის კარებთან მანქანა გაჩერდა და ზურიკო გადმოვიდა.

–"ზურიკო გუშინ რატომ არ ბრძანდებოდი ნოდარის ქორწილში?" –ჰკითხა ქეთევანმა. ზურიკომ კითხვა უპასუხოდ დატოვა და კითხვითვე უპასუხა.

–"ნინოს ნახვა მინდა და სად არის?"

–”ნინოს სძინავს” – უპასუხა ქეთევანა.

ზურიკო თბილისში მიდიოდა და უნდოდა ნინოს უკანასკნელი პასუხი გაეგო, “ნინოს სძინავს” გაიმეორა გულში, ჯიბიდან ოთხად გაკეცილი თეთრი ქაღალდი ამოიღო და ქეთევანს გადასცა, თან დაუბარა “ნინოს გადაეცით მე თბილისში აღარ მივდივარ!” ზურიკო ნინოს დედას გამოემშვიდობა და წავიდა.

ქეთევანი ნინოს ოთახში შევიდა, ნინოს მშვიდად ეძინა, “ნინო” გაისმა ქეთევანის მშვიდი ხმა. ნინომ თვალები გაახილა და დედას გამოეხმაურა. ადექი შვილო ზურიკომ ბარათი გადმოგცა. ზურიკოს ხსენებაზე ნინოს თავბრუ დაეხვა, ადგა, კაბა ჩაიცვა და აივანზე გავიდა, “მომეცი დედი ბარათი!”– ქეთევანმა ბარათი გადასცა და დანაბარებიც უთხრა. ნინო თავის ოთახში გავიდა, თვალზე ცრემლები მოადგა და წერილის კითხვა დაიწყო: “ნინო მე ხვალ მივდივარ თბილისში, შენთან მოვედი, რადგან მსურდა შენგან გამეგო უკანასკნელი პასუხი, დღეს 4 საათზე შევხვდეთ კულტურის სასახლესთან. ზურიკო“ ნინომ წერილი დახია. თავი ბალიშში ჩადო და ტირილი დაიწყო, როცა დაწყნარდა საათს შეხედა და ოთხს აკლდა ოცი წუთი, ნინო მზადებას შეუდგა და შესახვედრად წავიდა. ხელში ლამაზად ნაქარგი აბრეშუმის ცხვირსახოცი ეჭირა.

ზურიკომ მოსვენება დაკარგა, საათს დახედა და ოთხს აკლდა ხუთი წუთი! აი ნინოც გამოჩნდა, როცა ზურიკოს მოუახლოვდა მან ნელი ხმით უთხრა!

–”რა მოხდა ჩვენს შორის ნინო?”–არაფერი ზურიკო, აღარ მიყვარხარ!

–”ვიზე გამცვალე?”– თამაზზე იყო პასუხი.

ხა-ხა-ხა-ხა გაიცინა ზურიკომ, ისინი მალე დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ უპასუხო კითხვები

მაინც ბევრი დარჩა! წასვლისას ნინოს ხელიდან ცხვირსახოცი დაუვარდა, ზურიკომ აიღო და გულში ჩაიკრა.

თავი IV

გათენდა და დადგა ზურიკოს გამგზავრების დროც! მას უძილობისგან თვალები დასიებული ჰქონდა, სახე მოქანცული. აიღო ჩემოდანი და წასასვლელად მოემზადა, მიდიოდა და თან მიჰყვებოდა ნინოს სახე, თავისივე სიტყვებით. აი თბილისიც, ზედ შუა ადგილზე მტკვარი. ზურიკო სახლში მივიდა და თავის ოთახში შევიდა. ზურიკოს თვალწინ წარმოუდგა ნინოს სახე და მისი თეთრი ცხვირსახოცი, რომელიც მას ჰქონდა.

ზურიკო ფიქრებში ისე იყო გართული რომ ვერც შეამჩნია როგორ დადამდა, უცებ აზრი დაებადა: "ღამეა, ვერავინ დამინახავს რომ მომეშველოს, ავდგები და თავს დავიხრჩობ მტკვარში". მან გადაწყვიტა ფიქრი სისრულეში მოეყვანა. ადგა, მონახა თეთრი ფურცელი, ავტოკალამი. ნინოს თეთრი ცხვირსახოცი, დანა და წავიდა მტკვრისკენ! მდინარე ადიდებული იყო, ტალღას-ტალღაზე მოაგორებდა, მსხვერპლი კი ზურიკო იყო, ეს ცელქი, ოცი წლის უდარდელი ახალგაზრდა, ეხლა კი სიკვდილათან აქვს საქმე. ზურიკომ წერილი დაწერა, მარცხენა ხელზე თითი მოიჭრა, თეთრი ცხვირსახოცი სისხლით გაუღინთა, შიგნით თითი და წერილი გაახვია და ნაპირზე დადო! მან კიდევ ერთხელ გადახედა საქართველოს დედაქალაქ თბილისს . ზურიკო ნაპირთან მივიდა, ხელები მაღლა აღაპყრო: "მშვიდობით ნინო, მშვიდობით ჩემო მტანჯველო," ეს სიტყვები წარმოთქვა და მტკვარში გადახტა! მტკვარმა ჩაიხუტა მთვარისა და ვარსკვლავების შვილი "ზურიკო". ის მტკვარმა შთანთქა.

თავი V

გათენდა, გაიღვიძა თბილისმა, ყველა სამსახურში მიიჩქაროდა. სტუდენტები კი სასწავლებელში. მხოლოდ ზურიკო შთანთქა მტკვარმა, ის ცელქი ბიჭი, რომელიც ხშირად ბანაობდა მის ტალღებში. მტკვრის ნაპირზე მწყობრად მიდიოდნენ მუშები. აი მიუახლოვდნენ იმ ადგილს სადაც ზურიკომ წერილი დატოვა, მოწინავე მუშა შეჩერდა, მის წინ იდო სისხლში ამოსვრილი ცხცირსახოცი, მასში გახვეული დანა, თითი და ბარათი! მუშამ ბარათი წაიკითხა, ბოლოს ზურიკოს მისამართიც ნახა. მუშას თვალებზე ცრემლი მოადგა, "მაშ ის დაიხრჩო?" თქვა მუშამ და გვამის ძებნას შეუდგნენ. შემდეგ მოწინავე მუშა ფოსტაში წავიდა და წერილი ზურიკოს დედას გაუგზავნა.

–მარიამი ეზოში ფუსფუსდება, როცა ფოსტალიონმა ბარათი მიაწოდა, თავბრუდაეხვა, წაკითხვას ვერ ბედავდა, ბოლოს ეს სიტყვები ამოიკითხა: –"თქვენი შვილი ზურიკო მტკვარში დაიხრჩო". – შვილო ზურიკო, წამოძახა მან და გულწასული დაეცა მიწაზე. მეზობლები მიცვივდნენ მაგრამ ვერ გაეგოთ გულის წასვლის მიზეზი, ბოლოს ერთ–ერთმა მის ხელში ბარათი დაინახა და როცა წაიკითხეს ყველა მიხვდა მიზეზს!

მეზობლები გვამის ჩამოსატანად წავიდნენ. გვამი უკვე გაპატიოსნებული იყო მუშების მიერ და არც გადმოსვენება გართულებულა!სოფლელები წყევლიდნენ ნინოს, რომელმაც დაღუპა სოფლის საყვარელი შვილი ზურიკო. ზურას უკანასკნელ გზაზე მიაცილებდნენ სოფლელები, დიდი და პატარა, მოხუცივით დაბერებული ნინო ლოყებს იკაწრავდა და ხმით მოთქვამდა. ნანობდა რომ მიატოვა, ნინოს კი თამაზმაც უღალატა.....

ე პ ი ლ ო გ ი

ამ 10 დღის განმავლობაში ჯერ ისედაც დაბერებული ნინო 100 წლის მოხუცს დაემსგავსა, თმაში ჭაღარა გამოერია, სახლიდან გარეთ არ გამოდიოდა, რადგან ყველა დამცინავად უყურებდა. ის იჯდა თავის ოთახში და ზურიკოს ფოტოს დანახვაზე აკანკალებდა, თან ახსენდებოდა რომ მისი გულისთვის დაიხრჩო თავი.

მაისის მზიანი დღე იყო, თვე იწურებოდა, ზურიკო ცივ სამარეში განისვენებდა, ის ვერ ხედავდა მაისის სილამაზეს, არ ესმოდა ბულბულთა გალობა და ვერ სუნთქავდა იმ ჰაერს რომელიც ასეთი კარგია წლის ამ დროს... ნინოს სახლში ზარმა დარეკა, ნინომ კარი გააღო, იგი გაფითრდა, მის წინ ზურიკოს დედა იდგა. ნინო გულწასული დავარდა ძირს. – "ნინოოო!" –დაიკივლა მარიამმა, ქეთევანი შეშინებული გამოვარდა. ის არ ელოდა რომ მარიამი იქ მივიდოდა. ნინოს წყალი დაალევინეს და მოსულიერდა.

–"რა მოხდა?" – იკითხა ნინომ!

– არაფერი – მარიამი მოვიდა შენ კი გული წაგივიდა.

–"რა უნდოდა მარიამს?"– ქეთევანმა ნინოს სისხლიანი ცხვირსახოცი მიაწოდა, როცა მან ცხვირსახოცი გახსნა ზურიკოს თითი გადმოვარდა, იქვე იყო ბარათიც! აიღო ნინომ თითი, ხელი მოუსვა და ტირილი დაიწყო. ის თავის ოთახში წავიდა, ბარათი გაშალა და კითხვა დაიწყო. აი რას წერდა "ზურიკო".

ძ ვ ი რ ფ ა ს ო ნ ი ნ ო !

"შენმა არაფრის მთქმელმა პასუხმა იქამდე მიმიყვანა, რომ მტკვარში თავს ვიხრჩობ. ამ წერილს სიკვდილის წინ ვწერ, მტკვრის ნაპირზე,

როდესაც მტკვარი ხახადაღებული ღელავს და ელის ჩემს სხეულს. მე შენთვის ვიხრჩობ თავს, შენ კი გაიხარე თამაზისთან, ჩემს მეტოქესთან. ნინო ეს შენი აბრეშუმის ცხვირსახოცია, რომელიც კულტურის სასახლესთან დაგივარდა, ჩემი სისხლითაა შეღებილი, მე ვკვდები შენი გულისთვის. მეძახიან! მშვიდობით ნინო!

სიცოცხლის მანძილზე შენგან დატანჯული
ზ უ რ ი კ ო ! “

ნინომ წერილი წაიკითხა და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა, ის იყო ზურიკოს პირველი სიყვარული, პირველი ცრემლი. ნინომ შეინახა სისხლიანი ცხვირსახოცი, თითი და ბარათი. ეს იყო ზურიკოს უკანასკნელი სახსოვარი, რომელიც ნინოს მისგან დარჩა.....

მარიამ გრიგოლია

ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის
II კურსის სტუდენტი

შემთხვევით დაიწყო. . .
შემთხვევით დამთავრდა. . . . .

ეს მოხდა მაშინ, როდესაც ყველაზე ლამაზი იყავი, ყველაზე ბედნიერი, ყველაზე უდარდელი, ყველაზე მხიარული .... ეს მოხდა ბავშვობაში....

ეს მოხდა გაზაფხულზე, როცა მზის სხივების სიმხურვალე იმდენად ძლიერია, რომ შენც გათბობს და სურვილი გიჩნდება სხვაც გაათბო... როცა

ყველაფერი იღვიძებს და როცა უბრალოდ, ცხოვრება მშვენიერია.....

შემთხვევით დაიწყო... თამაშით დაიწყო... სიცილით დაიწყო.... თვალებით დაიწყო.... მხოლოდ თვალებით... თვალები ხომ ყოვლის მთქმელია.... ლამაზი თვალები... თაფლისფერი, წყლიანი, ნაღვლიანი, ეშხიანი, გამომწვევი.... აქ ხომ სიტყვები უბრალოდ ზედმეტია... როგორი მშვენიერი და როგორი ველური... როგორი მგრძნობიარე და როგორი უგრძნობი....

უთქვამთ თვალები ყოვლისმთქმელიაო... თურმე ცდებიან... ზოგჯერ თვალები იტყუებიან.... თვალები გულის სარკეაო, გულის ანარეკლიაო... ესეც არ ყოფილა მართალი..... სიყვარული ბედნიერებას მოგიტანსო..... სისულელეა.....

შემთხვევით დამთავრდა.... ის რაც დაიწყო შემთხვევით.... ან სულაც არ დაწყებულა.... უბრალოდ თვალებმა შეგაცდინეს თაფლისფერმა, ლამაზმა, ნაღვლიანმა, მშვენიერმა და თანაც საზიზღარმა.....

არ დაუჯეროთ თაფლისფერ თვალებს... დაიჯერეთ იმის, რომ შემთხვევით დაწყებული სიყვარული დამთავრდება უბრალოდ შემთხვევით.... და აღარასდროს განმეორდება.....

* * *

თენდებოდა. სოფლისკენ მიმავალ გზაზე ავტომანქანა მიჰქროდა.. გვარდიის ტანსაცმელში გამოწყობილ ახალგაზრდას მხრები სავარძელზე მიეყრდნო, თავი გადაეწია და ცაზე აგორებულ ღრუბლებს შესცქეროდა.

მანქანაში ქართველები ისხდნენ. სულ სამნი იყვნენ, სამივეს შეწუხებული და დაღლილი სახე ჰქონდა.

არა, ეს წვიმის არ არის, თავისთვის ჩაილაპარაკა კახამ.

თენგო ამჯერადაც წყნარად იჯდა. ისინი სოფლის განაპირას გაჩერდნენ, არ იცოდნენ საით წასულიყვნენ, არც ის იცოდნენ ახლო-მახლო თუ იმყოფებოდა ვინმე ქართველთაგანი.

კახამ თენგოს და ლადოს ურჩია სოფლის ახლოს მიტოვებულ სახლში მისულიყვნენ. იქნებ სადმე ცოტა საჭმელიც ეპოვნათ და მშიერი კუჭი ამოევსოთ.

სახლი ჩვეულებრივი იყო. შინ არავინ დახვდათ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ოჯახის წევრებმა სახლი ახლახან დატოვეს.

ბიჭები საჭმელს ეძებდნენ, მაგრამ ვერაფერი იპოვნეს. ისინი მალე გაშორდნენ დაცარიელებულ სახლს, მანქანაც იქვე ეზოში დატოვეს და ფეხით გაუდგნენ გზას; მათი აზრით ასე უფრო ადვილი იქნებოდა სამშვიდობოს გასვლა.

სოფელი თითქმის დაცარიელებული იყო. ბიჭები ამჯერად მიტოვებული სკოლის შენობას ამოეფარნენ. უეცრად უხილავმა ყუმბარამ ვაშლის ხეებს შორის გაიშხუილა და სკოლის კედლები შეაზანზარა.

თითქოს ღვინით სავსე ბოცას საცობი მოსძვრაო, ისეთი ხმა ჰქონდა ყუმბარმტყორცნს.

სკოლის ფანჯრებიდან ერთდროულად გადმოიფრქვა წვრილ ნამსხვრევებად ქცეული მინა. მოულოდნელად სკოლა ყოველი მხრიდან უცნაური ნათელით აღმოჩნდა გარშემორტყმული.

იმავე წამს გაისმა სასოწარკვეთილი ყვირილი. კახა გაოგნებული დარჩა. გივი და თენგო აღარ ჩანდნენ, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. მან უეცრად

ავტომატიანი კაცი დალანდა, რომელიც ფანჯრიდან გადმოხტა და ვიღაცას დაედევნა, რასაც სროლის ხმა მოჰყვა. რამდენიმე წუთის შემდეგ კაცის კვნესის ხმა მოესმა. ის ფეხაკრეფით წავიდა იქითკენ, საიდანაც კვნესა ისმოდა. დაჭრილი თავისი მეგობარი აღმოჩნდა, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა. თენგო თითს სკოლის შენობისკენ იშვერდა და თან რაღაცას ანიშნებდა.

კახამ სკოლის შენობაში პატარა გოგონა აღმოაჩინა, რომელიც შიშისგან ცახცახებდა. მას სახეზე ვარდისფერი გადაჰკვროდა. გოგონა ხელში აიყვანა და მკერდში ჩაიკრა. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, მან ხომ დაჭრილი თენგო მიატოვა.

ბავშვით ხელში თენგოსთან გაიქცა. სამწუხაროდ, თენგო უკვე მკვდარი დახვდა. გივი კი არსად აღარ ჩანდა.

არც ახსოვს, როგორ გადაირბინა ბოსტანი. სიმინდის პატარა ყანაში შევარდა და ცდილობდა ტყისკენ გაქცეულიყო...

გარბოდა....

სუნთქვა შეეკრა, მეტი სირბილი აღარ შეეძლო. თანაც გივის მდგომარეობა აწუხებდა, ვაითუ დაჭრილი იყო და დახმარება სჭირდებოდაო.

ის ფიჭვნარში მიიმალა, ავტომატი იქვე მიაგდო, ფრთხილად აიყვანა ბავშვი და მოეფერა.

გრძნობდა, გადარჩენა ჯერ კიდევ შორს იყო. თენგო მარტო დარჩა თავის ფიქრებთან, სრულიად მარტო. არ ასვენებდა კითხვები, რისთვის, რატომ ვკლავთ ერთმანეთს, რატომ გადაემტერა ძმა ძმას, ნუთუ არ აქვს ამ ომს დასასრული, როდემდე შეიძლება უდანაშაულო ხალხის სიკვდილით წამება. ათასი კითხვა ებადებოდა თავში, მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა.

ამ დროს შორიდან აფხაზური გადმოძახილი ისმოდა. იქვე ახლოს ვიღაც დალანდა. მას

გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდა, მაგრამ ცდილობდა როგორმე გადაერჩინა პატარა ბავშვი, სამშვიდობოზე გაეყვანა, თუმცა ბავშვი საკუთარ სოფელში იყო, სოფელში, სადაც ომი მძვინვარებდა.

ის ცდილობდა დაკავშირებოდა აფხაზურ მხარეს და ბავშვი გადაერჩინა. დაღლილ ბავშვს ჩაეძინა და კახა მარტო დარჩა თავის ფიქრებთან.

მას ცრემლი მოერია, ნერვებმა უმტყუნა, გაახსენდა სოფელი, ძმები, მშობლები და მისი საყვარელი ანა, რომელიც ყოველდღე ელოდებოდა. გული ცუდს უგრძნობდა.

- ხელები ასწიე და ამოდი.

კახას თავზე ორი ავტომატიანი წამოადგა. აფხაზურად ლაპარაკობდნენ, ქართველებს ლანძღავდნენ და აგინებდნენ.

ავტომატიანმა კახას ხელის მტევნები გადაუკოჭა და წინ უბიძგა.

გაქცევა არ გაბედო, თორემ აქვე გაგათავებ.

იქ ბავშვია! – უთხრა კახამ.

რომელი ბავშვი? სად არის?

კახამ აჩვენა ადგილი, სადაც ბავშვი ჰყავდა დამალული.

აფხაზურ ლაპარაკზე ბავშვი თითქოს გამოცოცხლდა და სახეზე ღიმილმა გადაჰკრა. ბავშვი რადგანაც აფხაზი აღმოჩნდა, ავტომატიანებს ეგონათ, რომ კახას გატაცება უნდოდა. კახამ ისინი ვერ დაარწმუნა სიმართლეში, რომ ის ბავშვის გადარჩენისთვის იბრძოდა.

კახას კონდახი თავში ჩაარტყეს. იგი უგონოდ დაეცა. ყუმბარმტყორცნის ხმამ მოიყვანა კახა გონს, მაგრამ ის უკვე დაჭრილი იყო. ძლიერ ტკივილს გრძნობდა. წამოდგომა უჭირდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გაათვითცნობიერა, რომ მარჯვენა თვალში მხედველობა დაეკარგა.

იქვე ერთი აფხაზი ნახა, რომელიც დაეხმარა საზღვრის გადაკვეთაში, თუმცა დიდი წვალების და ტანჯვის ფასად.

ბრუნდებოდა სახლში, მაგრამ თითქოს რაღაც არ ასვენებდა. მან ომში ძმები დაკარგა, რომლებიც მასთან ერთად იბრძოდნენ და არა მხოლოდ ძმები, არამედ მის და თითოეული ჩვენგანის საყვარელი კუთხე - აფხაზეთი.

ამალია კუპრავიშვილი

გენეტიკისა და სელექციის დეპარტამენტის თანამშრომელი

თქვენი მუსიკა

ქალბატონ ალინა ცხომარიას, უკვდავი
“სატრფიალოს” ავტორს

თქვენი მუსიკა სიმთა ორთოლვაა,
აღმაფრენა და სიყვარულია,
მზის უეცარი ამობრწყინება
მისი სითბოთი სავსე გულია.

ზღვის ლურჯ ტალღებზე ზვირთთა დგაფუნი,
ხან კი ტალღების ლივლივი ნაზი,
თქვენი მუსიკა ბულბულის ხმაა
სულს მოფენილი ვით ფიანდაზი.

დილის რიჟრაჟზე მერცხლის ჭიკჭიკი,
სამკალში მწყერის ღუღუნი ტკბილი,
თქვენი მუსიკა დედის ნანაა,
საოცრად ნაზი, საოცრად თბილი.

სიყვარულით და ზეშთაგონებით
კვლავაც შეგექმნათ უკვდავი ჰანგი.
ღმერთმა დაგლოცოთ და გადღეგრძელოთ,
გფარავდეთ წმინდა გიორგის მადლი!

ვამაყობ თქვენით

ეძღვნება ულამაზეს და უმშვენიერეს
ქალბატონ თინიკო ჩხეიძეს დიდი სიყვარულით

არსთა გამრიგემ თქვენ დაგანათლათ
სილამაზე და ნიჭი მაღალი,
ვამაყობ იმით, რომ თქვენ არსებობთ,
თქვენ რომ არსებობთ, არის მთავარი.

თქვენს სულს ანათებს და აცისკროვნებს
ქართული ენის ძარღვი ძლიერი,
თქვენს მეტყველებას სულ სხვა ხიბლი აქვს
უფრო ძირძველი, უფრო ხნიერი.

თქვენი ღიმილი სულში იღვრება,
ქართველი ქალის გამშვენებთ ეშხი,
ენა ქართული რუდ მორაკრაკებს
და მინდა შევსვა წყალივით პეშვით.

რუსთველის ენას, სულხანის სიბრძნეს,
ილიას იმედს და ვაჟას ბგერებს,
ახალგაზრდობის სულში ჩავიკრავთ
რომ გადაიქცეს დუღაბად მერე.

ტატოს მერანს და აკაკის ჩანგურს,

გალაკტიონის მუზას მშფოთვარეს,
არ დაელიოს მოჭირნახულე,
არ დაელიოს თქვენებრ მოყვარე.

დაე, გაბრწყინდეს კვლავ საქართველო,
აი, რა არის ჩვენთვის მთავარი,
კვლავ გაგეზარდოთ ქართულ ფესვებზე
დავითი, გვანცა, ნინო, თამარი!....

გახსენება

ეძღვნება ჩემს საყვარელ მამას და ჩემთვის უძვირფასეს ადამიანებს, ჩემს პროფესორ-მასწავლებლებს, რომელთაც საკუთარ თავზე გამოსცადეს დიდი სამამულო ომის მთელი სიმძიმე

მოგონებები ზოგჯერ სინამდვილეზე ნათელი და თვალხილულია, რაც დავიწყებით არ იბინდება, ის არასოდეს არ წაიშლება ხალხის მეხსიერებაში. მაგრამ, დრო მოაშუშებს ხოლმე ჭრილობებს, გვაშორებს ამბებს და შრომითი ყოველდღიურობის სწრაფ რიტმში ზოგჯერ ვერ ვიცლით გავიხსენოთ ომის უაღრესად მძიმე დღეები; შიმშილით, სიცივით, სისხლით და ცრემლით მორწყული გრძელი და ციცაბო გზა, ავბედითი ანარეკლი მისი ხანძრებისა და წკრიალა ექო გამარჯვების სალუტებისა.

გაიხსენეთ თქვენც, რომლებმაც მძიმე ჯარისკაცული გზა განვლეთ, თქვენც, რომელნიც ზურგში შრომობდით დიადი გამარჯვებისათვის, თქვენც, რომლებმაც ომის საშინელებანი ნატყვიარი მამებისა და უფროსი ძმების ნაამბობიდან იცით, რომ სიკვდილის ქარიშხალმა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებსაც გადაუარა, ომის ყოვლის შემმუსვრელმა ძალამ ბევრ ფესვმაგარ მუხას შეალეწა მაშინ ტოტები, ბევრის კერია აღიგავა მიწის პირისაგან,

ბევრს დღესაც არ გაუხდია შავი ძაძები, მწუხარების ის ჩრდილი დღესაც აქრობს ღიმილს მათ სახეზე. აბა, რით უნდა ვანუგეშოთ ქართველი დედა, ვინც ხუთი ვაჟიდან ხუთივე ომში დაკარგა, ან... თავის ერთას სამუდამოდ გამოეთხოვა?!....

ასპინძის ომის დროს მეფე ერეკლეს ასე გაუმხნევებია თავისი ლაშქარი: "ეჰეი ქართველნო! დადგა სიკვდილის ლხინიო!" აკი ვაჟაც ბრძანებს: "ღმერთიც გიშველის სიკვდილო, სიცოცხლე მშვენობს შენითა". მართლაც, გმირული სიკვდილითაც მშვენობს ჩვენი სიცოცხლე, რამეთუ მათ ღიმილს ვხედავთ გაზაფხულის ენძელების პირველ თვალის გახელაში, მოშრიალე ალვებად აღმართულან, ცეცხლოვან ყაყაჩოებად აბიბინებულან, მარადიულ ცეცხლად ანთიან მადლიანი სამშობლოს გულში. მათი სიცოცხლე კვლავაც იღუღუნებს როგორც ქედანი, იმძლავრებს როგორც ვაზი ქართული და დედამიწა მარადიული, რამეთუ სიკეთე მეტია ამ ქვეყნად, ვიდრე სიავე, ბოროტ საქმესა ყოველთვის დასძლევს კეთილი საქმე დაუჭკნობელი, სანთელ-საკმეველი ჩაუქრობელი; აკვნები კვლავაც დაირწევა სამომავლო და სამონაგრო.

ომგადახდილნო! ნაჭრილობევი საკუთარ გულ-თან ერთად რომ დაგყვებათ, ზოგჯერ ერთი შეხედ-ვით სხვისთვის შეუმჩნეველი, საკმარისია სულ პატარა ეპიზოდის გახსენება, რომ თვალები კვლავინდებულად აგენთებათ და თქვენს მეხსიერებაში კონოლენტივით გადაიჭიმება კადრები დანგრეული ქალაქებისა და სოფლების, დაქცეული კერების, ყუმბარებით გადათხრილი მშობლიური მიწების. გაგახსენდებათ შიმშილით, სიცივით, დენთის კვამლით გარუჯულ თანამებრძოლთა სახეები, ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების კაკაფონია, ჰაერში მოქანავე სახრჩობელები, მოუშუშებელი ტკივილები და მე ვხედავ, თქვენ ამ წუთში ომის

მოძულე ხდებით, აკი ამიტომაც ადრიანად დაგათოვათ .....

დღეს მშვიდობიანი გაზაფხულია ჩვენს მიწაზე, ჰაერში მაისი კისკასებს, მიწას ნოყიერი ოხშივარი ასდის, ქედანი "გუგუს" გაჰყოლია საგულდაგულოდ, სადღაც მამალი დღისეული ახირებით გაიძახის თავის ყიყლიყოს, ტრაქტორები ხნულს ავლებენ ქედის თავში და... მოდით, კიდევ ერთხელ მოვიგონოთ ისინი, ვინაც მამულის სიყვარულით იყო შობილი და მამულსავე შეეწირა, როგორც ზვარაკი.

ჩვენი, – ახალგაზრდობის ვალია პატივით და რიდით მოვეპყრათ ომის ქარცეცხლში გამოვლილ ახლობლებსა და უფროსებს, თაყვანი ვცეთ შინმოუსვლელთა ხსოვნას, გმირებს, რომლებმაც არ დაიშურეს საკუთარი სიცოცხლეც კი, რათა ჩვენი მშობლიური ცა კვლავინდებურად უღრუბლო ყოფილიყო, ჩვენი ყოველი განთიადი კი - მზის სხივებით გასხივოსნებლი.

ჩემი ბავშვობის ეპიზოდები

ბავშვობა – საოცარი ხანა თითოეული ადამიანის ცხოვრებაში; სიხარულის, უზრუნველობის, ხალისის, სიყვარულის, ცელქობის, ეშმაკური თავგადასავლების და ათასგვარი ოცნებების ხანა – დრო, რომელსაც შემდგომ ყველა ჩვენთაგანი მოინატრებს, რამეთუ, არის მომენტები, - დღევანდელი დაძაბული ცხოვრების რიტმს წუთიერად მიატოვებ და ბავშვობაში ბრუნდები.

მეც ვბრუნდები ხოლმე ხანდახან ბავშვობაში, ჩემს უძვირფასეს კახეთში. ჩემს საყვარელ სოფელ კოღოთოში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, სადაც ვისწავლე უდიდესი სიყვარული მოყვასის, მიწის; იმ

მიწისა, რომელსაც პირველად ფეხი დავაბიჯე და ჩემად ვიგულე და რომლის სიყვარულიც ისე ჩამექსოვა გულში, რომ დღესაც არ მასვენებს და თავისთან მიხმობს. ეს მონატრებაა იმ ლამაზი, წმინდა და გაუხუნარი წლებისა, რომელსაც ბავშვობა ჰქვია... ხანდახან ეს მონატრება ისე მძაფრად მომეძალება, ისეთი გრძნობა შემიპყრობს, ლამის მივატოვო დღევანდელობა, გავიქცე მშობლიურ კერაზე, ჩავეხუტო ყველას და ყველაფერს და წუთით გაყუჩებულმა, სიხარულის ცრემლჩამომდინარემ ხმამაღლა ვიყვირო: "მე მოვედი, გესმით, მოვედი, მოვედი".....

ჩემი ბავშვობის სოფელი, მწვანეში ჩაფლული, ბაღ-ვენახებით დამშვენებული, წითელი კრამიტის სახურავებით, ჩუქურთმიანი აივნებით, ხის მესერით შემოღობილი კოპწია ეზოები, ნაირ-ნაირი ხილი და სასუსნავები, ულამაზესი ყვავილებით დამშვენებული. უთენია მენახირის შემოძახილი: "გამორეკეთ, ხალხო, გამორეკეთ". ორღობეში აბღავლებული ნახირი, დედას შემთხვევით ჩამორჩენილი თვალცრემლიანი ბოჩოლა, საცემრად ატეხილი თხების გაუთავებელი კიკინი, ღორების ჭყვიტინ-ღრუტუნი და ძუძუს გარეშე დარჩენილი მეცამეტე გოჭის ფეხებზე შემოფეთება, წიწილებგაბნეული კრუხის ქოთქოთი, თავნება მამლების გვიანი ყივილი და ბებიაჩემის ჩუმი ლოცვა "რამ ატეხათ, ღმერთო, კეთილად აგვიხდინეო".

აი, ასე თენდებოდა ყოველი დილა სოფელში, უთენია დგებოდა დედა და დიდი ოჯახის სამზადისში ერთვებოდა. ახლაც მიკვირს, როგორ ასწრებდა ამდენ საქმეს შინ და გარეთ, ამავდროულად ოჯახის არცერთ წევრს სითბოს და სიყვარულს არ გვაკლებდა, პირიქით, ჩემს საყვარელ ბებიას, რომელსაც 14 წელი თვალისჩინი ჰქონდა დაკარგული, პატარა ბავშვივით უვლიდა და დაჰფოფინებდა, ის კი

ღრმად მორწმუნე მოხუცი იყო და ლოცვა-კურთხევით გამოხატავდა თავის მადლიერებას.

როდესაც ცელქობით დაღლილი, მეზობლის გოგო-ბიჭებთან ერთად ბებიასთან მივირბენდით, ბებია ყველას მოგვეფერებოდა და გვეტყოდა: შვილებო, ახლა მე გამოვიცნობ ჩემი ცუნცულა გოგო რომელიაო; ჩვენ გაკვირვებულები შევყურებდით ბებიას, რომელიც სათითაოდ კისერთან ხელს მოგვიცაცუნებდა, ხალზე მიცნობდა, წუთით გაყუჩებული გულში ჩამიხუტებდა "ღმერთო გამიზარდეო", პირჯვარს გადამწერდა, მაკოცებდა და ჩინდაკარგული თვალებიდან ცრემლები ჩამოუგორდებოდა.

მახსენდება ერთი ციდა ბავშვს რა დიდი სიყვარული მაკავშირებდა 17 წლის მეზობლის ქალიშვილთან, რომელსაც გულიკო ერქვა და თბილისში სწავლობდა. გულიკო ულამაზესი გოგონა იყო, ამავე დროს თბილი და მოსიყვარულე, პაწაწინა გოგონაც მას ვბაძავდი და უზომოდ მიყვარდა. როგორც კი თბილისიდან ჩამოვიდოდა, თანატოლივით მომიკითხავდა და მეც ხელჩაკიდებული დავყვებოდი კინოში, დაქალებში, ეზოში, ვენახში, თან ქალაქიდან ჩამოტანილი საჩუქრებით და სასუსნავებით ვამაყობდი....

ერთხელაც გულამოვარდნილმა მივირბინე ახლად ჩამოსულ გულიკოსთან: - გულიკო, გულიკო, გამოიხედე რა გითხრა! გულიკომ ატირებული გულში ჩამიკრა და ტირილის მიზეზი მკითხა. მე კი აქლოშინებულმა ოდესღაც უფროსებისაგან გაგონილი ამბავი სხაპასხუპით მივაყარე: - გაიგე გულიკო რა მოხდა? ბერიამ გვიღალატა-მეთქი. (არც ის ვიცოდი, ბერია ვინ იყო, ან ღალატი რას ნიშნავდა, უბრალოდ, სიტყვა "ღალატი" ეტყობა არ მომეწონა). გულიკომ სერიოზული სახე მიიღო და მკითხა: დაწყნარდი გენაცვალე, ვის უღალატა ბერიამ? - მე არც დავფიქრდი, ისე მივაყარე: ვის და მე, შენ, მიშას

და ვერიჭკა დეიდას-მეთქი. გოგონა აკისკისდა, რაც მე საშინლად მეწყინა და პროტესტის ნიშნად სახლისაკენ მოვკურცხლე.

მახსენდება მეზობლის გოგონა ციცინო. ჩვენ თითქმის სულ ერთად ვთამაშობდით და ვმეგობრობდით. ციცინოს ერთი ჩვეულება ჰქონდა; რასაც კი ხელში დამინახავდა, ყველაფერი უნდოდა. შოთის პური და ყველიც რომ მჭეროდა ხელში და თვითონაც ასევე ყოფილიყო, ისეთ საცოდავ სახეს მიიღებდა, ვკითხავდი ხოლმე: ციცინო, რა გინდა მეთქი? – მეტყოდა: გეხვეწები, თქვენი პურისა მომიტეხეო! – ასე მარჩენდა დროდადრო მშიერს თავისი ეშმაკობით.

ერთხელაც მათ სახლში მეორე სართულის აივანზე თამაშის დროს გამზეურებულ საბანს ზურგით მივეყუდე და მეორე სართულიდან საბანში გახვეული პირველ სართულზე გადმოვვარდი. ტირილით ქვეყანა დავაქციე. სანამ უფროსები მოირბენდნენ, ციცინო გარს მირბენს, ისიც ტირის და მეკითხება: ვაიმე, რა გეტკინა მითხარი? – მე უფრო შეშინებული ვიყავი, გამწარებულს გულზე ხელი მიდევს და ვყვირი, - ფილტვები-მეთქი. ციცინოს ეჭვი შეეპარა ჩემს გულწრფელობაში და მითხრა: გოგო. შენ რა, ფილტვები გულთან გაქვსო?

ბავშვობაში განსაკუთრებით მიყვარდა მაყვლის ბუჩქებზე ამოსული ნაზი ყლორტების ჭამა. საათობით ვიდექი მაყვლის ბუჩქებთან და ვფცქვნიდი ყლორტებს, ბავშვებსაც ვურიგებდი და რა თქმა უნდა, "ზარმაც" ციცინოსაც ვუნაწილებდი, სანამდის თხოვნას დამიწყებდა. მიტომაც შემარქვა სოფლის ექთანმა თამრიკომ მაყვლის ყლორტი, ბავშვების ფანტაზია უფრო შორს მიდიოდა, ახლად გამოკვირტულ პაწია ტყემლებს გულს გამოვაცლიდით, მწვანე ეზოში საიდუმლო ადგილს ამოვარჩევდით და პაწია ორმოს ამოვთხრიდით, შიგ ფოთლებს სათუთად ჩავაფენდით, გარჩეულ, მარილით შეზავებულ

ტყემალს ჩავყრიდით და ზემოდან ისევ ფოთლებს დავაფარებდით. ცოტა ხანს ასე დავტოვებდით. შემდეგ ცეკვა-სიმღერით გარშემო შემოვუვლიდით :

“კუკუძმარა დაძმარდი, თუ არა და გაწყალდი,
ბაყაყები შეგჭამენ, მე არ მოგეშველები”.

ბაყაყებისა რა მოგახსენოთ და ჩვენს საყვარელ სასუსნავს ხანდახან ისევ ციცინო დამასწრებდა ხოლმე, რაც შემდეგ კონფლიქტის საბაბი ხდებოდა, თუმცაღა საღამომდე შერიგება გარდუვალი იყო.

ჩემთვის სკოლაში წასვლა ოცნება იყო და რადგანაც სკოლა სახლთან ახლოს მდებარეობდა, თითქმის მოხალისედ დავდიოდი, ჯერ 6 წლისაც არ ვიყავი, რომ კატეგორიულად მოვითხოვე პირველ კლასში მისვლა. ჩემი და-ძმის წყალობით დედა ენა, ლექსები, მოთხრობები უკვე ზეპირად ვიცოდი და გაითვალისწინეს რა, ჩემი გაუთავებელი ტირილი, პირველ კლასში მიმიღეს. მორიგი გაკვეთილის შემდეგ დასვენებაზე ერთერთ პედაგოგს დერეფანში შევეფეთე. – პატარა, აქ რას აკეთებ, სახლში წადი გენაცვალე, - მომეფერა მარო მასწავლებელი. – სახლში რა მინდა, პირველ კლასში ვარ პატივცე-მულო მასწავლებელო-მეთქი, - ამაყად ვუპასუხე და თითის წვერებზე ავიწიე, თანაკლასელებს რომ გავტოლებოდი.

ასე დამთავრდა ჩემთვის ბავშვობის პირველი ეტაპი და დაიწო მეორე, არანაკლებ საინტერესო და შინაარსით აღსავსე სწავლის, სიბეჯითის და წარმატებების წლები.....

წინაპრებს

მოდიოდა ურცხვად მტერი
იღვრებოდა სისხლი წმინდა
ერთი მუჭა ქართველების

გადარჩენა ბეწვს ეკიდა.

სისხლის ტბაში სულს ღაფავდა
კრწანისი და ბახტრონი.
ჯვარზე გაკრულ ქრისტეს ჰგავდა
მაშინ მთელი საყდრიონი.

აჩეხილ ვაზს სიმწრისაგან
დასკდა ცრემლი მდუღარი,
აკვანი ვინ დაარწიოს
ვინ აანთოს ბუხარი?

ვინ იმღერებს "შენ ხარ ვენახს"
გულს შრომაში დაღლის,
ქართველთ მრავალჟამური
ჭერს როგორღა ახდის?

მაგრამ მოხდა სასწაული
გადავურჩით ზვირთებს,
ო, რამდენი ტანჯვა, დევნა
და ცრემლები ვზიდეთ.

ტყვიას მკერდი შევაგებეთ
არ ვაჩვენეთ ზურგი,
ვაზი დღესაც ტირის მაგრამ
ლხენით, განა ურვით!?

კორდზე ია ნაბავს თვალებს,
ველს ყაყაჩო ღელავს,
ყვავილებად რომ ნარნარებთ
დღეს გიგონებთ ყველას.

შორეული ნათელია,
რომ კიაფობს მზისებრ,
ჩვენს ძარღვებში წინაპრების

სისხლი მოსჩქებს ისევ!

გაზაფხული მოდის

დამათრობელ მიწის სურნელს,
ენძელების ლოდინს,
გულში სხივი აკიაფდა
გაზაფხული მოდის.

ცისფერთვალა იის ხილვამ
გამაკვირვა - როდის?
შაშვმა ჭახჭახით მაუწყა
გაზაფხული მოდის.

რუს რაკრაკში ფურისულამ
მიმაყენა ბოგირს,
ჩირგვს ბაჭია გასუსულა,
გაზაფხული მოდის.

მწვანე კორდის გადაღმიდან
გოგო-ბიჭი მორბის,
იდღეგრძელეთ, სხვა რა მინდა
გაზაფხული მოდის ....

მომენატრე.....

შემომეჩვია ფიქრი ტიალი,
არ ვიცი რისთვის, ვერ გეტყვი რატომ,
კვლავ წინ მიდგახარ თვალთა ბრიალით
მომენატრე და იმიტომ ვდარდობ.

ქარი არსად ჩანს – ფიქრი წაიღოს,

ნისლი ეხვევა და იბურება.
ჩქარა, სადა ხარ, გულს მოეფერე,
თორემ კარები დაიხურება....

რად არ გეშინით?

რად არ გეშინით უგლისა
დღეს რომ უღვთოდა სძღებითა?
გგონიათ საჭმელ-სასმელი
ათას წლობითა სძლებისა?

სრა-სასახლეებს იშენებთ,
შიგ თაგვებივით ძვრებითა
ბანკებში ფულ არ გეტევათ
კაზინოს მიადგებითა.

ბედშავი პენსიონერის
კაპიკებ გიკვირდებითა,
“ოცდაცამეტ ლარ ფულია
მეხ რად არ დაგეცემითა!
მილიონების პატრონნი
კაპიკით გაკვირდებისა”

ჯიპებში გამობღენძილხართ,
გამოწყობილხართ ჩვრებითა.
ჩვენ, ვირც კი გვენატრება
და ჯოხის ცხენზე ვჯდებითა.

უფასო ბორშით გვატყუებთ,
თქვენ ხიზილალით ძღებითა,
საჭმელ-სასმელი უხვად გაქვთ,
ჩვენ ვხარობთ ნამცეცებითა.

ხალხის ნაშრომს და ნაოფლარს
თვითონ სჭამთ, ვეღარ სძღებითა,

სამსახურ არ გაგვაჩერეთ,
ბებერ ხარ, ვერ გიცქერითა.
თითქო გჯეროდეთ იმისა –
თვითონ არ დაბერდებითა.

გაგექცათ ხალხი, ვერ ხედავთ?
მარტოკა თქვენდა რჩებითა,
მიყიდ-მოყიდეთ მიწები,
ხალხი ჰაერში რჩებისა.

ბეჩავნო! – უფლის ლოცვაში
თვალს ცრემლი მომადგებისა,
მერე ვმშვიდდები, ვწყნარდები
იმედი მამეცემისა.

რად გინდათ გაზულუქება
მაგით რა გამოდნებისა.
ცოდვილნო! – მიქელ-გაბრიელს
გგონით გაექცევითა.
დროს ადრე გნახავთ, ხელს გტაცებთ
ვეღარრა გაეშვებითა!

ერთხელ წამაველ ქალაქსა

ერთხელ წამაველ ქალაქსა
მაშინ გამიწყრა ღმერთია,
ნეტავ არ წამავსულიყავ,
შინ მამტეხოდა ფეხია.

ავტობუს გზაში გაჩერდა,
მძღოლ შაიბრუნა ქუდია,
ღერძი გამიტყდა, ჩამოდით
გინდ თითო, გინდაც ხუთია.

თუგინდ ყველანი ჩამოდით,

არ მექნას მაგის ჯავრია,
აქედან ფეხს არ მავიცვლი
გინდ დამახვიოთ ჯარია.

ჩავედით, რაღას ვიზამდით,
ამოვიგანგლეთ ლაფშია,
სხვა ავტობუსი გაჩერდა,
აბა, იქითკენ მარშია.

შოფერი იმ ავტობუსის
იყო ძაღლ-გუნებაზედა,
ჩქარა! –ფულ გადაიხადეთ
თითო მანეთი ბარგზედა.

ძლივს ჩავაღწიეთ თბილისსა,
აქ წყალი საით არიო?
შამოგვიტიეს სოფლელებს
აგერ, მდინარე მტკვარიო.

გაყინულ-გათოშილებსა,
რა ჩაგვიყვანდა მტკვარშია?
ისევ სოფელი სჯობია,
არ წავალ მე ქალაქშია!

შენს შვილად მიგულე კახეთო

ჩემო საფიცარო, შენი შესადარი
სხვა კუთხე ვერსად ვერ ვნახეთო,
შენ ისე თბილი ხარ, ვით დედა-მშობელი
ჩემო საყვარელო კახეთო.

ჩემო ალავერდო, ჩემო ბახრტიონო

რამდენი სიმწარე ნახეთო,
კედლებს ამჩნევია კვლავ ნაიარევი
იარებს დაგიკოცნი კახეთო.

მტერმა ვერ დაგჯაბნა, მომხვდური ტიალი
ალაზნის ტალღებმა შთანთქესო,
რქაწითლის მარცვლებზე ნამს გააქვს ციალი
ეს შენი ზვრებია კახეთო.

ჩემი მამა-პაპის ძვალთა შესალაგი
წმინდა ადგილები ვნახეთო,
მუხლზე დავიჩოქებ და მათთვის ვილოცებ
სანთლად აგენთები კახეთო.

ძილში ჩავიყოლებ და სიზმრად განვაფენ
ლოცვას გარდამოსულს ბაგეთო,
ღმერთო დაიფარე, ღმერთო აღორძინე
შენს შვილად მიგულე კახეთო.

სადაც კი წავედი ყველგან ამედევნა
შენი სიყვარული მახეთო,
ვერსად დავისვენე სულ შენთან მიხმობდი
და ჰა, დაგიბრუნდი კახეთო.

არ მინდა სიმდიდრე, განძი უთვალავი,
ჩემს მამულს გავიხდი სახეთო.
გთხოვ აქ დამაბერო, შენს მკერდს ჩამახუტო
როს აღარ ვიქნები კახეთო.

ჩვენ გვრჩება ყველაფერიო

კახეთი თქვენ არ გეგონოთ
ქართულზე გაჩერებული,
ან კახელი არ გეგონოთ

უბრალოდ დაშტერებული.

მიხო ვირს კაზმავს
თელავში უნდა ავიდეს კირისთვის,
მარო აცილებს – ”ალა ვიუ”
სუნამო მინდა დილისთვის.

”ნოუ, მაიდეარ” – სუნამოს
მე ვერ შაგირჩევ მარია,
“ქამ ვიდ მი” – ერთად ვიყიდოთ
მტერს დავუყენოთ თვალია.

სადამოს სოფლის ბირჟაზე
სიცილ-ხარხარი არიო,
მიხოს რძალს ტყუპი ვაჟი ჰყავს
ორივეს ჰქვია მარიო.

ეს ჩემი გვარიც არ მომწონს,
შორს მიდის მიხოს ფიქრები,
100 ევროს მივცემ გამგებელს
ყველა ჩიმარო ვიქნებით.

ნატოში შესვლა კი არა,
მგონია გავცდით ევროპას,
ინგლისურს ბაზრობს შაქრუა
ნახევარ თბილისს ეყოფა.

დილაი, ვენახში მივდივარ,
ლიზი-არ დამრჩეი ბარია,
ჰოთ-დოგი ჩამამიტანე
ვისკი, ბლექ-ქაფ და ქაფ-თეა.

ამერიკული სოფლები
აშენდეს, ბევრი იყოსა,
მალე კონგრესში ვიხილავთ

ევას შავტუხა მიხოსა.

თუ მოგესალმა ჯეილი,
”ინ ამერიკა- ჩიკაგო,
ბიჭო, ემანდ არ დაიბნე
”სეი თელავი, მიხაკო”

ვსხეპავთ და ვსხეპავთ ინგლისურს.
”ვაო” - იძახის ჯორჯიო,
კარტული ძნელი კოფილა
სალაპარაკოდ გონჯიო.

მაგრამ, ქვეკანა კარგია,
ჰავა, ტყე, მინდორ- ველიო.
ხალხი მაინც სხვაგან გარბის
ჩვენ გვრჩება კველაფერიო!
“ვაო”.

ნინო მინდელი

უნივერსიტეტის წარჩინებით კურსდამთავრებული

ბარაკონი

დგას დედოფალივით
მწვანეში ჩაფლული,
რიონის დუდუნის
სმენაში გართული,
ოსტატის გენია –
ზეცად აწვართული,
გრძნობის და აზრების

ჭიდილი რა რთული.
ხავსიან კედლებში
ფიქრია ჩათქმული,
ჯერ ამოუცნობი,
ჯერ კიდევ არ თქმული...
ვდგევარ მოხიბლული,
ვდგევარ განაბული,
ჩამესმის სიმღერა –
სუფთა და გაბმული.
ამ ჩუმ სიმღერაში
იგრძნობა რა გული,
სულ მინდა შევძახო –
სისუსტევ, არული...
დგას დედოფალივით
მწვანეში ჩაფლული,
რიონის მახლობლად
განძად აღმართული,
სიწმინდის, სილაღის
შედევრი განთქმული,
სულის და ბუნების
მშვენება ქართული...
წესის მანათობელ
სხივად ჩაქარგული,
რაჭველთა გულისთქმად
ზეცად აწვართული,
ზეცად ატყორცნილი
მშვენებას დართული,
ციალებს გუმბათი,
ციალით ზღაპრულით.
იფრქვევა სივრცეში
მადლი დათაფლული
გვმფარველობს ქართველებს
ღვთის ხელი ფარული...
ამაყობს გარემო
და წლები გასული

ხელს უწვდის მომავალს,
ბრწყინვალე წარსული.

1985 წელი

მონატრება

მენატრება მე იმ მთების ფერი,
ასე გულით რომ მიყვარდა მუდამ,
მე რიონის მენატრება შფოთი,
სონტარულის მენატრება სუნთქვა.

მენატრება მოსახვევი უბნის,
ძველი სახლის ჩუქურთმა და კდემა,
და ფიქრებში, (რა ტკბილია მერე),
სულ ამ სახლის აივანთან ვდგევარ.

მენატრება ჩემს ეზოში გავლა,
ჩახუტება გულში „ბაბუს ვარდის",
და, თუნდ წუთით, ამ სურნელით ტკბობა,
დავიწყება ყოველგვარი დარდის.

მენატრება მე ბაბუდას სახე,
საყვარელი გამოხედვა მისი,
და, რომ ჩავალ, გაფიქრებაც მზარავს,
რადგან უკვე არ დამხვდება, ვიცი.

მენატრება ღამეები თბილი,
ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა,
და, რომ მსგავსი არ მინახავს, ალბათ,
ამიტომაც ვერ ვივიწყებ დღესაც.

მენატრება „ნაციხურზე" ასვლა,
ღამე სანთლის წმინდა შუქით სავსე
და წყვდიდში მუხლმოყრილი ხალხის

იმედით და რწმენით სავსე სახე.

მენატრება მოხვეული გზები,
(ბავშვობაში მაშინებდნენ მუდამ),
და ის გრძნობა, ჩემს სოფელში შესულს,
სულგანაბულს რომ მიკრავდა სუნთქვას.

მენატრება, რადგან ვიცი, ჩემი
ფესვებია იმ მიწაზე მყარი,
მე ოცნებაც იქ დავიწყე, ლოცვაც,
იქ ამღერდა სიყვარულის თარიც.

მენატრება და რაც წლები მიდის,
სულ სიზმრებად გადამექცა ყველა –
სორის მთვარეც, ვარსკვლავებიც, სახლიც
და ბაბუდას ნაღვლიანი მზერაც...

მენატრება ჩემი მთების ფერი,
სონტარულის სულ ვიგონებ სითბოს,
და ფიქრებში, (რა ტკბილია მერე),
გუშინ ცხადში შევხვედროდე თითქოს.

23. V. 1997 წელი

მუდარა

„სორის წმინდა გიორგის" მადლო, შენ შემეწიე,
უმორჩილესად გევედრები, შვებად მეწვიე.
გემუდარები, ჩამახუტე შენს კედლებს ისევ,
რომ მათი სითბო კვლავ შევიგრძნო, კიდევ და კიდევ.
გემუდარები, ჩემი გულის გაიგე ფეთქვა,
მომეცი ძალა, თუნდ პატარა სათქმელი მეც ვთქვა.

გემუდარები, გამიღვივე მომავლის რწმენა
და მომანიჭე მიტევების ძალა და თმენა.
გემუდარები, დამილოცე ოჯახი ჩემი,
ამაგებინე – ოცნებაში შექმნილი გემი.
გემუდარები, გზა სავალი უნათე მამას,
ნიჭის მზეობა აზეიმე მუდამ და მარად.
გემუდარები, აუბრწყინე დედას თვალები,
გადაღლილები, მაგრამ მაინც შეუდარები.
გემუდარები, დამილოცე და-ძმა, წმიდაო,
და შენი მადლით შემიმოსე, გულით მინდაო.
გემუდარები, ქმარ-შვილისთვის მაცოცხლე ქვეყნად,
იმედი შენი სულ მეყოფა ძალად და შვებად.
გემუდარები, მოევლინე წმინდა ხალხს მცველად,
უწმინდურთ ხელში ნუ ჩააგდებ მსხვერპლად და მძევლად...
„სორის წმინდა გიორგის" მადლო, გემუდარები,
ჩემი ქვეყანა დამილოცე, შეუდარები!!!

30. I. 1997 წელი

მე იმ დღის მადლი მინდა დავლოცო

გულში სხივებად რომ ანთებს იმედს,
სურვილს, სისუსტე წარვხოცოთ სრულად,
მე იმ დღის მადლი მინდა დავლოცო,
აგვამოქმედებს რომელიც ბრძნულად.

ტკივილებს წამლად რომ დაედება,
გაუმკლავდება ცრემლების წვიმას,
მე იმ დღის მადლი მინდა დავლოცო,
რომ მოგვიშუშებს იარებს მტკივანს.

სირთულეებთან რომ შეგვარკინებს
და გამარჯვების გვაგემებს განცდას,

მე იმ დღის მადლი მინდა დავლოცო,
რომ არ გვირჩევდა ხვალამდე დაცდას.

თვალებს ანთებულს ნამი რომ ბრწყინავს,
თუმც ფრთების შესხმას ცოტა გვიკლია,
მე იმ დღის მადლი მინდა დავლოცო,
რომ გაგვითენებს დილას იღბლიანს.

ოფლში გაღვრილი რომ უმკლავდება,
ქალი, მოლოდინს მოწოლილს ტალღად,
მე იმ დღის მადლი მინდა დავლოცო,
რომ გვასაჩუქრებს უფალი მსგავსად.

დაიბადება რომ კაცი ქვეყნად,
ერის აღდგომას უდგას ლამპარად,
მე იმ დღის მადლი მინდა დავლოცო,
რომ იბადება კაცი ამგვარად.

7. IV. 1998 წელი
ხარება

* * *

(ვიდრე ივლიან ქვეყანაზე ერისკაცები)

ზარი ჩამოჰკრავს ოდეს ხალხის გამოღვიძების,
მთელი ქვეყანა ერთსულოვნად ფეხზე დადგება,
და მჯერა, რომ ეს მოესწრება, ვიდრე გმირული,
ვიდრე ქართული დიდებული გენი ჩაკვდება.

ზარი ჩამოჰკრავს ოდეს ერის გამოღვიძების
და მიძინებულ ქარიშხალში ძალა ჩადგება,
გარდასულ დღეთა უძლურების მამა-მთავარი –
ძმათა მტერობა, საუკუნოდ დასამარდება.

ზარი ჩამოჰკრავს, სიყვარული დაგვაფრთიანებს
და გარიყულნი დარჩებიან ლახვრის ჩამცემნი,
ასე იქნება, გეფიცებით, სამარადისოდ,
ვიდრე ივლიან ქვეყანაზე – ერისკაცები

19. I. 2004 წელი
(ნათლისღება)

ღვთის განგებაში ვპოვოთ ნუგეში

რა ცხოვრებაა, ბნელი და გონჯი,
ირგვლივ მკვდარია სიცოცხლე ნორჩი,
დღეს ბარდებს ხატავს მხოლოდღა ფუნჯი,
სულ კვნესა გიწევს, სჯობს იყო მუნჯი...
        სად უნდა ვპოვოთ ნეტავ ნუგეში,
        რომ არ აღმოვჩნდეთ წუმპის გუბეში?!.
რა ცხოვრებაა, უნდო, საზარი,
ძნელია ნახო სადმე საფარი...
გველი მგესლავი ცოცავს უბეში,
მსხვერპლად ვქცეულვართ ბედის უხეშის...
        სად უნდა ვპოვოთ ნეტავ ნუგეში,
        რომ არ აღმოვჩნდეთ წუმპის გუბეში?!.
გახლართული ვართ განცდის მახეში,
ჩვენს თავს ვარიდებთ თვალებს სარკეში...
და მხოლოდ ძალის – სულის შიშველის,
დაგვრჩა იმედი, ალბათ გვიშველის...
        რომ არ აღმოვჩნდეთ წუმპის გუბეში,
        ღვთის განგებაში ვპოვოთ ნუგეში!!!

აპრილი. 2003 წელი

ვისაც ემღერება

თუკი კაცი გქვია,
    კაცი იყავი და
        სხვაც მოგეფერება,
სითბოს უსაჩუქრებ,
    ისიც გიწილადებს,
        მაშინ გემღერება...
მზევ სიცოცხლისაო,
    სადაც იჭვრიტები,
        ყველგან ნათელია,
სადაც ნათელია,
    აღმოცენებული,
        ყლორტიც ჯანმრთელია,
ვინაც ჯანმრთელია.
    ირგვლივ სიხარულის
        მატარებელია,
სიკეთის ვირუსის
    გამავრცელებელი,
        დამტარებელია...
სითბოს უწილადებ,
    ისიც გისაჩუქრებს,
        ვისაც ემღერება,
ვისაც ემღერება,
    ის გაგიღიმებს და
        ის მოგეფერება.

21. IX. 2002 წელი

(ოცნება კვლავაც დაფრიანდება)

დრო მიდის, ქრება იმედის კვალი,
მაგრამ ვლოცულობ, გული არ ცხრება,

მჯერა, სიკვდილი სიცოცხლის ალში
წაიბორძიკებს და დამარცხდება.

დაფრთიანდება არწივის მართვე,
გამოიწრთობა ფოლადი გრდემლზე,
ვერ დააჩოქებს ვერავინ ქართველს
და აღარც ია ამოვა ცრემლზე.

თვალებხატულა ქალ-ვაჟთა კრებულს,
კვლავ იავნანა გამოზრდის მრევლად,
დედის გულიდან მადლი იწვეთებს,
გამოგვიჩნდება რჩეული მრჩევლად.

მებრძოლი სული იქუხებს მძლავრად,
იხუვლებს ძალა ჩაწიხლულ ერში,
გაიფანტება შიში და ალბათ,
არ აგვერევა მოყვარე მტერში.

ჩამოჰკრავს ზარი, ახმიანდება,
ქვეცნობიერად ღირსების გრძნობა,
ოცნება კვლავაც დაფრთიანდება,
მხოლოდ სიყვარულს სჭირდება მყნობა...

დრო მიდის, ქრება იმედის კვალი,
მაგრამ ვლოცულობ, გული არ ცხრება,
მჯერა, სიკვდილი სიცოცხლის ალში
წაიბორძიკებს და დამარცხდება.

5. III. 2004 წელი

ვინ დააჩოქოს გენი ქართული

დაბადებიდან, ნანასთან ერთად,

გამარჯვება გვაქვს სისხლში გამჯდარი,
ვინ დააჩოქოს გენი ქართული,
საუკუნეთა გვიცავს აბჯარი.

ჩვენ უკვდავების შევსვით ფიალა
და დიდ ბრძოლებში არ გვყავს ბადალი,
არ ჩავჩუმდებით, სულ ვიბობოქრებთ,
დაიბადება მთავარსარდალიც.

მარადისობა გახსნის კარიბჭეს,
გადანათდება ირგვლივ თაღები,
გაუძღვებიან ღირსეულთ აღლუმს
წმინდა ქართული ბაირაღები.

მუხლს მოუყრიან გმირ, ბებერ ალამს,
ფიც-ვერცხლ ნაჭამი ჩვენი შვილები,
ქვეყნის ღირსების მატარებელნი,
ღვთის მადლის ძალით აღჭურვილები...

ვინ დააჩოქოს გენი ქართული,
საუკუნეთა გვიცავს აბჯარი,
დაბადებიდან, ნანასთან ერთად,
გამარჯვება გვაქვს სისხლში გამჯდარი.

15. VI. 2004 წელი

(ვიდრე სულ ყველას არ გვცნობს სიცოცხლე)

ჩემი ლექსები გულის კვნესაა,
ჩემი ტკივილიც მხოლოდ ესაა,
მსურს, სადღეგრძელო ვუძღვნა სინათლეს,
თუმც, როცა ბნელა, ვაი იმ ნათელს.

ვწერ, მუდამ ვეძებ სუფთა სამყაროს,
ვინძლო ნაღველი ამ სულს გაჰყაროს...
მაგრამ მღიმარე კაცს რომ ვერ ვძიობ,
ეს სისუფთავე სადღა ვეძიო?...

და კვლავაც მხოლოდ ვადიდებ წარსულს,
დღევანდელობის კვლავ ცნობა არ მსურს...
ვერ დავმშვიდდები, ვიდრე ვიცოცხლებ,
ვიდრე სულ ყველას არ გვცნობს სიცოცხლე!..

27. V. 2004 წელი

აღსდექ, ჩემო საქართველოვ!

სულის სული გადაგვარდა,
ტკივილი გლეჯს საგულეს,
კაცი ნადირს დაემსგავსა,
კაცის სახელს გაძულებს.

სისხლი ტვინის ძარღვებს ხეთქავს,
ნაკადულობს ცრემლები,
(იმ სიცოცხლეს რა ვუთხარი,
სინდისს რომ შეელევი).

გვერდით მდგომს რომ ლახვარს ჩასცემ,
მართალს ხაფანგს დაუგებ,
(რა ვქნა, ცბიერს ვერ ვენდობი,
ვერც ვერასდროს გავუგებ).

თვისტომს ზურგში ვინც უძრახავს,
მზაკვარი და მტერია,
წუთის წამში ნადგურდება,
ის, რაც მშვენიერია...

იმ სამყაროს რა მოვთხოვო,
სადაც მამრი მდედრია,
სადაც ნაქებ ქართველობას,
ქართველს დააყვედრიან...

დუმს სინდისის მელოდია,
დუმს გმირობის წყურვილი,
მზეც კი თითქოს შავბნელია,
ერთ დროს ოქროცურვილი.

სისხლი ტვინის ძარღვებს ხეთქავს,
ტკივილი გლეჯს საგულეს,
კაცი წახდა, ისე წახდა,
კაცის სახელს გაძულებს.

გაიძარცვა ერის განძი,
სულმა სული დალია,
ღრმად ჩასთვლიმა სიამაყეს,
დაიღალა ძალიან...

აღორძინდი, ჩემო მიწავ,
ძილი ახლა მტერია,
ააღზევე ხვალის ნერგი,
თუკი გამოგერია.

ჩააჩუმე ეს ხორხოცი,
ეს ავხორცთა ყრილობა,
დააოკე მათი სწრაფვა,
მათი გაბღენძილობა.

სნეულ მკერდზე გეაჯები,
დაგიკოცნი იარებს,
ოღონდ შესძელ, წამოდექი,
ოღონდ კვლავაც იარე.

არ შემიდრკე, კუნჭულ-კუნჭულ
გამოძებნე სინათლე,
შენს კალთაშიც გამოთბება,
შენს ბუდეშიც ინათებს.

გაიყოლებს დარდს და სევდას
გაცრეცილი სიბნელე,
ვერასოდეს მოგერევა
ვარამი და სიძნელე...

სულის სული გადაგვარდა,
ტკივილი გლეჯს საგულეს,
კაცი წახდა, ისე წახდა,
კაცის სახელს გაძულებს.

ერის მკვლელი დანავარდობს,
ჯერაც ისევ უმართლებს,
(იმ სიცოცხლეს რა ვუთხარი,
მზაკვარს რომ გაუმართლებს)...

აღსდექ, ჩემო საქართველოვ,
აღსდექ, შენი ჯერია,
აღორძინდი, ჩემო მიწავ,
ძილი ახლა მტერია.

7. VI. .2004 წელი

(მხოლოდ სიყვარულით შეიძლება)

ამდენი შუღლი და ვერაგობა

კარგის დასაწყისი ვერ იქნება,
სულის მელოდია – სიცოცხლეა,
მხოლოდ სიყვარულით შეიქმნება.

დაგვახრჩობს ბოღმა და ბოროტება,
შედეგს – სიძულვილი ვერ იძლევა,
რწმენა, ერთგულება, მეგობრობა,
მხოლოდ სიყვარულით შეიძლება.

წაგვბილწავს ლაფი და სიბინძურე,
წაგვლეკავს, ბუნების კანონია,
ქვეყანას კვდომისგან გადაარჩენს –
მხოლოდ სიყვარულის ჰარმონია.

დაგვაქცევს ცრემლი და მწუხარება,
თუმც დარდის მიზეზი დღეს ბევრია,
ტაძარი, ღვთისაგან კურთხეული,
მხოლოდ სიყვარულის შედეგრია.

ამდენი შუღლი და ვერაგობა,
ერის საგანძურის დამყოფია,
წინსვლა, ერთობა და აღშენება,
მხოლოდ სიყვარულის ნაყოფია.

24. VI. 2005 წელი

(ყველას რომ არგო, ძნელია)

ყველას რომ არგო, ძნელია,
მოხდეს რაც მოსახდენია,
სიმართლის ძალით იბრძოლებს,
ქართველი კაცი ბრძენია...

სადაც სიცრუე მეფეა,
სადაც სინდისი მტერია,
სადაც მუხთალი ჯეჯილობს,
კაცის არ დგება ჯერია –
სინათლის სხივიც იქ კვდება
და იქ ცივდება კერია,
იქ ნაკლულდება სიცოცხლე,
იქ ნადგურდება ერია...
მოხდეს რაც მოსახდენია,
ყველას რომ არგო ძნელია,
სიმართლის ძალით იბრძოლებს,
ქართველი კაცი ბრძენია!..

17. II. 2003 წელი

ერო, ნუ დაიღუპები

ღვთიური შექმნეს გალობა
მთლად ეკლესიის ზარებმა,
საქართველოსთვის იუღერა
ჰანგებმა ვერსადარებმა.

ალავერდი თუ სამთავრო,
ჯვარი თუ ნიკორწმინდაი,
ზარზმა, იყალთო, გელათი,
სამება ყოვლადწმინდაი.

ხახულის ბერი ტაძარი
და ბარაკონის ჩუქურთმა,
რა სულმა აახმიანა,
რა ხელმა მოაჩუქურთმა?!.

სვეტიცხოველში გალობენ,
სიონში რეკენ ზარები,
მოგვიწოდებენ უფლისკენ
ტაძრები – მამა-მთავრები:

ერთიანობა ქართველის
ერის სიმრთელეს ნიშნავსო,
ერო, ნუ დაიღუპები,
მტერი შიგ გულში გნიშნავსო.

მახვილს გზას შენი სულისკენ
ნუ გაუკაფავ, ასწავლი,
თორემ მიზანში მოხვედრა
ვერაგს კარგად აქვს ნასწავლი.

ერო, ნუ დაიღუპები,
გესმას ამ ზართა წკრიალი,
ფუჭად არ შექმნეს ტაძართა
ასეთი ორომტრიალი.

19. IV. 1989 წელი

ილია

ეტლი მიჰქროდა, წიწამურთან
გეზი ეცვალა,
ჭიხვინით შედგნენ გაოფლილი
კოხტა ცხენები,
სუნთქვაშეკრული გაირინდა
ირგვლივ გარემო,
ღალატის მომსწრე გაფერმკრთალდა
უცებ ფერები...

ცრემლი მოადგა დიდი მგოსნის
ჭკვიანურ თვალებს,
გული ერთგული სამშობლოსი
დასწყდა ძალიან,
ეჰ, საქართველოვ, განიცდიდა
ბრძენი ღმერთ-კაცი,
ნეტავ ბოლომდე მომეხადა
ჩემი ვალია.
ნეტავ მეხილე ბედნიერი,
სამკვიდროვ ჩემო,
ნეტავ მსმენოდა შენი სუნთქვა –
თავისუფალი,
მამულო! ნეტავ დამენახე
აღზევებული,
ქრისტიანული, დიდებული,
თავის უფალი...
„ილია ვარო” – ჩურჩულებდნენ
ბაგენი თბილი,
ირგვლივ გარინდულ სამყაროში
ისმოდა მეხად,
ვიღაც ხარხარით დასცინოდა
უსუსურ მკვლელებს
და საქართველოს დამმარხავად
უხმობდა ერთხმად...
მოულოდნელი თავს დაგვატყდა
განცდა-ვაება,
პოეტის გულის უცებ ნახა
ტყვიამ ფიცარი,
„ქართველის” ხელით გვიკვდებოდა
ფარი, საყრდენი,
მამულიშვილი, მოაზროვნე
დასაფიცარი...
ფაფარაყრილნი – ჭიხვინებდნენ
კვლავაც ცხენები,
ჭკვიანურ მზერას მგოსნის წმინდა

ცრემლი ნამავდა,
იმ დღეს ქართველის სულმდაბლობის
პირადი მომსწრე,
თვის ბოლო ლოცვას წარმოსთქვამდა
ერის თამადა.
ამ გოდებაში მეხად სჭექდა
ხარხარი უღვთო
ხალხის რისხვას კი აღარ ჰქონდა
უკვე საზღვარი,
წყეულიმც იყავთ, გუგუნებდა
ხმა უმძლავრესი,
წყეულიმც იყავთ, ეკლესიის
ჰკიოდა ზარი...
მზესაც სცოდნია როდის უნდა
დაღვაროს ცრემლი,
პირბადრ მთვარესაც შესძლებია
ქვითინი თურმე,
ნათელ ვარსკვლავთაც გაუჭირდათ
ცაზე მაგრება
და საქართველო იქცა მათი
ცრემლების გუბედ...
წყეულიმც იყავთ ეკლესიის
ჰკიოდა ზარი,
მის წმინდა ჟღერას ხმას აძლევდა
ქვეყანა ერთხმად,
ვინ იფიქრებდა თუ ილია
იყო მოკვდავი,
თუ საქართველო დარჩებოდა
უმისოდ, კენტად.

1986 წელი

შემოდგომის ბალადა

სითბოდ იღვრება სხივთა კონები,
ნაკადულები რბიან,
ღრუბლის ქულები ვერცხლის საცერში
წვეთებს მძივებად ცრიან.

მზე უღიტინებს ხეხილს ხვავიანს,
გულს უტკბარუნებს წყლიანს,
დაშაქრულ ლოყებს უწვავს, უფერავს,
ხალებს ურიგებს თვლიანს.

ბარაქად დასხმულ ნდომიან მტევნებს,
მტევნებს დაშაქრულს, ცვრიანს,
ალერსიანი სულის სიმღერით
მადლიან ნექტრად ქმნიან.

ბებო ჩურჩხელებს ავლებს ბადაგში,
ბავშვები ევლებიან,
პაპა ულვაშებს იგრეხს, იღიმის,
ნერგები მეზრდებიან.

ცას შეავლებენ პაწაწა ხელებს,
ღმერთი გზას მისცემს კვლიანს,
გამრავლდებიან, მტერი წყეული –
ვერ მიაყენებს ზიანს.

დააგუგუნებს ერი ხნიერი
მრავალჟამიერს ხმიანს,
ჩემი ბადიშიც იტყვის ამ ქვეყნად
სიტყვას ფასიანს, სვიანს.

ერთ ლამაზ ფურცელს მოქსოვს, მოქარგავს
შინაარსიანს, გზიანს,
მოუჩუქურთმებს საყვარელ მამულს
ერთ კუთხე-კუნჭულს მზიანს.

უფალს ხვედრს შევთხოვ მათთვის აზრიანს,
ბედნიერებას მთლიანს
და ცოდვა-მადლის ალის ქარ-ცეცხლში
ერთგულთა შორის ტრიალს.

1996 წელი. ნოემბერი

გაზაფხულის სიმღერა

გაიჯეჯილეს ფერებმა,
გადაირია ბუნება,
ეს სამოთხეა თუ ნეტავ
სიზმარეული ცდუნება.

ფოთოლთა მოდგმა საამოდ
შრიალებს, ეფაჩუნება,
ნიავი ნაზი ალერსით
კოცნის და ელამუნება.

ყვავილთა ცეცხლი ბრიალებს,
სული ღვივდება სხეულში
და იბადება სიცოცხლე –
სრულყოფილების ფერხულში.

გულივით ფეთქავს სამყარო,
ფეთქავს და გვეჩურჩულება,
ზღაპრული ჩიტი უცნაურ
ენაზე გვეჟღურტულება.

სისხლი ხმაურობს ძარღვებში,
მღერის და გალობს გუნება,
გარემოს ფერად სამოსელს,
ხიბლი ვერ დაეწუნება...

რა სასწაული ხილვაა
კვირტების აბუბუნება,
სხივების მოწნულ გვირგვინში
დედოფალს მოჰგავს ბუნება.

მრავალჟამიერ სიცოცხლე –
ისმის გალობა ღვთიური,
დალოცვილ იყოს სამყარო
და საქართველო მზიური!!!

20. V. 1994 წელი

ხალხს გამოება ძაღლის ყბა

სინდისს სიმები დაუწყდა,
უსამართლობა სერობს,
„პატარა" კაცის სიმართლეს,
კვლავ „დიდის" ღონე მტერობს.
ხალხს გამოება ძაღლის ყბა,
ვინ უსმენს, ყეფს?.. დე, ყეფოს,
დრო ასე გადის წყეული
და ეს წყეული „შეფობს".
ხმაჩახლეჩილი ერის ხმას
ურცხვთა ხორხოცი ხელჰყოფს,
ასე გრძელდება, ვაი, რომ
უსამართლობა მეფობს.
ხალხი ხორცჩამოფლეთილი,
რა დარჩენია, გერობს,
ხალხის „პატრონი" კი, ამ დროს,
თავის სავარძელს ფერობს.

კაცი კაცს არ ჰგავს, ქალი ქალს
და აღარც ბერი ბერობს,
კაი კაცობას დაითვლი,
სადღაც აქა-იქ ღერობს.
ყოფა თუ ვინმეს გადარევს,
თურმე გიჟია, დელობს,
ცის ქვეშ რომ კაცი დაიწვის,
ვერსად იპოვის ჩეროს,
იდელებს, რა დარჩენია,
ავსა რომ ვერას ხელობს,
თუკი ქვემძრომი არ არის,
არ ძალუძს და არც მელობს...
დროა, სინდისმა იმძლავროს,
დაეპატრონოს ლელოს,
თორემ თავმდაბალთ სიმართლეს,
უტიფართ ღონე მტერობს.

4. II. 2005 წელი

(მეც ხომ მითქვამს სადღერძელო მოდგმის)

ვიცი, ჩემი ჟამიც მოვა, მოკვდავი ვარ,
მაგრამ დარდი მაინც დარდად რჩება,
ვერ ვთქვი სიტყვა ღირებული ქვეყანაზე,
ვერ ვთქვი, ჰოდა, გულში ხინჯად მრჩება.
ერთი კია, ბოროტებას ვერ ვეწყობი
და არც სხვისთვის დამიგია მახე,
მშვიდად წავალ, გულით გული გამიცია,
არასოდეს დამიკარგავს სახე.
მუხლმოყრილი სულ მხურვალედ ვლოცულობდი,
გატანჯული მიწის სუნთქვას ვგრძნობდი,

ღმერთს სამშობლოს გაბრწყინებას, აღზევებას,
ერთგულ ყრმათა გამრავლებას ვთხოვდი.
შვილებს გულში სისპეტაკეს ვუნერგავდი,
ქართული დევს მათ გენებში კოდი,
ერთი სიტყვა მეც ხომ მითქვამს ქვეყანაზე,
მეც ხომ მითქვამს სადღერძელო მოდგმის.

1. VIII. 2005 წელი

(მინდა რომ სული ზეობდეს)

ვერ ვიტან კაცში სიმუხთლეს,
ტყუილს და პირმოთნეობას,
მინდა, რომ ერი განძივით
უფრთხილდებოდეს ზნეობას.

მინდა, რომ სული მზეობდეს,
გმირი გმირს ჰგავდეს, გმირობდეს,
კაცი კაცს ჰგავდეს, სხვა კაცის
კაცობას არა ჰკვირობდეს.

ვარსკვლავი – ცაზე ბრწყინავდეს,
ეკლესიაში – სანთელი,
მთელს საქართველოს ფარავდეს –
უფლის მადლი და ნათელი.

იფურჩქნებოდეს სიკეთე,
ფესვებს იდგამდეს ღირსება,
ვერსად ვერ ჰპოვოს საფარი –
წამხდარმა, დანაღირსებმა.

დე, თავად გავცეთ წყალობა,
ოდიდგან მოგვდგამს მადლია,

ხელს ნუ გავიწვდით, ცოდვაა,
ან რა გვაქვს დასამადლია.

სხვის ნასუფრალზე ქეიფი
პატარა კაცთა ხვედრია,
ამ ნარჩენებით „გვხიბლავენ",
რა დიდი მისახვედრია.

წვეთ-წვეთად ჩამოგვადნება
სამშობლოს კუთხე-კუნჭულნი,
შეგვავიწროვებს მომხდური,
დავრჩებით სულ-მიკუნჭულნი.

სულ-გაყიდულნი, სულ მკვდარნი,
სულ შერყვნილნი და... სულ მალე,
სულ-გულს დაგვიგლეჯს ყორანი,
ქართული სული სულს დალევს.

მე კი მსურს, სული ზეობდეს,
გმირი გმირს ჰგავდეს გმირობდეს,
კაცი კაცს სცნობდეს, სხვა კაცის
კაცობას არა ჰკვირობდეს.

ვარსკვლავი – ცაზე ბრწყინავდეს,
ეკლესიაში – სანთელი,
მთელს საქართველოს ფარავდეს –
უფლის მადლი და ნათელი.

18. IV. 2005 წელი

(ბედნიერი ვარ მაშინ)

როცა გვერდით მყავს ყველა,
როცა მელიან სახლში,

მეც მიხარია ყოფნა,
ბედნიერი ვარ მაშინ –

როცა ისვენებს სული,
არ მეშინია მარცხის,
როცა მშვიდობა სუფევს,
ავი არ მესმის კაცის.

როცა ცხოვრება აზრით,
სიკეთით არის სავე,
როცა სიცოცხლის წუთებს
დრო სიხარულით ავსებს.

როცა ობოლიც ხარობს,
მისთვისაც ცხვება კვერი,
როცა სიმართლის ძალით
ღონიერდება ერი.

როცა არა ვარ მარტო –
ლხინი არის თუ გლოვა,
როცა ველი და მადლიც,
დაუმადლებლად მოვა.

როცა ვლოცულობ წრფელად –
თვალებში ნდობა კრთება,
როცა დავეძებ გამგებს –
წინ მეგობარი მხვდება.

როცა უნარი შემწევს –
მიტევების და თმენის,
როცა დაძლევა ძალმიძს
და გაქარვება წყენის.

როცა ერი და ბერი
უფლის მიჰყვება ნებას,

ბედნიერი ვარ მაშინ
და მეუფლება შვებაც.

20. V. 2007 წელი

***

(ვლოცავ)

ვლოცავ, ჯიშიან გვარსა და ჯილაგს,
მას, ვინც თვისების მადლით სულდგმულობს,
და, ვისაც ძალუძს, ყოველი წამი
აამღეროს და გაასულგულოს.

მას, ვინაც შევა ოჯახში ბურჯად,
წარმოჩინდება ქალის ხატებად,
ჩაიქსოვება ფესვების წნულში
და ნათელ სხივად ჩაიხატება.

მომავლის ნერგებს ღმერთს შეავედრებს,
აუჩუქურთმებს წინაპრის სახელს,
ვლოცავ, იმ ნანას, გულს რომ ადნება
და უხმო გრძნობის ალერსში გაგხვევს.

ვლოცავ, მკერდიდან წამოსულ ძალას,
სულის საკვებად გაღებულ მირონს,
და სიყვარულით დამტკბარ-დაშაქრულს,
დედა-შვილობის მადლს, უნაპიროს.

ვლოცავ, ღამეულ ჩურჩულში შექმნილს,
ორთა თათბირში დაგეგმილ ხვალეს,
მზიური სხივით გაცისკროვნებულ,
კრძალვაჩახატულ უღრუბლო თვალებს.

ნათელ ალიონს, გაბრდღვიალებულს,
იმედის მომცემს, ცეცხლისენებას,
უფლის საყდარში შეკრული ფიცის,
ღვთიური შუქით შემომშვენებას.

წმინდა ფიქრებით აგებულ ტაძარს,
შეუდარებელ ღიმილს კაცისას,
მას, ვისაც უყვარს მოყვასი თვისი
და გვერდით უდგას თვისტომს განცდისას.

5. II. 2007 წელი

(სალი კლდის თუ ხარ, ჩემო ქართველო)

ზღვარს შეეჯახა დათმენის თასი,
ნამსხვრევთა სეტყვამ მიწა დაგლიჯა,
ერის გაძლებამ ყოველგვარ ნიშნულს,
დიდი ხანია, გადააბიჯა.

ზეცად აიჭრა სულის ამბოხი,
კაცის გულიდან გადმონადენი,
სალი კლდის თუ ხარ, ჩემო ქართველო,
რაკიღა ზიდე ტვირთი ამდენი.

რაკიღა იღწვი, რაკიღა იწვი
და კიდევ შეგრჩა ბრძოლის უნარი,
შენ საქართველოს დროშა ყოფილხარ –
შემართული და გაუხუნარი.

ნათლის სხივებით მიმოქარგული,
ვაზის ლერწივით მრავალწლოვანი,
შენ საქართველოს მცველი ყოფილხარ,
აზრით სპეტაკი და ახოვანი.

სულ ერთადერთი, როგორც სამშობლო,
როგორც ენა და როგორც უფალი,
შენ საქართველოს გული ყოფილხარ,
მის სიყვარულში თავის უფალი.

ფესვებგადგმული, ტოტებგაშლილი,
დედულ-მამულის ბედის მქსოველი,
შენ საქართველოს სული ყოფილხარ,
მისი დიდების სვეტიცხოველი!!!

26. V. 2008 წელი

რა ბედნიერი ვარ, მყავხარ

(მამას – ზურაბ მინდელს)

თბილი ოცნებების ზღვა ხარ,
რწმენა და იმედი ჩემი,
რა ბედნიერი ვარ, მყავხარ,
ძარღვებში სისხლი დუღს შენი.

რა ბედნიერი ვარ, მყავხარ,
მებრძოლი, თბილი და მტკიცე,
რომ სუსტი, უღონო არ ხარ,
რომ ასეთ ძლიერს გიცქერ.

რა ბედნიერი ვარ, მყავხარ,
მორწმუნე, კეთილი, მშვიდი,
ჩემი ხარ, რომ სხვისი არ ხარ,
რომ ხარ ღვთიური, დიდი.

რა ბედნიერი ვარ, მყავხარ,
მაღალი გრძნობებით სავსე,

რომ შენ სხვაგვარი არ ხარ,
რომ სიამაყით მავსებ.

თბილი სურვილების ზღვა ხარ,
ფიცი და წუხილი ჩემი,
რა ბედნიერი ვარ, მყავხარ,
ძარღვებში სისხლი დუღს შენი.

1991 წელი. აგვისტო

(გენის სიცოცხლის, უკვდავების დედაბოძი ხარ)

(დედას – მადონა გორდაძეს)

გენის სიცოცხლის, უკვდავების
დედაბოძი ხარ,
შეულახავი, წმინდა წყაროს
ცრემლად მოდიხარ.
მშვიდობის მტრედად
მოვლენილი
ცასა და მიწას,
ამაღლებული სიყვარულის
სინაზეს იცავ.
სიკეთისა და სიხარულის
შენ ხარ მსახველი,
იმედის სხივად მოვლენილი
ხსნა და ნათელი.
ამ ქვეყნად მართლაც დიდებული
გქვია სახელი
და იწვი, როგორც ერთგულების
წმინდა სანთელი...
თუკი არსებობს უანგარო

გრძნობა და ღვაწლი,
საკმევლის სუნით გაჟღენთილი
სითბო და მადლი,
უძვირფასესი შეგრძნებები,
მშობელი კერა,
ალერსის ჰიმნი – სიყვარულის
უკვდავი ბგერა –
შენი ხელების საოცარი
მადლით იწყება,
მთელი ცხოვრება ეს შარბათი
არ გვავიწყდება...
უფალი გვფარავს, შენ ხატება
ხარ სასწაული,
ჩვენს ცხოვრებაში მოვლენილი –
დღესასწაული,
ხსნა და იმედი, მეგობარი,
მშობელი, კიდევ –
ზღვა სათნოების, გულში ურიცხვ
სიყვარულს იტევ...
შეულახავი წმინდა წყაროს
ცრემლად მოდიხარ,
გენის სიცოცხლის, უკვდავების
დედაბოძი ხარ.

27. IV. 2003 წელი

ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი.
მშობლების ქორწინების 35-ე წელი.
27. 04. 1968 – 27. 04. 2003 წელი.

ეს რამდენი წელიწადი გასულა

(მეუღლეს – ლევან დვალიშვილს)

სიცოცხლით და სიყვარულით ვტკბებოდი,
ქვეყნად ბევრი არაფერი მებადა,
მყავდი შენ და, მეტი რაღა მინდოდა,
გრძნობის ცეცხლის სითბო გამომეცადა.

მყავდი, ჰოდა, მეტი რაღა მენატრა,
ოცნებასთან შეხუმრებას ვბედავდი,
შენს თვალებში ანარეკლი ბრწყინავდა,
რომლის შუქში ჩემს ორეულს ვხედავდი.

ნემსის წვერით მომიქარგა ცხოვრებამ
ბედ-იღბალი, სამომავლოდ დამლოცა,
არ გამწირა, სიყვარული მასწავლა,
თავმდაბლობა უანგაროდ გადმომცა.

თეთრი, წმინდა მოსასხამი მიბოძა,
მეამბორა, გადამსახა პირს ჯვარი,
ღვთის კურთხევით, ღვთის მადლით და შეწევნით,
დღესაც მლოცავს, გზას მინათებს ის ჯვარი.

წლების თოვლით იფიფქება შარა და
სიყვარულით იშაქრება ნაყოფი,
გამოვცადე ჩემი წილი განცდა და
სიხარულიც, ბედად მერგო სამყოფი.

ჩაიჭყლიტა ქარვისფერი მტევნები,
გრძნობის ბადაგს ღვინობისთვე ეწვია,
ფიალაში ჩარაკრაკდა ნაჟური
და სიცოცხლის ოქროს ხანა მეწვია.

შენს თვალებში კვლავაც ვხედავ ანარეკლს,
ოცნებები გადაიქცა წარსულად,
ცოდვა-მადლით დახუნძლული ცხოვრების
ეს რამდენი წელიწადი გასულა.

27. V. 2004 წელი

და ასე ხდება ყოველთვის

გადეკრა ზეცას ბინდი და
ფიქრები შემომესია...
და ასე ხდება ყოველთვის,
ეს ჩემი გულის წესია.
ავაგე კოშკი ოცნების,
ვერც ნახოთ უკეთესია,
შემდეგ შევქმენი ფიქრების
უნეტარესი მე სია.
ოცნების ზვირთში მოვყევი,
ოცნება უტკბილესია,
ვნატრობდი, აღარ გათენდეს,
ეს ღამე უმჯობესია...
მაგრამ გათენდა, განათდა,
როგორც ბუნების წესია,
ჩემს ოცნების კოშკს ბრწყინვალე
სხივები შემოესია...
და გამეფანტა ფიქრების
უნეტარესი მე სია,
დავდუმდი, ცრემლი მომადგა
წამწამზე, უწმინდესია.

მე მომავალზე ვოცნებობ მუდამ

წარსულს ვადიდებ,

აწმყოს ვემდური
და მომავალზე
ვოცნებობ მუდამ,
სრულ დავიწყებას
ვისურვებ განცდის,
მე რომ დავმშვიდდე,
იმიტომ თუნდაც...
გული მიხარის
და მეტზე ვფიქრობ,
როცა ოცნებებს
ფრთები ესხმება,
მაგრამ თუ მარცხით
დავდარდიანდი,
სულიც, სხეულიც,
სევდით მევსება.
წარსულს ვადიდებ,
ვიგონებ როცა
მრავალ ტკივილს
და მრავალ სიხარულს,
აწმყოს ვემდური,
მაგრამ წარსულში,
ამ აწმყოს ვეტრფი,
როგორც სიყვარულს.
მე მომავალზე
ფიქრები მატკბობს,
მე მომავალი
მიყვარს ძალიან,
როცა ოცნება
ახდენილია,
გულში სიამე,
სულში დარია...
მე მომავალი
მიყვარს ძალიან,
მე მომავალზე
ვოცნებობ მუდამ,

და გულში როცა
გაზაფხულია,
მას დაფასება
ნამდვილად უნდა.

1985 წელი

ცოლი და ქმარი

ცოლი და ქმარი –
უღალატო ძალა და არსი,
ტრფობის მეჯლისი –
ერთგულების მუდმივი ვალსი,
ჰიმნი სიწმინდის –
წრფელი გრძნობის ლამაზი მცნება,
ტკბილი შარბათი –
უშრეტელი ნდობა და გზნება,
ზრუნვის სამყარო –
უწმინდესი ფიცი, ტრფიალი,
მშვიდი თვალები –
გაუხრწნელი ნათლის ციალი,
ბევრი სანთელი –
გაგრძელებად ქვეყნად სიცოცხლის,
უფლის კურთხევით
ანთებული, გზას რომ მიუძღვის...
და ეს სინათლე
ჩასახული ღვთისგან განგებით,
ქმრისა და ცოლის
შექმნილია წრფელი განცდებით,
სისხლით მჩქეფარით,
დაუდგრომელ სულთა ლაციცით,
სუფთა აზრებით,
სიყვარულით ღმერთთან ნაფიცით...
ლოცვით შექმნილი,

ლამაზი და ნატიფი კერა,
სადაც არსებობს,
ანგელოზიც ბინადრობს, მჯერა...
ყოვლად ძლიერი,
შემოქმედი წმინდა ტაძარი,
ქვეყნად რომლისაც
არ არსებობს ძალა სადარი,
ეს არს ოჯახი –
უღალატო, სუფთა, კრიალა,
სადაც მუდამ ჟღერს
სიყვარულის ჰიმნი წკრიალა..
ამ მელოდიას
უწმინდესი ფიცით და არსით,
ქმრისა და ცოლის
შეწყობილი ამშვენებს ვალსი...

14. V. 1992 წელი

მარადიული სიყვარული

მზის სხივები ეამბორნენ დედამიწას,
მძაფრი ცეცხლი გაუჩინეს გულში,
გვიყვარხარო, ჩუმად, ჩუმად უჩურჩულეს
და ღრმად ჩასწვდნენ უნატიფეს სულში.

არც პასუხი დააცალეს ეთქვა მაშინ,
აიტაცეს ხელთ ლამაზი ბურთი,
გადიოდა დღეები და საათები
და მრავალი გადიოდა წუთი.

სიყვარულმა არც იკლო და არც იმატა,
არც ოცნებამ მოიკვეცა ფრთები,
სხივნი კვლავაც თაყვანს სცემენ დედამიწას

და ალერსში გადის დრო და წლები.

13. VIII. 1985 წელი

დამაჯილდოვა უფალმა

დამაჯილდოვა უფალმა,
ბედი მარგუნა რჩეული,
ძღვენად მებოძა მშობლები
ყველასგან გამორჩეული.

ქვეყნად მოვლენის წამიდან
წუთის ნაწყვეტი ყოველი,
გაჟღენთილ იყო სურნელით,
მასაზრდოებდა რომელიც.

თითქოს მკვებავდა ალერსი,
ვით ფუტკარს, ყვავილთ ნექტარი
და ვიზრდებოდი ამაყი,
ბუნებით დაუდეგარი.

ვსწავლობდი სითბოს, სიყვარულს,
სიკეთის ძალის შეგრძნებას
და ოჯახს იქით მრჩეველი
არ მჭირდებოდა მეძებნა...

ახლა, როდესაც ქალი ვარ,
თავად შვილების მშობელი,
სულ არაფერი შეცვლილა,
შველას კვლავ მათგან მოველი.

მათი სიცოცხლე მაცოცხლებს,
მათი სუნთქვა და ალერსი,
შენ დამილოცე, უფალო,
მშობლები უსაყვარლესი.

26. VI. 2001 წელი
(მამას დაბადების დღე)

მეც განვიცდი, მეც

სილაღის და სინატიფის
სიდიადეს მთელს,
ვერ ვუმღერებ ვაჟასავით
საქართველოს მთებს.
ვერ ვუმღერებ მე მასავით
ბალახს, ყვავილს, კლდეს,
სიცოცხლის და ძალის შედევრს –
ფესვებსა და ხეს
და ვერც მსგავსად ვაჩურჩულებ
ფოთლებსა და ტყეს,
ვერც სადარდელს მივუხვდები
ობოლს – წიფელს ხმელს...
ვერ შევიგრძნობ მე, მის მსგავსად,
თუ რა უჭირს შველს,
ვერ დავხატავ, როგორც ვაჟა,
მე ღამეს და დღეს,
მე, მის მსგავსად, ხომ ვერ დავწერ,
რომც ვეცადო ბევრს,
თუმც მშვენებას ბუნებისას,
მეც განვიცდი, მეც!!!

1983 წლის ზაფხული

თეკლე ნარმანია

ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

სიკვდილია თუ სიცოცხლე?!

შემოდგომის თბილი ქარი ქროდა. ცა მოღრუბ-ლული იყო, ეტყობა წვიმას აპირებდა.

ივანე მელუა რატომღაც მოწყენილი იდგა ფანჯარასთან, უკიდეგანო ცას გაჰყურებდა და უსაზღვროდ ტკბებოდა ამ სანახაობით; ყველაფერს დიდი ყურადღებით აკვირდებოდა ხოლმე და სწორედ შემოდგომის ამ ღრუბლიან დღეს იხილა სასწაული. მის წინაშე მოქუფრული ცა გაიხსნა და ჯვარზე გაკრული იესო ქრისტე იხილა. ამ საოცრების გვერდით, ცაზე დიდი ასოებით ეწერა 40 + 8 ??? ივანე გაუნძრევლად იდგა. ვერ გაერკვია, რა ხდებოდა მის თავს. მის შემხედვარეს კი გეგონებოდათ ამქვეყნიურის არაფერი ეტყობაო. ცამ ისევ დაიხურა პირბადე და კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

ივანე საგონებელში ჩავარდა, ნეტავი რისი მომასწავებელი იყო ციფრები ცაზე: სიკვდილის თუ სიცოცხლის?! მაგრამ, მოკვდავი ადამიანის გონება შეძლებდა კი არაამქვეყნიური მოვლენის არსის დადგენას?

წვიმამ ნელნელა გადაიღო. შემოდგომის თბილი ქარი კი ქროდა და ქროდა....

1. ორი რიცხვი 40 და 8 – ქრისტეს ორსახოვანი ბუნება
2. სამი კითხვის ნიშანი ??? – ღმერთის სამობითობა – მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა
3. 40 + 8 = 40 წელი + 8 თვე = ??? სიკვდილი

სიყვარულია თავად უკვდავება

სიყვარული – ეს ყველაფერია. ის არის ყველგან და ყველაფერში. სიყვარულია ამ ქვეყნად სიცოცხლეს რომ გვიხანგრძლივებს, სტიმულს რომ გვაძლევს დიდი საქმეების კეთებისა. შეუცნობელია მისი არსი და ბუნება მოკვდავთათვის... ესაა გრძნობა, რომელიც არავის პატიობს შეცდომებს არსად და არასდროს... ის შეუბრალებელია მათთვის, ვინც უგულოდ ეკიდება და შემბრალებელი – მათთვის, ვინც ამ წმინდა გრძნობას თავისი სიწმინდითვე მიიღებს. ის მოწყალეცაა და აჯილდოვებს მხოლოდ მათ, ვინც მის წმინდა ნაყოფს კეთილად მოიხმარს... მას არა აქვს განსაზღვრული დრო, ის მიდის და მკვიდრდება იქ, სადაც სითბოა, სადაც უბიწობაა და სადაც სიხარულია მისი მოსვლისა..

სიყვარულია ამ ქვეყნად ჩვენ რომ გვათბობს. ის ცხრათვალა მზე, ცა და მოციმციმე ვარსკვლავებია.

უსაზღვროა გზები მისი, ისე როგორც მოლოდინი მისი.... ხილულთათვის უხილავია მისი ძალა.... ის ხომ უკვდავებაა ქვეყნად მოკვდავთათვის მოვლენილი. ამ ქვეყნად ღმერთს მხოლოდ ის მოუვლენია ერთადერთ საოცრებად, რომელსაც საწყისი აქვს, ბოლო კი არა.

.... და ამის შემდეგ სხვა რაღაა იგი, თუ არა უკვდავების ანკარა წყარო!

ლერი ნოზაძე

ფინანსებისა და აღრიცხვის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

* * *

მინდა დავწერო რეზიუმე დროის
მაგრამ რა ფორმით, ვისთვის და როის?...
“ყოფნა-არყოფნის” კითხვას ედრება:
მიჩნეულია ცოდვად, ყვედრებად...
ტკივილი გულის, გულის ალალის
ბევრთანგამწვდომის, ყველგანმავალის...

* * *

ხარის წელის ხვავით მრმწმელით
ხმა მოგვიხმობს გულუხვთა.
ვეახლებით, ჩავეწვნებით
ვისაც ხანმა უმუხთლა.

ხანდახან და ხარიხულად
ვენახვებით მეხრეებს.
გასახმობად ვუხმობთ თოთოს
ფოთოლს გავავერხვევებთ.

ხან ხაშმიანებს ვაკითხავთ
ხახალს შევახანხალებთ.
ვახანმეტებთ, ვახარმეტებთ
ხანსახუნარ მძრახავებს.

ხა-ხა-ხა-ხას მოგვახლიან
ჭაბუკები უხნონი.
ამ ხნობამდე ასეთ ხანად
ხამ ხარს გამოვუხმობდი.

ხან ასეთად, ხან ისეთად
მოსახდენო ხანდახან
ხანი გვინდა დახვავების,
ხვავმა – გაგვაათმაგხმოს...

მიხედვაზე, მოხედვაზე
ხართან ებას ხარი და...
ღმერთმა მოგვცეს გუთანი და
მიწა მოსახნავი და...

ძალა ყოვლად ხანად ხმობის
ხანგრძლივად და ხარულად.
ხმა გვქონდეს და მოვიმხაროთ
ხარმა რაც გვახმაურა.

გვიდგას წელი ხარისა და
ხარუხლები აურა.
რა ხანია ხსნას ველით და
ნატვრას როგორ ავუვალთ!?

06. 01. 09

* * *

თავისზე ძლიერი არავის უყვარს.
ყოველწამს მზად არის, - წაართვას ლუკმა.
ამიტომ უნდა აქო, ერიდო...
ჩემად, კვლავ შენ გთვლი, დაო ფერიდე.
მე დუმბაძისას ვეტრფი იუმორს
და მასში ვხედავ აწმყოს მერმინდელს.
.... მიწაზე ისევ ძნელი ყოფა გვაქვს...
და სამწუხაროდ ,,,, ვდუმვართ, ჯერ კიდევ...

ხოლო ოცნება ისე შორია,
წარმოსადგენად თვალსაც ვერ ვჰკიდებთ.

16. 01. 09

* * *

რა დაგიშავეთ ასეთი,
ცხარე ცრემლით რომ გვატირე?
ისეც გვაქვს თავშისაცემი.
შენ მაინც გაგვიმარტივე
ეს ყოფა. ანდა შეგვეშვი,
ვიდრე წასვლის დრო დამდგარა.
ჩვენ – ჩანა გვერგო, შენ – ეშვი.
გზა წაგვიშალა ავდარმა.

24. 02. 09

დაუტვირთავობის დროს

საჭიროა, აბა რა...
უნდა ბევრი იცოდე!
უსამანო მთა-ბარმა,
სიხარულის სიცხოვლემ
თავისი ჰქმნა, - დამსვა და ...
ისევ ფიქრში ჩამძირა.
მხცოვანს დამამსგავსა და
გოჯი მექცა – მანძილად.
ო, შემტკივა რამდენზე
გული
მაგრამ, რა ვუყო...
მსურს აივსოს, აღზევდეს, -
ათას ვინმეს გავუყო, -
რაც მომმადლა ღმერთმა და ...
დამავალა განვრცობაც:
ვმსახურებდე ერთთავად
ღირსებას და კაცობას.
ვგრძნობდე: ჩემი ადგილი
აქ არის და - აქა ვარ.
მერქვას მუდამ დაღლილი,
ვედრებოდე დასტაქარს.
დავიწრიტო, გამოვდნე

და ველოდე ხელახალს.
ისე ჩუმად გწყალობდეთ
საბადნარედ, ვენახად...
რომ მიგაჩნდეთ:
თქმად არც ღირს, -
თავის უბრალოებით,
გერქვათ რწმენად სადენი
უშრეტი წყაროები.
ვამაყობდე:
სწორედ რომ
ჩემმა სიტყვამ გიბიძგათ.
ვინმე მთვლიდეთ მეგობრად,
ვინ - მრჩეველად, ვინ – ძიძად.
-სულ თანაბრად კარგია.
მთავარია – ივარგოთ.
წესად გედოთ:
თქვენ მეოხ
თუნდაც ერთმა მიაგნოს –
მოწოდებით, სიკეთით
გამორჩეულ სწორ გზას და
თქვას – "მე ჩემი აღმრზდელის
მადლი მუდამ მმოსავდა!"

13. 07. 09

ილიაობის **P.S.**

ზოგს იმდენ დარდს და საზრუნავებს აჩვევს განგება,
ზრუნვა ექცევა ყოფაქცევად, მრწამსად, საღ ნებად.
ამიტომ უნდა მის განწყობას ეცადო ჩასწვდე;
ხომ ცხადია, რომ ჭაპანს ორი უფრო შორს გასწევს!?
ხედავთ, სად დამხვდა! სალოცავი დიდი ილია!
მისი ხსენება თანამდევი მოძახილია!

03 08. 09

* * *

დელაკრუა განა ყრუა...
უზუსტესად იჭერს
ფერთან – ჩქამსაც .....
– შეძახილი მის უბადლო ნიჭზე
მინდა ჩავსვა აქ, კონტექსტში
აზრად ძალზე სანდოდ:
- რა დრო უდგა ეჟენსა და
ახლა დადგა რა დრო!

25. 10. 09

ნინო სამჭკუაშვილი

ფინანსებისა და აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსი მასწავლებელი, უნივერსიტეტის წარჩინებით კურსდამთავრებული

* * *

მდინარის პირს, მის ლამაზ ხმას ყურს რომ დაუგდებ,
მის ჩხრიალა ხმას, გონებას რომ შორს წარიტაცებს,
აგიშლის ფიქრებს და ჩაგითრევს თავის მორევში,
ბურუსში გაგხვევს, დაგავიწყებს მზერას მოგტაცებს.
მდინარე მიქრის, ხან ბობოქრობს, ხან კი წყნარია,
მაგრამ ერთი კი, ის არასდროს აღარ ბრუნდება,
ის გავს ცხოვრებას, რომელიც ჩვენ წინ
მიგვაქროლებს,
გვხვევს მის მორევში და წარსულიც არ
გვიბრუნდება.
ჩვენი ცხოვრება ძლიერა ჰგავს სწრაფ მატარებელს,
მხოლოდ მათ შორის ერთი არის ის განსხვავება,

მატარებელი მიქრის, მაგრამ უკან ბრუნდება,
ჩვენი ცხოვრება წინ მიიწევს, სადღაც მთავრდება.

* * *

გარეთ ღამეა, მოღუშული, ძაღლის ყმუილი
ისმის ქუჩაში, მყუდროებას არღვევს წკმუტუნით,
შუაღამეა და მოისმის უცებ სიმღერა,
ვიღაცა მთვრალი მოიმღერის თავდავიწყებით.
და ამ ბნელ ღამეს ფანჯარასთან მოკალათებულს,
მშურს მე ამ კაცის, ბედნიერად რომ მოღიღინებს,
მისთვის ამ წუთში სულერთია მწარე ცხოვრება,
მან მწუხარებას ანაცვალა სმა და ღიღინებს.
და მის სიტყვებში კვლავ გაისმის მწარე სიმართლე,
ცხოვრების გზაზე ბევრ სატანჯველს გადაეყრება,
ყველგან და ყველა ტყუილით და ღალატით სავსე,
პატიოსნება დაკარგვია ერს და იხრწნება.
ის ამ სიმღერას მოღიღინებს მთელი არსებით,
კაცი გაივლის და მისი ხმა თანდათან წყდება,
იდუმალება ჩამოწვება და ფიქრი ჩემი,
ამ კაცს გაჰყვება და მის სიტყვებს დაუფიქრდება.

* * *

წვიმს და კვლავ ტირის
თუ წვიმის წვეთი ეცემა თვალზე?
წვიმს და იცინის
მაგრამ სიცილი მწარეა ცრემლზე.
ქარი უბერავს
და ის კანკალებს მთელი სხეულით,
ქარის სუსხია?
თუ აცახცახებს სასოწარკვეთით?

ქარი და წვიმა
კვლავ ერთმანეთში რომ არეულა,
ფიქრი და დარდი
მის ნაზ გრძნობებში გადარეულა,
წუთისოფელი
მას სულ ტყუილად ეგონა რბილი,
და რა ყოფილა?
ერთი შეცდომის დიდი ტკივილი.
მოღრუბლულია
და შეუჭმუხნავს მაღალი შუბლი,
ვინ გამოჩნდება?!
რომ გაუწოდოს ნუგეშის ხელი?
ვინ აატირა,
ეს სევდიანი ლამაზი ქალი?
როგორ დატოვეს?
ამ ლაბირინთში მარტო, ეული.
უცნაურია
მაგრამ არავის ეცნობა ქალი,
უცხოა სახე,
უცხოა დარდი, მისი ტკივილი.

უცხო სამყარო

უცხო სამყაროს კარიბჭესთან ჩამოყუდებულს,
იქ ყველაფერი ნაცრისფერად მოეჩვენება,
მის ნაზ თვალებში ნაპერწკლები სევდანარევი,
გამოაშუქებს და ცრემლებიც წამოსცვივდება.
ის წააწყდება თავის სულში უამრავ კითხვებს,
და ამ კითხვების კორიანტელში ჩაიძირება,
მოძებნის პასუხს, მაგრამ პასუხი ამ შეკითხვაზე,
კვლავ მის ფიქრებში და აზრებში გაიფანტება.
მწარე ფიქრები ბნელ ფერებად მოეჩვენება,
ის დაივიწყებს ყველა ტანჯვას, წყენას და ტკივილს,
კვლავ გაიკეთებს და მოირგებს ცისფერ სათვალეს,

და ის ოცნებას დაიბრუნებს და ლამაზ ღიმილს.

უჩემობა

მე მარტოობა დამდევს ნაბიჯად ისევ და ისევ,
და უჩემობის, უიმედო მწარე შეგრძნება,
ჩემს თავს დავეძებ გადათელილ ძველ ბილიკებთან,
აღქმა დავკარგე რეალობის, ცად მათენდება.
მე შენს თვალებში ჩამრჩენია ჩუმი ღიმილი,
და შენს მკლავებში უნაზესი, ალალი ცრემლი,
ბედნიერება, ჩემი სხეულის სულის ნაწილის,
მე შენში დამრჩა; დაე, გათბობდეს სამარადჟამოდ.
მე შენს კარებთან დამრჩენია სიცოცოხლის ფეთქვა,
დავეხეტები უჩემობის სიცარიელით,
დავეძებ ჩემს თავს ნაწილ-ნაწილ რომ აღვადგინო,
მაგრამ ვაი, რომ გაფანტულნი, ვერ ვიპოვებით.
მელანქოლიის შემოჭდობილ ხელებს შევიგრძნობ,
თავის ბრჭყალებით, რომ მისერავს გულის ფიცარბეგს,
სისხლის ღარებად დამდენია თურმე ცრემლები,
უსასრულობის მემორანდუმში მოვიპოვები.

როლანდ სინატაშვილი

უცხო ენების ცენტრის ყოფილი
თანამშრომელი

<u>აგვისტოს რვაში შემოსეული</u>
<u>გაწყდეს ქართველთა მტერი წყეული</u>

ეს საქართველოს კარიბჭე არის,
ცად აზიდული კავკასიონი,

წარსულ დიდებას უმღერს რიონი,
ახალ ცხოვრებას – გალაკტიონი.
ჩრდილოეთიდან გვიტევს მტარვალი,
ველური თესლი და ემბრიონი....
და სამწუხაროდ, მცდარ გზას ადგება
ოპოზიცია და მხედრიონი.
საფლავში შფოთავს ბაგრატიონი,
ფეხზე დამდგარა შატილიონი,
დავითის ხმალით
ქუდზე კაცს ველით,
დიდგორს, ბასიანს
ნატრობს სიონი.
საბრძოლო დროშა არის *ilia,*
სულის სიმტკიცე კი – ***kirioni***.
აფსუს, სტალინის ნიჭი და ძალა,
სხვისთვის აინთო ის ყალიონი.
ვშრომობთ და ვიბრძვით!
მტერს ქედს არ ვუხრით!
ეს არის ჩვენი მედალიონი,
ქართულ კულტურით, ცეკვა-სიმღერით
მსოფლიოს იპყრობს "ერისიონი".
უპირველესი სიტყვა – samSobl o .
უძვირფასესი ენა – qar T ul i .
T avi suf l eba და ukvdaveba,
და gamar j veba ბეჭდად დასმული!
ყველა თაობამ მუდამ იცოდეს
ჩვენი მიზანი – ღმერთთან ასული!

ნუ ახარებთ მტერს და სიკვდილს

ვზივარ მარტო, მოწყენილი, დედის სურათს
ვუმზერ *თ-ana*.
წვიმა მოდის, მეც ცრემლი მდის – ვერ ვიხსენით

ჩვენი *ana*.
ქუთაისში დაიბადა, იქ ისწავლა ანა ბ-*ana*.
შეიყვარა რუსთაველი და ქართული იავნ –*ana*.
იზრდებოდა, მშვენდებოდა, ფრთებსა შლიდა
თან და თ - *ana*.
საავადმყოფო, ტკივილები... უჰ, რამდენი გადიტ – *ana*.
ვერ გაუძლო, წინაპრების, უკვდავების გზას დაადგა.
მისი სული, მაღლა ცაში, ანგელოზმა წაიყვ - *ana*.
ოხრავს ინა, წუხს გალინა, "გდე ჟე ტი,
მაია მალ-*i na*?"
შვილიშვილის ხელებს კოცნის, გულწასული
დედის წ – *i na*.
წავიდა, არ დაბრუნდება, სამუდამოდ დაიძ - *i na*.
სანთლებს უნთებს, პირჯვარს იწერს სვეტა, ირმა და
მარ – *i na*.
ახლობლები, მეზობლები, ტირიან და ჩუმად
დგ –*ana* – ნ.
დგას იმედა მოწყენილი, შოთამ გული გაატ – *ana*.
ოცდაშვიდი წლის დავკარგეთ, შეგვეცოდა,
დაგვენ – *ana*.
დედაჩემი მარგალიტა და ზაირა უფროსი და –
მოფერება მინდა მათი, ისინი კი საფლავს
წვ - *ana* - ნ.
ეს ცხოვრება მძიმე არის, თანაც დიდი გამოც – *ana*.
ვისი ნახვაც გვიხაროდა, წავიდნენ და არსად
ჩ – *ana* – ნ.
აქეთ - პოზი, იქ – ოპოზი, ჩემს სამშობლოს
უნდა გ – *ana?*
ხალხი ორად გაყოფილი თვისიანს მტრობს,
მტრებს კი არა.
რუსის ფულით გაყიდულან, მშველელები
არსად ჩ – *ana* - ნ.
აფსუებს და ოსებს გვიქსევს, იმართება გარედ – *ana*.
ლანძღვა, ჩხუბი, ნგრევა, ომი არ მოგბეზრდათ
ხალხო გ – *ana*?

ყვავილები, მოფერება ამჯობინეთ სისხლს
და დ-*ana*-ს,
საქართველოს მტერი თუ ხარ, გადაშენდი,
სიქიმ ს – *ana*!
ღმერთს შევვდერებ, ერთად დავდგეთ, ვაძლიეროთ
ეს ქვეყ – *ana!*

* * *

აფხაზეთში, ჯავახეთში,
სამაჩაბლო, ქვემო ქართლში,
სოჭში, კახში, ალავერდში,
ქლუხორში და არტანუჯში,
თბილისში და იალბუზზე
სიამაყით აღმართული
ცისფერ ცაზე მიბჯენილი,
ქართლის დროშა ფრიალებდეს.
ზარი რეკდეს ეკლესიის –
წარსულ გმირებს გვახსენებდეს.
ჩვენი მტერი გადაშენდეს,
ჩვენი ერი გრიალებდეს,
მოღალატე და მომხდური
სასიკვდილოდ ხრიალებდეს!!!

* * *

ც ა გადიხსნა, მზე გამოჩნდა, სხივი მტყორცნა,
გამიც –*ინა,*
ი დგა ქალი ფანჯარასთან, თითქოს იყო
პაწაწ – *ინა.*
ა სე ძლიერ ამ ჩემს გულთან, დიდმა გრძნობამ
მომაწვდ – *ინა.*
ლ ექსის წერა ვიწყე მასზე, სიყვარულმა
მაფიქრ– *ინა.*

ა მ მშვენების თვალ-ტუჩ-მკერდმა, ღამე აღარ
დამაძ – *ინა.*

ერთერთი დიდი თავდასხმა და გენოციდი ჩრდილო კავკასიელმა ველურმა მომთაბარეებმა ქართველებს მოუწყვეს ვახტანგ გორგასალის ბავშვობის დროს. ოვსებმა მთელი სისასტიკით ააოხრეს მთელი სამაჩაბლო და შემდეგ შიდა ქართლი. დაანგრიეს და დაწვეს ისტორიული ძეგლები, ეკლესიები, სახლები. დახოცეს ხალხი. გაიტაცეს ბავშვები, სიმდიდრე, საქონელი. ცეცხლი მძვინვარებდა ქართულ მიწაზე....

წამოიზარდა გმირი ქართველი მეფე ვახტანგი, შური იძია მტერზე. გაწმინდა ქართლი, ურჯულოები საქართველოდან გაასახლა. გამარჯვებებით ილაშქრა ჩრდილოეთ კავკასიაში.

ქართველებმა ლექსი უძღვნეს გმირ მეფეს:

“ვახტანგ მეფე
ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა.
იალბუზზე ფეხი შედგა
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა”

ასეთი სახით წარმოდგენილ ამ ლექსს ორი ტაეპი აკლია, ქართველმა კომუნისტებმა ოსების თხოვნით რომ ამოიღეს:

“ოსებში გადაიარა,
ჩერქეზები გადარეკა.”

ცოტა რამ “მეგობრულ-ქრისტიანულ” წამოსასხამში გახვეულ შემოსეულ რუს დამანგრეველებზე: “
წაეთრა თურქი,
მოეთრა რუსი,

ისევ ჩაგვრა და
ისევ ბურუსი.”

ასეთ მყრალ დათვებს
ტკბილი სიტყვა როდი შველის –
უნდა გინება!
ჩვენ გვაქვს ღირსება,
და ნაფოტივით როდი მივდევთ
რუსულ დინებას!

დედას ვერ შეცვლის დედინაცვალი,
მამას ვერცერთი მამინაცვალი,
და saqar T vel o s ბნელი რუსეთი
სჭირდება როგორც ძველი საცვალი.

ორი რუსი მყრალი დათვი,
ორი სისხლისმსმელი დევი,
არ იკითხავთ ვინ არიან?
Put In – ი და მედვე დევი.

არ გაიხაროს რუსმა ჩვენზედა,
ნურც სხვა მტერს გუხარია,
მეზობელ ქვეყნებს ძირს უთხრის,
ცხოვრება არივ-დარია.

* * *

ჩვენი ხალხის ნატვრა ახდეს,
საქართველოს მტერი გაწყდეს!

* * *

ქართული ენის სიწმინდეს იცავთ?..
აბა, სამშობლოს როგორ დაიცავთ?!

* * *

თექვსმეტ მარცვლოვან ლექსს დავწერ,

რვაზე არ დავიხარჯები,
ცხოვრებას კარგად ავაწყობთ
თუ მაგრად გავისარჯებით.

* * *

დავკარგეთ ძმები და მეგობრები
ბებური, შალვა, ჯემალი, ჯანო.
დავლევთ ღვინოს და ცრემლებს მოვიწმენდთ
დიდი ტკივილი რომ ავიტანოთ.

* * *

ჩვენ ქართულ ენას, ღმერთების ენას,
აყრიდნენ <u>რუსულ</u> ნაგავს.
ახლა ქართულში <u>ინგლისურს</u> ურევ
ნუთუ სინდისი არ გაქვს?!
    რითი სჯობია სხვა ენა - ქართულს
    მშვენიერ ლამაზ ნარგავს,
    ქართული კოვზით . . . . . რომ მიირთმევ.
    მითხარი, ერთი, რას ჰგავს?!

* * *

მიზიდავ, მოვილტვი, ვერავინ მაკავებს,
დავკოცნი შენს ტუჩებს, თეთრ გულ-მკერდს
                და მკლავებს.
მაგ ლამაზ ფეხებთან დაგიწყობ ძვირფასო,
შორეულ ციდან მოკრეფილ ვარსკვლავებს.

გოჩა ქვრივიშვილი
ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის
I კურსის სტუდენტი

* * *

კარავში ვარ გახვეული,
სველ მინდორზე ბრწყინავს ცვარი.
მაღლა - ცაა, დაბლა – მიწა,
გვერდითაა ღვთის ტაძარი.
ვხედავ ვარსკვლავს, ვხედავ რწმენას,
გულში სრბოლას – დაულეველს,
როგორ მინდა, რარიგ მინდა
ჩემს გონებას გაუძღვეს მზე.
მაგრამ ნათლის ნდომა მხოლოდ
არა ნიშნავს ცოდვის ქრობას.
-განა არის ქვეყნად ვინმე,
ვინც სიბნელე მოინდომა?...
ერთი-ორი. მასაც ალბათ
ეზიზღება თავი თვისი
და მართლისკენ ტრფიალება
ალივლივებს, ვით ჩიტს ბრიზი.
მაშ, ამ სურვილს საქმე წრფელი,
ვით თვალს, - ხედვა – მივალაღოთ;
ხორცი მიწას მივაწიროთ,
სული უფალს მივაბაროთ.
კარავში ვარ გახვეული,
ღამეა და დილას ველი.
მწადს მონასტერს რომ მცირედი
გვერდს მივუდგა მინაშენი.
იქნებ ეს დღე ჩემს ცხოვრებას
ჩემს გულს, ჩემს სულს ანათლებდეს
მიკაფავდეს ძეძვს და ჯაგებს
და ზეყანას მანახვებდეს.

08. 07. 09

* * *

ფოთოლი შრიალებს ქარის ალერსში
მთვარიან ღამეში
დამორცხვად ნაბავს პირს, იკლაკნება ხე
ვნებათა თარეშში.
ცხელ ჩრდილში მიმსხდარან კაცი და მანდილი,
ვისია მანდილი?!
ოჰ, ეს მარტოობა! გჯერათ კი, გჯერათ კი
რომ არის ადვილი?
მირაჟი... მირაჟი.... თავდაუბურავი ქალია
აცეცებს თვალებს და ღრუბლები ტირიან
აქ ნიაღვარია....
სევდაა.... ჩუმია.... შორს სიხარულია....
აქ ქარიშხალია.
ვერ იცნეს, ვერ იცნეს
ვერ ცნობენ ერთმანეთს,
მთვრალია, მთვრალია.
ფოთოლი შრიალებს და ნამი ენამა
მამაკაცს სახეზე.
უმზერის ქუჩაში, ავდარში
ქალიშვილს
უმზიროს რამდენჯერ....
ვერ ხვდება, ვერ ხვდება, რომ ქალი აღარ ჰყავს
ფრიალებს მანდილიც.
თენდება, მზე ჩნდება და ქრება,
და ქრება აჩრდილის
აჩრდილიც.

08. 07. 09

* * *

დრო მიდის, არ ჩანს ჯერ დასასრული

თუმცა საქმისთვის ცოტაა დრო.
ვიცი, რომ მოვა ეს შემოდგომაც,
ნაყოფს მოისხამს რტო.
მიმეტკბილება ქართა ფოთოლი,
ჭიშკარს გამიღებს მხნედ,
ახალ ეტაპზე გადავინაცვლებ,
ჭკუით გავკაფავ ტყეს.
მაგრამ მყოფადი სხვაც არის, ვფიქრობ,
და თუ მიმუხთლებს, ეჰ.....
მაინც თავიდან შევებრძოლები
კალოს, სიბნელეს, ბჭეს.
არ ვაბოგინებ ჩემზე საწუთროს
უმალ ვაკვნესებ ფარს.
იმედიანად აღვიმართები
ისე, როგორაც მწადს.
დრო მიდიდ, არ ჩანს ჯერ დასასრული
ადრეა, ვიცი მე.
საშემოდგომოდ, საშემოდგომოდ
მე ხელს შევახებ მზეს.

14. 08. 09.

იზო ღონღაძე

სამეცნიერო ბიბლიოთეკის
თანამშრომელი

მე გაზაფხულის სურნელი მატკბობს

მე გაზაფხულის სურნელი მატკბობს,
კეკლუც ყვავილთა მინდვრებში ნახვა,
მიყვარს ხეებზე აფეთქებულის
ლამაზ ფერებში კვირტების გაშლა.

მიყვარს ჩუხჩუხი ანკარა წყაროს,
ველში ბიბინი ჯეჯილის მწვანის,

კუდმაკრატელა ჭიკჭიკი მერცხლის,
სტვენა ბულბულის, ფაქიზის, ნაზის.

მიყვარს კაშკაში ცხრათვალა მზის და
ცაზე ნათება ნამგალა მთვარის,
მიყვარს სიცოცხლე ხალისიანი
სითბო, ღიმილი საყვარელ ხალხის.
08. 03. 08

იჭიკჭიკეთ ჩიტუნებო

იჭიკჭიკეთ საამურად ჩიტუნებო,
ბულბულებო გამაგონეთ სტვენა,
ტოროლებო ინავარდეთ მხიარულად,
მასმენინეთ თქვენი ტკბილი მღერა.

იხმაურეთ უმეტყველო ფრინველებო,
ლამაზებო, გადიფრინეთ ზეცა,
ამ ჭიკჭიკში ისახება ყველაფერი,
არ გჭირდებათ სასაუბროდ ენა.

თქვენც ხომ იცით სიყვარული ჩიტუნებო,
ამ სიკეთეს ვინ წაგართმევთ ნეტავ?
ამიტომაც ვიმეორებთ დანანებით,
ღმერთო, ჩიტსაც ნუ მოუკლავ დედას.
06. 07. 06

ციცინათელა

ღამის წყვდიადს რომ ანათებ პაწაწინა,
საიდან გაქვს შენ ასეთი ნათება,
ღმერთმა შენ ხომ ასე ნაზი გაგაჩინა,
იციმციმე, ჩემო ციცინათელა.

დაფრინავ და შენი ფრენით ღამეს ამკობ,
ანათებ და მხიარული დახვალ.
ხელის გულზე რომ დაგისვა, პაწაწინა
შემითანხმდი, სხეულს ხომ არ დამწვავ.

მაგრამ ვიცი, დარიგება არ გჭირდება,
ამ პატარას რა გექნება მწველი,
მოდი ჩემთან, გამინათე, გამახარე
და შეგფიცავ, გეყოლები მცველი.
04. 07. 08

თბილისში ვარდი კვლავ აყვავდება

თბილისში ვარდი კვლავ აყვავდება
საამო სუნით დაატკბობს დილას,
ხალისი ისევ აბობოქრდება
და აღმოჩნდება მშვიდობის პირას.

მე ასე ვფიქრობ, მაგრამ ეს ფიქრი
მიაღწევს კიდევ სასურველ მიზანს?
რაღა თქმა უნდა გამოიდარებს
და კვლავ შევხედავთ, ბუნებას მზიანს

და ნაირფერი ვარდების ჯგუფი
გასამხნევებლად მიგვიხმობს ყველას,
მაგრამ ყვავილი ისე მოვწყვიტოთ
კბენის უფლება არ მივცეთ ეკალს.
04. 02. 06

ზღვაში კენჭები ერთად დავთვალეთ

ზღვაში კენჭები ერთად დავთვალეთ

ცხოვრების კალო გავლეწეთ ერთად,
ახალგაზრდობის რთული უღელი,
ღმერთმა გვარგუნა ორივეს ბედად.

რა ვქნათ, თუ მეტი ვერ გავაკეთეთ,
ვერ გვაღიარა ქვეყანამ გმირად,
ვის ვუორგულეთ, ვის რა წავართვით
ვის დავაწექით, უმძიმეს ტვირთად...

შვილების აღზრდით გავშალეთ ფრთები,
შვილიშვილებთან არ დავყრით ფარ-ხმალს,
შრომა და შრომა, შრომა და შრომა
და ამ დევიზით ავყვებით აღმართს.

სად ჩავიმუხლავთ, მხოლოდ არ ვიცი,
არ მივცემთ სხეულს უფლებას ამდენს,
თუ ვერ ვაჯობეთ, ვერ დავამარცხებთ
გზადაგზა დავკრეფთ, უეკლო ვარდებს.

26. 02. 06

უიმედობა

რთული ცხოვრების ჟამი დაგვიდგა,
ვიღას მივენდოთ, ვინ მოგვცემს რჩევას,
ვინ გადაგვარჩენს, ვინ გვიერთგულებს,
თუმცა ამ ქვეყნად არვის არ მჯერა.

მშიერ-მწყურვალო ალალო ხალხო,
ყველა იმედი ხელთ წაგვაგლიჯეს,
დაგვაძაბუნეს, ძალა წაგვართვეს
და სიკვდილისთვის უღვთოდ გაგვწირეს.

თუ მოვიკრიბეთ ძალა, ხომ კარგი,
და თუ არა და, გავწყდებით წელში.
ვეღარაფერი ვეღარ გვიშველის

ღმერთს ვთხოვ, ჩავარდნენ ჩვენნაირ დღეში.

მკვლელობა, ძარცვა, ცემა და ტყეპა
ყველამ ერთბაშად იჩინა თავი,
იმის მაგიერ, რომ ხალხს უშველოთ,
ცდილობთ ჩაიგდოთ ბინძური სკამი.

ქართულ აკვანში აღზრდილო ხალხო,
ნუ შეურაცხყოფთ იმ ძირძველ ადათს,
ერთად დადექით, პატივი ეცით
მშობელი დედის ნამღერებ ნანას.

15. 03. 06

ამ გულში დარდი ურცხვად ჩასახლდა

ამ გულში დარდი ურცხვად ჩასახლდა,
ნებართვა ჩემგან არც აუღია
საქციელს ამას არ ვაპატიებ
ქმედება მისი ჭირს წაუღია.

რას მერჩი დარდო, რა დაგიშავე,
რად ამირიე ტვინში აზრები
ძირფესვიანად ამოგთხრი, დაგგმობ
და მერე ვეღარ გამეკარები.

ვეცდები, იქნებ აღარ ვიდარდო,
და გულის კარი დავხურო მაგრად,
თუ სიხარულმა მოაგნო ჩემს გულს
მე გასაღებად გავჩნდები სწრაფად.

24. 05. 06

* * *

თითქოს კალამში მელანიც გაშრა

გონებაც ჩემი არ მაძლევს ნებას,
რაზე დავწერო, რისთვის დავწერო
ექნება ფასი ამნაირ წერას?

რაც გავაკეთეთ საქმე საქები,
ხალხი თვითონაც აფასებს ამას
თუ დავისაჯეთ სიმართლის თქმისთვის
ღმერთი გაარჩევს მტყუანს და მართალს.

მკვლელობა, ძარცვა, დაწიოკება
უკეთურობამ წაგვართვა გული,
თუმცა ვიკვეხნით, რომ მაგრები ვართ
და ამ ქებაში ამოგვხდა სული.

ამიტომ ჩვენს თავს შემოვუძახოთ,
ნუ ვიტრაბახებთ, ნუ შევქმნით ამბავს,
საქმე ვაკეთოთ, წყნარად, კეთილად,
ასჯერ გავზომოთ და ერთჯერ გავჭრათ.

08. 04. 06

ქართველის ჩივილი

“ჩემი და შენი” რამ გაყო ნეტავ?
ჩვენ ამ დევიზით ვმასპინძლობთ ყველას,
რა დავაშავეთ მაინც ასეთი
რატომ გვიტირეს უღმერთოდ დედა...

ქართულ მიწაზე დადიხართ მშვიდად,
ვის დავაყვედრეთ მამული ნეტავ?
ვინ გავაძევეთ, ვის რა ვუბრძანეთ,
ვის ავუტირეთ უღმერთოდ დედა.

რად შეურაცხყვეს ჩვენი ქართული,
ამის ატანა ძნელია მართლაც.

”თუ ერთ ლოყაში გაგვაწნეს სილა,
მეორე ლოყაც უჩვენე მასას”.

ასე გვასწავლეს კეთილო ხალხო,
ამით სიკეთეს მოვიმკით ალბათ,
თუ მუშტი-კრივზე წამოვა ვინმე
არ ჩავიმუხლავთ, არ დავყრით ფარ-ხმალს.

ქართველი ქართულს არ დაივიწყებს
ათას ოქროზე არ გაცვლის ადათს,
არ გაიწყვიტავს სისხლის ძარღვს შუბლზე,
თუნდაც სიცოცხლის დაუჯდეს ფასად.
15. 10. 06

სამშობლოს სიყვარული

მე სხვაგან ყოფნას აქ მირჩევნია,
ჩემს სამშობლოში, მეტევა გული
უცხოობაში, რას მარგებს ყოფნა,
მიჯობს მამულში დავლიო სული.

შიმშილს, როგორმე თუ დავუძვერით
კონკისძველას კი, მოვიცვამთ ტანზე,
მომავლის იმედს, რწმენით შევხედოთ
ერთად ვიყუროთ მოწმენდილ ცაზე.
21. 10. 06

ვინ ხარ შენ

ამ ლამაზ ბუნებას, გვერდს რომ მშვიდად უვლი,
და საქართველო, კარგად არ გინახავს,

თუ არ მოეფერე, თუ არ შეიყვარე,
თამამად გეტყვი, მაშინ “შენ ვინა ხარ”

იმერეთში, თუ ფეხი არ დაგიდგამს,
ციხე – ”მოდინახეს” წვერზე არ ასულხარ,
ჩვენი წინაპრების კვალი არ გიხილავს
მაინც იმას გეტყვი, მაშინ “შენ ვინა ხარ”

ეწვიე კახეთს, ყველა მოიძიე,
ემთხვიე საფლავს წმინდა ნინოსას,
სხვაგან რად დადიხარ, სხვაგან რად დაძვრები
სიყვარულს გაუფრთხილდი საქართველოსას.

ადი მყინვარწვერზე, ქვეყანას გადმოხედე,
გულით შეიგრძენი, სისხლი აჩქეფდება –
მაშინ დამშვიდდები, მაშინ დაწყნარდები
როცა საქართველო, წინ გადაგეშლება.

თერგზე მუჭით წყალი, კიდევ არ შეგისვამს?
ფშავი და ხევსურეთი, ჯერაც არ გინახავს?
მაშინ ქართველობას ნუღარ დაიჩემებ,
გეტყვი, ქართველობის ღირსი შენ არა ხარ.

სად ეძებ სიმდიდრეს, რა გინდა უცხოეთში,
ნათესავ-მოკეთე, ნუთუ შენ იქა გყავს?
აფსუს საქართველო, როგორ დაბეჩავდი
თუ შენსას, შენ ვერ უვლი, მაშინ ”შენ ვინა ხარ?”

მოდით ქართველებო, მამულს გავუფრთხილდეთ,
მთელი საქართველო, ფეხით მოვიაროთ
კიდევ გამოვჩხრიკოთ, ბევრი მოვიპოვოთ
და ამ მონაპოვარს, მეტად მოვუაროთ.

თეა ქიმაძეს

საყვარელ გოგონას, ჩემს
მაზლისშვილს, რომელმაც ოცი წლის
ასაკში სამუდამო სასუფეველში დაიდო ბინა

იქნებ მანდ ყოფნა მოგწყინდა შვილო,
ტყუპ გოგონებთან მოგინდა მოსვლა
ქალიშვილები დაგიხვდნენ თეა
ეს სიზმარია, თუ მართლა მოხდა

ასე უმანკოს, რა ბედი გქონდა
ჯერ ხომ პატარა იყავი მაშინ,
ლამაზ სხეულში, ლამაზი სული
ვინ ამოგგლიჯა, სად გაჰქრა მაინც

შენს ტყუპ გოგონებს უჭირთ ლამაზო,
დედის ალერსი, არ ერგოთ წილად
ლამაზ ჩარჩოში ჩასმულ შენს სურათს
არ აკარებენ უბრალოდ ნიავს

სავანის მიწამ მიგიხმო შვილო
წმინდა გიორგი გინახავს წმინდანს,
შენი მშობლები, საცოდავი და
ლამაზ საფლავზე გიწმენდენ მიწას

სხვა მეტი რა ჰქნან, რაღა აკეთონ
ამ ამბის მერე მკვდარი აქვთ გული,
ერთხელ სიზმარში ეწვიე შვილო
უთხარი, რომ გრძნობს ყველაფერს სული

შენ სულ პატარამ, უენომ, თიკო
ჩემთან, დიღომში აიდგი ფეხი,
ბიძაშვილებთან აღზრდილო შვილო
რატომ აიღე ყველაზე ხელი.

კახაზე წყენას ნუ გაიკარებ
ვიცი არა ხარ, შენ ამის ღირსი,
სალოცავ ხატად ქცეულო გოგო
მოდი, შეუნდე, იცხოვროს მისთვის.

შენს შვილებს მამა არ აკლებს ზრუნვას
ბავშვებისათვის მამიდაც იბრძვის
უდედოდ არვინ დაბადებულა,
დედა ერთია და შენ ხარ ისიც.

იქნებ დედაჩემს სადღაც მოლანდო
შენგან შეექმნა მას დიდი დარდი,
თითქოს სიკვდილი არად მიაჩნდა
სთქვა, რომ თიკუნას შევხვდები მაინც.

ბებოც და ბაბუც იგულე შვილო,
შენ ხომ გიყვარდა სტუმრობა მათი,
იქნებ ისევე ჩამოსხდეთ ერთად,
და ჩემს მოსვლამდე გაირთოთ თავი.

რა უნდა რუსეთს

რამდენმა დედამ ჩაიცვა შავი
რამდენმა შვილმა დაკარგა მამა,
რამდენს სახლ-კარი აუწიოკეს
რამდენს სიცოცხლე დაუჯდა ფასად.

რატომ ან რისთვის გასწირეს ხალხი
რად ააფეთქეს ქართული მიწა,
რატომ ეკვეთნენ ასე ველურად
რატომ იგულვეს ნაწილი მისად.

რა უნდა რუსეთს, ნუთუ ქართულის,
გოჯი მიწისთვის იდინა სისხლმა?

იმ პირტიტველა ვაჟის მშობლების
ღმერთმა აჰკიდა ტვირთი და რისხვა.

რამდენს საფლავიც აღარ ეღირსა
და ყვავ-ყორნების საჯიჯგნად იქცა,
რამდენს ხეიბრის სტატუსი ერგო
თუმც ამ სიცოცხლეს ფასი ვინ მისცა.

შორს რუსი დედა, გოდებს და მოთქვამს
ვერ დაუბრუნდა მას შვილი, რადგან
დედა-დედაა, შვილი – შვილია
პასუხს ვინ აგებს? – რუსეთი ალბათ.

თუმცა პასუხი კიდეც, რომ აგოს
ვინ გააცოცხლებს ამდენ მკვდარს, ვინა,
ვინ დაივიწყებს და ვინ გააშრობს
ვაჟკაცთა სისხლით შეღებილ მიწას.

იქნებ ამ სცენას, ქართველთ აბრალებთ
ეს შური ქართველს, ნეტავ ვინ მისცა.
ვინ შემოიჭრა ტყვიამფრქვევებით
საქართველო თუ, რუსული რისხვა.

ღმერთო, სისხლისღვრას მოეღოს ბოლო
აღარ შეგვიპყროს დარდმა და შიშმა,
ქართულ მიწაზე აღზრდილი ხალხი
კვლავ აბიჯებდეს მამულში მშვიდად.

მაია კერვალიშვილს

ჩემო მაიკო, შენი დაბადების დღე იმ ქარცეცხლიან დროს დაემთხვა, რომელსაც ომი ჰქვია. 2008წელი. ომი რუსეთსა და საქართველოს შორის.

ომი სისხლისმღვრელი. რუსის ჯარებმა 23 აგვისტოს დაიწყეს გასვლა. დაგვრჩა დანგრეული საქართველო, ღონემიხდილი ხალხი. ყველაფერმა ხალისი დაკარგა. ჩვენ სამსახურისთვის არ გვიღალატია.

24 აგვისტო შენი დაბადების დღეა. გილოცავ და გიძღვნი შეძლებისდაგვარად დაწერილ საკუთარ ლექსს.

ცისფერ ნისლებში გუგუნი ისმის
ღმერთო, ამდენი შიში სად იყო,
დღეს ყველა საქმე უნდა გადავდოთ
შენ მოგეფეროთ, გვინდა მაიკო.

ეს დღე შენია, ძვირფასო ქალო
ოცდაოთხს უნდა შევასხათ ხოტბა,
აგვისტოს თვეში დაბადებულო,
ჩვენი სიტყვები მიიღე ლოცვად.

მაკო იცხოვრე ტკბილად, ლამაზო,
ამ შემართებით აჰყევი აღმართს,
ჩვენ შენი გვჯერა, რომ ძლიერი ხარ
არ დაეშვები უღმერთოდ დაბლა.

იმედი გქონდეს ძვირფასო ჩვენიც
არ გიღალატებთ, გედგებით გვერდში,
კეთილი საქმე ერთად ვაკეთოთ
ვიცი ამისთვის დაგვლოცავს ღმერთი.

ბიბლიოთეკა შენი ჰობია,
ამ საქმეს ვიცი თავი უძღვენი
უშვილოდ თავი არ ჩაითვალო,
წიგნს ხომ სჭირდება ზრუნვა ულევი.

სწორედ ამისთვის ღმერთმა დაგლოცოთ
კეთილი საქმის მოსურნე ქალო,

ეს კიდევ ერთი და სხვა ათასი
გლოცავ, იცხოვრე, ამ ქვეყნად მაკო.

24. 08. 08

მთაწმინდელები

მთის ფერდობზე ეკლესია გადმომდგარა
გალავანში საფლავები ჩანან,
ამ საფლავში სამუდამოდ განისვენეს
საქართველოს ღვაწლმოსილმა ხალხმა.

მთაწმინდიდან მიბნედილი კვნესა ისმის
სულებს ერთად მოუყრიათ თავი,
კამათობენ და ერთმანეთს შესჩივიან
რად არ უჭრით ძველებურად ხმალი.

ტატოს მერანს თითქოს ფრთები გამოუსხამს
ლურჯ ბედაურს მიაგელვებს სწრაფად,
გული წყდება, მაგრამ იმედს კვლავ იტოვებს
ნაკვალევი ხომ დარჩება სადღაც.

გალაკტიონს საგულეში გული უძგერს
უნდა დროზე გაიღვიძოს ხალხმა,
შეერთებით, სიძლიერით გადაწყდება
თავისუფალ საქართველოს ნახვა

საქართველოს მეორე სვეტს, დიდ ილიას
ერის ბედი ადარდებდა მუდამ,
სამშობლო, თუ აწმყოში ვერ გამობრწყინდა
მომავალში გავაბრწყინოთ უნდა

და აკაკიმ სარკმელიდან დაინახა
არემარე სხვანაირი ჩანდა,
ხედავს უკვე მომავალი ფრთას შლის
და იმედის ნაპერწკალიც გაჩნდა.

დაიძინეთ მშვიდად, წყნარად განისვენეთ
სხვა სამყაროს გადინაცვლეთ, მაგრამ
საქართველოს კვლავ სჭირდება, გაიხსენეთ
იაკობის "იავნანამ რა ჰქმნა?"

ლეონიძე "შინმოუსვლელს" ელოდება
მისი გული ჩაიფერფლა სადღაც,
ეცოდება, რადგან თბილისს ვერ იხილავს
და მთაწმინდას ვეღარასდროს ნახავს.

გვენდეთ ქართველთ, რათა თქვენი
სიყვარული იარსებებს მუდამ,
ერის შვილნი შეკრებილნი დაგვიხატოს,
გუდიაშვილს შევევედროთ უნდა.

მთის არწივმა უსულოებს სული ჰბერა
და ლოდები ამეტყველა ქვისა,
თქვენს სველ კალამს, ცეცხლის ალიც ვერ გააშრობს
მაგ მთიდან კი, საქართველოს იცავთ.

თუკი, ყველას ვერ შეგეხეთ მთაწმინდელნო
საკადრისად შეგაწიეთ სიტყვა
ბოლოს მაინც, მოკრძალებით იმას გეტყვით,
თქვენზე კარგი, საქართველოს ვინ ჰყავს!?

14. 02. 09

ნათია ცხადაძე

ფინანსებისა და აღრიცხვის დეპარტამენტის
თანამშრომელი

* * *

ვეღარ დაიტია გულმა კაეშანი,
თვალებს შემოაწყდა ცრემლის ზღვა.
ვეღარ დაშოშმინდა სულში ქარიშხალი
და თოვლმა დაფარა შენი გზა.

სიზმრებს შევაფარე ჩემი ოცნებები
აკორდს შევაჩვიე ცრემლები
სითბო მენატრება შენი მოფერების
უშენოდ გამეყინა ხელები.

უკვე ვეღარ იტევს გული უთქმელ დარდებს
ვეღარც ცრემლი უძლებს დინებას,
შენზე მოვუყვები ამბებს ხეთა ლანდებს
როცა ცა გადაწყვეტს წვიმებას.

* * *

ღამის სიჩუმეში ცრემლმა გამიღიმა,
გულში სევდის სიმმა ჩამოკრა,
ძველმა მოგონებამ წამით გაიელვა
და თეთრი ფიფქივით ჩამოდნა.

სხივთა ჰარმონია თითქოს სადღაც გაქრა
ცრემლის წამოვიდა ზვირთები,
მალე გათენდება, ნეტავ ხვალ დილითაც
ისევ სევდის კართან ვიდგები?

ძილის ანგელოზმა მინც თავისი ქნა,
უხვად დამახვია სიზმრები,
დილით შენმა კოცნამ დარდი დამავიწყა,
ისევ ამიმღერა ფიქრები.

* * *

წუხელ თოვდა...
ახალი წლის მოლოდინში ვთვლიდი წამებს,
თოვლი იყო ისე თეთრი, ისე წმინდა –
შლიდა დარდებს.
მიდიოდა ძველი წელი,
მიდიოდა სადღაც შორს და...
ჩემს სარლკმელთან ახალი წლის სურნელება
ნაზად ქროდა.
მიხაროდა, ფრანტელების სიქათქათე მახარებდა,
თოვლის წმინდა სამყაროში არაფერი მაჯავრებდა.
წუხელ თოვდა...
ამ ფიფქების სისპეტაკე დაგებედოთ
სიყვარულმა ამ ახალ წელს,
სიხარულმა აგამღეროთ!
ოცნებები აგიცხადდეთ,
თქვენი გულის სურვილები,
ძველი წელის არასოდეს
აღარ გეგრძნოთ მუქჩრდილები.
წუხელ თოვდა...
უთეთრესი თოვლის ფიფქი
შლიდა დარდებს
მოდიოდა ახალი და
მის ლოდინში ვთვლიდი წამებს.

* * *

მომენატრა გაზაფხული,

ულურჯესი იის კონა.
ერთი ახლა ლამაზ-ლამაზ
ვარდის კოკრებს ჩამაკონა.

რახანია სიხარულზე
ფიქრმა თავი დამანება,
სულუთქმელად ველოდები
გაზაფხული დაბადებას.

ნეტავ უღვთო ზამთრის სუსხში
ტყის სიმღერა გამაგონა,
ერთი ახლა იის კონებს
ვარდის კოკრებს ჩამაკონა.

* * *

წლები გარბენილი, ბავშვობა გაფრენილი
ცხოვრება ზვირთებად ბორგავს,
ფერადი ოცნების ზღაპარის დასასრული
გული უცნაურად შფოთავს.
ცოტა სინანული, ბევრი სიხარული
ცხოვრებას ახლიდან იწყებ,
ვარდისფრად გესახება უცნობი მომავალი
თვალებში იმედებს ინთებ.
ლამაზი სტუდენტობა, ერთგული მეგობრები,
გგონია ზეცაში ცხოვრობ,
პირველი შემოხედვა, ლოყები ვარდისფერი
არ გინდა და მაინც მორცხვობ.
პირველი სიყვარული, პირველი პაემანი,
სულ მცირე რამეზეც ხარობ,
ღამე მთვარიანი, ტუჩები ვნებიანი,
წამის შეჩერებას ნატრობ.
ვარსკვლავი გაბადრული, ხეები გატრუნული,
აღსრულდა – პირველი კოცნა,

წამით მდინარეც შეჩერდა თითქოს,
ვითომ სასწაული მოხდა
ზოგჯერ მოლოდინი, სევდა და კაეშანი,
დღე რომ საუკუნეს მოჰგავს,
უსაზღვრო მონატრებამ ნერვები დაგიკაწრა
სული კი უსასრულოდ შფოთავს.
მერე სიშავეში უცები ნაპერწკალი,
უკვე აღარაფერს ნანობ,
კიბეზე ხმა გესმის ნაცნობი ნაბიჯების,
გული კი ამოფრენას ლამობს.
მერე? აგიხდება ოცნება ამდენი ხნის,
თმაში მზე გიბრწყინავს თითქოს,
შენს კაბას სითეთრით ღრუბელიც კი ვერ სჯობს,
იგი კი სულ შენზე ფიქრობს.
სუფრა და სადღეგრძელო, ზეიმობს სიყვარული
დროც კი აღარ გრჩება ფიქრის
და მაინც ახერხებ სიტყვები გაიხსენო
ტაძარში მიცემული ფიცის.
მერე ლამაზი, ცისფერი ბურუსი,
სახეს მის მკლავებში მალავ,
მერე ოჯახი, აკვანი, იავნანა
სიკვდილის შიშსაც კი კარგავ.
მერე თავიდან იწყება ყველაფერი,
ანბანსაც ახლიდან სწავლობ,
გგონია მათ იქითარ არის არაფერი,
მათი სიხარულით ხარობ,
ისე ხარ გართული შვილების ცხოვრებით,
წარსული აღარც კი გახსოვს.
იმ ღამის პირველ კოცნას, იმ მოგონებებს კი
გული ვერ ივიწყებს მარტო.

ქეთევან წამალაიძე
ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის
I კურსის სტუდენტი

მთვარე

კიდევ ერთი ღამე გაილია შენზე ფიქრში
კიდევ ერთმა ღამემ უძილობით გაირბინა,
დამათენდა, ირიჟრაჟა ჩემს სარკმელში
მზის სხივებით აბრჭყვიალდა ფანჯრის მინა.

არ მათბობს და არ ანათებს ამ ჩემს გულში
ბრწყინვალე მზე და ბრჭუვიალა თოვლი გზებზე,
იგრიალებს, სეტყვას მიშენს ობოლ სულში
შავი ღრუბლით შემოსილი ფიქრი შენზე.

ღამეა და ვარსკვლავები ციმციმებენ,
ცივი მთვარე სევდიანად იღიმება
ვარსკვლავები ცეკვავენ და თამაშობენ
ჩემი მთვარე შენზე ზღაპარს მეუბნება.

დამამშვიდებს, დამაწყნარებს, მეტყვის ნანას
შენი სატრფოც შენზე ფიქრში დაიღალა,
გადმომიშლის, მომიყვება გულის ნაღველს,
საიდუმლოდ შემინახე, - დამავალა.

ახლა იცი შენი სატრფოც შენზე ფიქრობს,
დაისვენე, ჩემო კარგო, გვიანია,
დაიძინებს, გადაღლილი სიზმრად განახავს,
ჩემი სიტყვა, - კარგად რომ ხარ, ესეც კმარა.

და გადაღლილს დამაძინებს ჩემი მთვარე,
მთვარე ნაზი და იმედის მომცემია,
მხოლოდ მთვარე გამათბობს და არე-მარე
ლამაზია გაზაფხულზე, როგორც ია.

* * *

და განა ერთი ან თუნდაც ათი
ათი ათასი დამინთია შენთვის სანთელი
და განა ათჯერ ან თუნდაც ასჯერ
ასი ათასჯერ თრთოლვით მითქვამს შენი სახელი.
და შენი სახე სულ თვალწინ მიდგას,
სულ თვალწინ მიდგას შენი თვალები,

მე მაგ თვალებში ბევრს ვხვდები სევდას
და მეგ სევდით კი ნელ-ნელა ვკვდები.
იცი, არ მინდა იყო მოწყენით
და არც ის მინდა რომ შენ დაგკარგო
და თუ დაგღალე მე შენ ლოდინით
მშვიდობით, აღარ დაგტანჯავ კარგო.
და განა ათჯერ ან თუნდაც ასჯერ
ათი ათასჯერ გავიხსენებ ჩემს წმინდა გრძნობებს,
და განა ათჯერ ან თუნდაც ასჯერ
ასი ათასჯერ გადმომივა თვალთაგან ცრემლი.

ლილი ჯანგველაძე

სამეცნიერო ბიბლიოთეკის
თანამშრომელი

პოეტობას არ ვიჩემებ

პოეტობას არ ვიჩემებ
არც ნიჭი მაქვს, არც უნარი
სხვასაც მინდა გავუმხილო
რაც მაქვს გულთან ნაუბარი.

მარგალიტებად ავასხი
სადმე თუ რამე მსმენია
და ნუ დამძრახავთ, თუ თქვენთვის
ეს მძიმე მოსასმენია.

23. 09. 05

თოვლის ფანტელები

ციდან თოვლის ფანტელები
პეპლებივით ნარ-ნარებენ
მიწაზე რომ ეშვებიან
სიცოცხლეს იქ ამთავრებენ.

თოვლის ფანტელების ცვენას
ყვავილთ ცვენას ადარებენ,
მიხარია მათი ცქერა,
ასე გულს რომ ახარებენ.

31. 01. 06

მოგონება

ბავშვობა ხომ სილაღეა
სულ დაფრინავ ცაში,
ფიქრი, - შენც რომ დაბერდები,
არ მოგივა თავში.

ეს სიბერე არ მეგონა
მეც დამრევდა ხელს,
ჩუმად ვზივარ და ვიგონებ
იმ გარდასულ წლებს.

05. 04. 08

დრო

დრო ისე ჩქარა მიდის,
დრო ისე ჩქარა ქრება,
უნდა იჩქარო, თორემ,
დრო ხელში ჩაგადნება.

დრო რომ გაივლის იცოდე

რასაცა ვხედავთ ჩაკვდება,
წყვდიადი დაისადგურებს
და ყველაფერი გაქრება.

ამიტომ ფრთები გაშალე
ნუ გადიქცევი სევდადა
და სიძულვილი წაშალე,
რომ დარჩე ნათელ სვეტადა.

03. 09. 05

ავს ნუ იზამ

ავსა საქმეს თუკი იზამ
და ცუდს გულში ჩაიდებ,
ბოროტება მოგძებნის და
შენთან ბინას დაიდებს.

ეცადე, რომ მაგ შენს გულში
შური აღარ დათესო,
თუ დათესავ სულ ეცდები,
რომ ყველანი დაგესლო.

იფიქრე კარგი, განდევნე დარდი,
ბოროტებას გზას ნუღარ დაუთმობ,
სიკეთის თესვით ადამიანებს
გაყინულ გულებს გაუთბობ.

16. 06. 07

ეს საწყენია

რა ლამაზად შეუქმნია
ეს სამყარო ღმერთს,
მაგრამ დიდხანს არ გვამყოფებს.

საწყენია ეს.

დედამიწა ჩვენ გვინახავს,
დედამიწა გვარჩენს,
როცა სული აღმოგვხდება
სხეულს მიწად აქცევს.

ამ ქვეყნად დაქრის სიცოცხლე,
მას გადაკვეთავს სიკვდილი,
ისე იცხოვრე, რომ შენგან
არავინ იგრძნოს ტკივილი.

ვერ შეაჩერებ სიკვდილს,
მასთან მუდარა არ ჭრის,
როცა სიცოცხლით ტკბები
ყველა გზას გადაგიჭრის.

06. 12. 06

ეკატერინე ჭინჭარაული

ზოოტექნიკური ფაკულტეტის
I კურსის სტუდენტი

* * *

რატომ მითხარ მე არაგვის სევდა?
რას მერჩოდი, ვყოფილიყავ ჩემთვის.
რატომ მამცნე სიყვარულის ბედათ
შენი გრძნობა და სიწმინდე მთვარის.

რატომ მითხარ უბედობა დალის,
რატომ არის ღამე თურმე ტყეში?
თურმე გულისსწორი დაუკარგავს
და სიბნელეს დღემდე მისთვის ეტრფის.

რა... მეც გინდა დავგმო ყველაფერი?
ხელი ვკრა და წამოვიდე აქეთ?

და მერე შენ ნუთუ გაჩერდები?!
ნუთუ შენ არ გამექცევი შავეთს?

* * *

ისევ მთებისკენ მამიძღვის
ჟანდი და ჩოხა ხევსურთა,
ნეტავი ვინ გაგაჩინა
რომ ვეფერებით ერთურთსა.

ეტყობა ჩემად გაგზარდეს
ჩემად ჩაგაცვეს ქალამნი
და ხევსურს მკერდზე ტალავარს
დაგიქსოვს ჩემი დალალნი.

არაგვს შავადგათ გვირგვინი
მთის ასულებით შაკრული
რომ ჩვენი სიყვარულისა
იყოს სალოცავ დარქმული.

არაგვი

მეგონა ყველას უძლებდი
გაჭირვებას თუ სიავეს
ჩემო არაგვო შენეც გნახე
ჩემსავით ცრემლის მდინარე

მეც ბედი ჩემი უმსგავსი
მაღონებდა და მჯაბნიდა
შენს გულ-მკერდ ვიჯექ თავჩახრილ
და ცრემლი ღაწვებს მაწვიმდა.

თავი ავიღე, რომ მესმა
ქვითინი ახლოს მკივანი

შემოგხედე და რას ვხედავ
ცრემლი გაწვიმდა – ცის ნამი.

მაშინ კი მივხვდი შენც არ ხარ
უგულო, როგორც მკვდარია.
ღამემ დაგათრო ჩემსავით
ვერცხლისფერ ყანწის მკლავიდან.

* * *

მომავალს, რომ არ ვუყურებ
დავალ მზე – მთვარის ტრიალით
ისევ წარსულის ბილიკებს
მივყვები შორი ტრფიალით.

აწმყოში ყოფნაც არ მინდა
არც მომავალი მწადიან
რომანტიკოსის გზას ვირჩევ
და წარსულისკენ გავრბივარ.

ბედს

რატომ არა ხარ ჩემთვის
ბედუკუღმართო ბედო!?
ჩემი გზებიც კი არ გწამს
და აღარ გინდა მენდო.

რატომ არა ხარ ჩემი
ღამის სიკეთევ და სითბოვ
იქნებ მე ვერ ვარ კარგი
და შვილად აღარ მიხმობ.....

არა, არა ხარ ჩემთვის,
სულ სევდა მაწვიმს თმაზე

სულ შავი ძაძით დავალ
ამ ბედუკუღმართ გზაზე..

* * *

აღარ ვარ შენი ქალთამზე.
აღარც მთის ნისლი კრიალა.
მე მხოლოდ შენი ფიქრი ვარ
ჭიუხში განაგონი ტიალად.

* * *

ის პეპელა ვრ, ღამე
ლამპიონებს რომ უფრენს.
შენ კი სინათლე მისი
კვლავ ვშლი საოცნებო ფურცელს.
ალბათ გეხსომება ისიც
პეპელა როდის კვდება!?
როცა ახლოს არის შუქთან
და საოცნებოს ხედავს.

მეც მეშინია კარგო,
ახლოს რომ მივიდე დამწვავ.
მიჯობს სინათლით ნათოვს
შორიდან მოგდიო კვლავაც.

მთვარის ნადიმი

ცას მოევერცხლა სახე.
მანდი გაიკეთა მთვარის.
და ოცნებების ღამეს
ბადრი მთვარე მართავს ნადიმს.
ყველას გაუკეთებს თავის
მანდილს მოვერცხლილს, სპეტაკს,
მიჯნურობისა არის
და ვინც არიან კენტად.

მეც დღეს გავწიე ფარდა
იყო ნადიმი ზეცად
და გადავწყვიტე მათთან
მივიდე, ვიყო ღმერთთან.

მეც გავიკეთებ ვერცხლის
სიწმინდეების მანდილს
და ეს შენს გამო ხდება
რომ რეალობა არ ღირს.

ჯუთას – (დედის მხარე)

თითქოს დავბრუნდი ისევ
მთაო ამ ფიციც ნიშნად.
გული იმ სითბოს კვლავ გრძნობს,
რომელიც გამატანე წინათ.

ისევ ჩხრიალი მთათა
გულ-მკერდზე თეთრი თმების.
და ყვავილების კაბას
ისევ ნიავი ებრძვის.

ისევ დაიწყებს ჩურჩულს
ბედის მთხრობელი წყალნი
ჩემი ბედით თუ სწუხან
ხომ დავბრუნდები მაინც.

ღამე კი მთვარე სწრაფად
ფიქრის ღრუბლებში შედის.
და ჩვენს საოცნებო ზღაპარს
ჰყვება მოჩვენების ცეცხლით.

ჯერ რა იციანო ამათ

ეჰ, ამ ცხოვრების გზები.
ოცნებით გული თვრება
და სიყვარულის ხმებით...

* * *

მე თუ ცხოვრებას ვერ ვხედავ
იმ ხედვით, რითაცა სჯობს,
მაშინ დამანახვე შენით
და შენი ხედვით მარტო.
თუ ვერ აღვიქვი კარგად
მე ამ სიყვარულის გზები,
მაშინ შენ ხედვას ვირჩევ
და დავინახავ შენით.
თუ სიცივე მიყვარს მარტო
და ქარი მონაბერი მთებში,
მაშინ შენც გირჩევ ზოგჯერ
ჩემით დაინახო გზები.
მინდა, რომ თვალებმა უხმოდ
გაინაწილონ ცეცხლი,
ზოგჯერ ერთურთის ხედვით
გზა გავიაროთ გრძელი.

* * *

სიცივით ისე გამათბე,
რომ სითბო მეცივებაო.
მზერა ალიონს მიგიგავს,
ბაგე გაპობილ მზესაო.

* * *

დილით სხივები მზექალო
ჩემი დედ-მამის ფიქრია.
და ყვავილებით ღიმილი
დედ-მამიშვილმა იციან.

მათი ზრუნვა და ნუგეში
მე მუდამ მესამკაულა
და მთვარე თავის უბეში
ფიც-ვერცხლით დამინათლულდა.
მეტი რა მინდა ამ ქვეყნად
მერცხლის ბუდეში გაჩენილს
ყოველ ალიონს ავხედავ
ათენას ცისფერ ლანდებში.
და იცი არ დამავიწყდი
შენ მაინც გულში ინთები
ყოველ ლექსების ღამეში
სულ უფრო მეტად მინდები.

* * *

არაგვს ვატან ჩემს ოცნებებს
ფრთა გაშლილებს რაშთა,
ყველა მსტოვარს, ყველა ქალწულს
ნასათუთევ სამანს.
ედებიან მერცხალ-გვრიტიც
გზა-კვალს შფოთის გზებში,
ვიცი, შენი დაპირება
დღემდე მღერის ჩემთვის.,
ყოველ დილით მისი ძალით
ვივარდებ და ვხარობ.
ხან მზის სხივებს შენად ყოფნას
ვეხვეწები კარგო.

* * *

რატომ განიცდის გული ოხერი
ყოველი ფოთოლ-წაწალთა კვდომას,
მათი ჭრილობა ჩემიც ხომ ხდება
და გაზაფხულსაც შავეთით მოსავს.

რატომა ვდგები ყოველთვის შენ წინ
გრძნობა მოღლილი ვედრების თვალით
ნუთუ უფალო, მე მხოლოდ ტანჯვა
უნდა ვიგემო ცხოვრების წამით!?

მაგრამ, არა და... არასდროს მოვკლავ
გატაცების და ოცნების მერცხლებს.
მუდამ რომ ფრენენ ამ გულის მოყვრად
გამხდომიან და მათ ვეფიც-ვერცხლე.

ირინა ნოზაძე

ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის
II კურსის სტუდენტი

* * *

გარეთ ისევ წვიმს, ალბათ მალე გამოიდარებს.
შავ ღრუბელს შორით მიმოფანტავს დღე
შემოდგომის.
გამოიდარებს, გაიღვიძებს ქვეყნად ყოველი.
ჩიტების ჭიკჭიკს ყურს მიუგდებს სულდგმული ყველა.
გულისთქმას ვანდობ მე მდინარის მეწამულ
ზვირთებს,
ის ხომ სხვებივით არ გამთქვამს და არა ამატირებს...
მე ვეკითხები: "ჩემთვის როდის გამოიდარებს?
ველი ბრძნულ პასუხს, იმედიანს და სამართლიანს,
ის კი სევდით და მწუხარებით ასე მპასუხობს:
"ოდეს ყოფილა მგელთა შორის ცხვარს გაეხაროს!"

* * *

ვზივარ ნაძვებში. სერზე თბილი სიო უბერავს

და ჩემს ყურამდე აღწევს მათი ჩუმი შრიალი,
თურმე რას ამბობს! რისთვის ტკივა მას გული, - იცით?
ქვეყნად ბოროტი რად არისო ადამიანი!
მოვა ზამთარში, თავს გადაგვჭრის, ტოტებს გაგვიჩეხს,
ახალი წელი აბა როგორ გავატაროთო!?
განა მე არ მსურს, ახალ წელს რომ ვიყო ჯანმრთელი?
მეც გავიხარო პაწაწინა თოვლის ფანტელით?

ერთხელ ზამთარში, როცა ყველა ვხარობთ, ვიცინით,
სერზე გამოჩნდა ექვსი გოგო თვალებციმციმით,
მოგვიახლოვდნენ და დაიწყეს ერთურთში ბჭობა:
ჩვენი ნაძვის ხე უნდა იყოს ყველას მჯობიო!
და როგორ შესძლეს, - ახლაც მიკვირს, - ამ პატარებმა
თავი გადაჭრეს ლამაზსა და ყველაზე კოხტას.
თვითონ წავიდნენ ჟრიამულით სახლში ლაღები...
ჩვენ კი დაგვტოვეს ასე ძლიერ მგლოვიარენი.

სარჩევი

ცირა ბლუაშვილი	7
ვასილ ამირიძე	23
ნინო ბექაური	27
ქრისტინე გაბისონია	32
იოსებ გაფრინდაშვილი	34
გიორგი გელაშვილი	45
მარიამ გრიგოლია	45
ამალია კუპრავიშვილი	46
ნინო მინდელი	62
თეკლე ნარმანია	99
ლერი ნოზაძე	101
ნინო სამჭკუაშვილი	105
როლანდ სინატაშვილი	108
გოჩა ქვრივიშვილი	112
იზო ღონღაძე	115
ნათია ცხადაძე	128
ქეთევან წამალაიძე	132
ლილი ჯანგველაძე	134
ეკატერინე ჭინჭარაული	137
ირინა ნოზაძე	

My hobby is poetry
(In Georgian)

Literary Miscellany No 6
of GSAU staff and students

რედაქტორ-გამომცემელი
ლერი ნოზაძე